

## **სოციალური დავები**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2021, №4

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)**

2021, №4

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)**

2021, №4

**Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)**

2021, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

**ტექნიკური რედაქტორი  
გარიგა გალავანიძე**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## საპირისო საკითხებთან დაკავშირებით დავები

<b>1. საპენსიო საკითხებთან დაკავშირებით დავები</b>	
მიუღებელი პენსიის მოსარჩევეთათვის	
ანაზღაურების წინაპირობები .....	4
პენსიის შეწყვეტის კანონიერება;	
მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი .....	28
სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით	
წელთა ნამსახურების ანგარიშის შედგენა და სსიპ სოციალური	
მომსახურების სააგენტოში გადაგზავნა .....	42
მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება ....	55
<b>2. დევნილების საკითხთან დაკავშირებით დავები</b>	
გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის მიზნით	
ფულადი დახმარების მოთხოვნის საფუძველი .....	65
საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე დევნილი	
ოჯახისათვის მინიჭებული ქულების შემცირების კანონიერება ....	77
დევნილის სტატუსის მინიჭებისას პირის	
მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და	
მისი დატოვების მიზეზის და მომენტის დადგენა .....	88
<b>3. ეკომიგრანტების განსახლების საკითხი</b>	
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულისთვის	
საცხოვრებელი სახლის გადაცემის წინაპირობები .....	98; 121
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის	
საცხოვრებელი ფართის გამოყოფა .....	134
<b>4. სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული დავები</b>	
სოციალური დახმარების შეწყვეტის კანონიერება .....	148
მიუღებელი სოციალური სუბსიდიის ანაზღაურების შესახებ	
მოთხოვნის ხანდაზმულობა .....	165

# 1. საპარენტო საკითხებთან დაკავშირებით დაცები

მიუღებელი პარენტის მოსარჩევებისათვის ანაზღაურების  
ცინაპირობები

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-29(კ-19) 10 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალურ ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა; მიუღებელი პენ-  
სის ანაზღაურება

### აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 12 აგვისტოს ლ. კ-მა სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სა-  
აგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ „ლ. კ-ისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე  
უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს  
ტერიტორიული ორგანოს 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-49/16 გა-  
დაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ საქართველოს სოცია-  
ლური მომსახურების სააგენტოსთვის 2016 წლის 1 აგვისტოდან  
საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ოდენო-  
ბით, ლ. კ-ისთვის სახელმწიფო გასაცემელის (პენსია) დანიშვნის  
თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-  
ცემის, 2016 წლის 1 აგვისტოდან მიუღებელი სახელმწიფო გასა-  
ცემლის (პენსია) ანაზღაურებისა და 2013 წლის 1 დეკემბრიდან  
2016 წლის 1 აგვისტომდე ზიანის ანაზღაურების დავალება მოით-  
ხოვა.

2016 წლის 12 აგვისტოს რ. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სა-

აგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ „რ. გ-ისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-26/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის 2016 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ოდენობით რ. გ-ისათვის სახელმწიფო გასაცემელის (პენსია) დანიშვნის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, 2016 წლის 1 აგვისტოდან შიულებელი სახელმწიფო გასაცემლის (პენსია) ანაზღაურებისა და 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ზიანის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 12 აპრილის სხდომაზე მოცემული საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი მუშაობენ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“. მათ დანიშნული ჰქონდათ ასაკობრივი პენსია, რომელიც შეუწყდათ 2013 წლის 1 დეკემბრიდან. მოსარჩელეთა მითითებით, მათ 2016 წლის 21 ივლისს განცხადებით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს, რათა გაერკვიათ, რა მიზეზით შეუწყდათ პენსია. ამასთან, მოსარჩელეებმა მოითხოვეს გაგრძელებულიყო მათზე სახელმწიფო პენსიის გაცემა. 2016 წლის 9 აგვისტოს წერილობითი პასუხით ეცნობათ, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ არის საჯარო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულება, რის გამოც მასთან დასაქმებულ პირებზე არ ერცელდებოდა შედაგათი და ისინი ვერ იპოვებდნენ სოციალურ უზრუნველყოფაზე უფლებას. ამდენად, მოსარჩელეებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელეთა მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ არ არის საჯარო სამსახური, აღნიშნული გადაწყვეტილება არასწორია, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება კანონსაწინააღმდეგოა, რის გამოც მათ ადგებათ მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. კ-ისა და რ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი „ლ. კ-ისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს 08.08.2016 წლის №57995-49/16 გადაწყვე-

ტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლ. კ-ისთვის 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემლის (პენსია) და-ნიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის გამოცემისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის ანაზღაურება დაევალა; ლ. კ-ის მოთხოვნა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მის სა-სარგებლოდ, 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „რ. გ-ისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშ-ვნაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების საა-გენტოს ტერიტორიული ორგანოს 08.08.2016 წლის №57995-26/16 გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რ. გ-ისათვის 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემლის (პენ-სია) დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ამავე პერიოდიდან მიუ-ღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის ანაზღაურება დაევალა; რ. გ-ის მოთხოვნა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათ-ვის მის სასარგებლოდ, 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ, არ დაკ-მაყოფილდა.

საქალაქი სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მსჯელობის საგანს წარმოადგენდა: გამომდინარეობს თუ არა სა-ქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან ლ. კ-ისა და რ. გ-ის მოთხოვნები 2016 წლის 1 აგვისტოდან გაუცემელი პენსიის თან-ხისა და 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ზია-ნის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამი-ანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქ-მედი სამართლით.

სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სოციალური დაც-ვის გარანტიების უზრუნველყოფა, როგორიცაა სახელმწიფო პენ-სიის დანიშვნა კანონით გათვალისწინებული პირობების არსებო-ბისას. ამასთან, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას, საჯარო დაწესებულებების მიერ თავისი საქმიანობის წარმოების პროცესში საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელ-შეკრულებებით, თუ შეთანხმებებით გარანტირებულ ადამიანის

უფლებებს და თავისუფლებებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, რაც ნიშნავს იმას, რომ საჯარო დაწესებულებამ, მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს ამა თუ იმ კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული უფლების (თავისუფლების) ნამდვილი შინაარსით და არ უნდა დაუშეს ამ უფლებით დაცულ სფეროში არამართლზომიერი ჩარევა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

სასამართლომ მიუთითა ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლზე, რომლის შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ შექმნას და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკამაყოფილებელ დონეზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის რატიფიკაციისათვის აუცილებელ დონეს. მიიღონ ზომები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტის მე-9 მუხლის შესაბამისად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.

სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განმარტებულია კომპეტენტური ორგანოს ცნება. კერძოდ, კომპეტენტური ორგანო არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო. სასამართლოს მითითებით, პენსიის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოს ცნებას ითვალისწინებს ასევე „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და

გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების დანართი №1, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

სასამართლოს მითითებით, სსიპ სოციალური მომსახურების სა-აგნენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს შრო-მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/6 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თა-ნახმად, სააგენტოს მიზნებია მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელო-ბისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა, მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, სააგენტოს ფუნქციები და უფ-ლებამოსილებებია – „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელ-მწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით ადმინისტრირების კომპეტენ-ტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გან-ხორციელება.

სასამართლოს მითითებით, მოპასუხე სსიპ სოციალური მომსა-ხურების სააგენტოს კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს პენსიის დანიშვნა, მისი გაცემა, ორგანიზება, შეჩერება, განახლე-ბა და შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რე-გულირება.

სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქარ-თველოს კანონზე და აღნიშნა, რომ მისი მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს ხანდაზმულ მო-ქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია და სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დაწესება არსებული რე-სურსების ფარგლებში. მითითებული საკანონდებლო აქტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმო-შობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთა-ნავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან.

სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების თანახმად, მო-სარჩელები – ლ. კ-ი და რ. გ-ე წარმოადგენენ სახელმწიფო პენსი-ის მიღების უფლების მქონე სუბიექტებს.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პენსიის დანიშვნის თაობა-ზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინე-ბა კომპეტენტურ ორგანოს. ამავე კანონის მე-14 მუხლის შესაბა-მისად, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებას კომპეტენტური ორგანო განიხილავს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენ-ტის წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღისა. კომპეტენტური ორგა-

ნოს მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისა საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს და იგი აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ პენსიის მიღების პირობებს. პენსიის ჯანმრთელობის დაზღვევის სარგებლის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ცალკე კანონმდებლობით.

სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მასალებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგენილია, რომ ლ. კ-მა და რ. გ-ემ 2016 წლის 19 ივლისს განცხადებით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილებას და მოითხოვს სახელმწიფო პენსიის დანიშვნა, რაზეც სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილებამ 2016 წლის 8 აგვისტოს მიიღო №57995-49/16 და №57995-26/16 გადაწყვეტილებით სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელები ლ. კ-ი და რ. გ-ე ეწეოდნენ საჯარო საქმიანობას (დასაქმებულნი იყვნენ სახელმიწოდო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, რომელიც წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და იქ მუშაობა ითვლებოდა საჯარო საქმიანობად).

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. მითითებული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო საქმიანობა არის საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმია-

ნობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მიეკუთვნება საჯარო საქმიანობას, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით ან-ვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებზე, რომლის თანახმად, ლ. კ-ი 2010 წლის 24 სექტემბრიდან 2016 წლის 16 დეკემბრამდე მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამედიცინო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ სხვადასხვა თანამდებობებზე, 2013 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის 16 დეკემბრამდე მუშაობდა ლოჯისტიკის დეპარტამენტში .....ის, ..... ის თანამდებობაზე.

რ. გ-ე 2011 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 სექტემბრამდე მუშაობდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“..., ..... ის თანამდებობაზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაზე (საქმე №ძს-77-75 (კ-15)), სადაც საკასაციო სასამართლომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად მიიჩნია, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ საქმიანობის მიმართულებით, მისა მიზნებით, ამოცანებით, ფუნქციებითა და თავად ცენტრის შექმნის საფუძვლებით უდავოდ დგინდება ცენტრის საქმიანობის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათი, ხოლო დაწესებულების სახელწოდება – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი საქმიანობის მთავარ მიმართულებას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“, სადაც მოსარჩელები – ლ. კ-ი და რ. გ-ე მუშაობდნენ, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას წარმოადგენს. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონმდებლმა საჯარო საქმიანობად არ მიიჩნია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში საქმიანობა განურჩევლად საქმიანობის შინაარსისა, რათა სტიმული მიეცა და წაეხალისებინა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომლის ორგანიზებასაც შესაბამისი დაწესებულება უზრუნველყოფს და რომელიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში დასაქმებულთათვის შესაბამისი საკანონმდებლო გამოწავლისების გათვალისწინება იმისათვის, რომ ისინი არ დაბრკოლდნენ და მოტივირებულნი იყვნენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში საქმიანობასთან დაკავში-

რებით და ამ გზით ხელი შეუწყონ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების ჯეროვნად განხორციელებას. შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში დასაქმებულთათვის სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გამონაკლისის დადგენა ემსახურება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ინტერესებსა და მიზნების ხელშეწყობას. სასამართლოს მითითებით, იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელები - ლ. კ-ი და რ. გ-ე საქმიანობენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში - სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, მათი საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო საქმიანობად, მათ კანონის შესაბამისად არ შეუწყდებათ უფლება, მიიღონ სახელმწიფო პენსია კანონით დადგენილი წესით და ოდენობით. შესაბამისად, მათვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარი ეწინააღმდეგება კანონს.

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტასთან“ მიმართებით სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტას“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 27 თებერვლის ინფორმაციასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ვერ ჩაითვლება იმ სახის მტკიცებულებად, რომელიც შეიძლება გამხდარიყო მოცემულ საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებზე და განმარტა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მიიკციოს თვით კონტროლის ფარგლებში, რამდენადც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს თუ რატომ, რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება. გარდა ამისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით და მან შეძლოს, იცოდეს რა არგუმენტებით დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთე-

ბის გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია.

სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში მოქალაქის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით უნდა პასუხობდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით, კერძოდ, 51-ე და 52-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო მისი გამოცემა უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული შარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-49/16 და №57995-26/16 გადაწყვეტილებები და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, რომლითაც ლ. კ-სა და რ. გ-ეს 2016 წლის 1 აგვისტოდან დაენიშნება სახელმწიფო გასაცემელი – პენსია. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს უნდა დაევალოს ლ. კ-ისა და რ. გ-ის სასარგებლოდ 2016 წლის 1 აგვისტოდან მიუღებელი პენსიის თანხის ანაზღაურება.

2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სადაც არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელები იღებდნენ ასაკობრივ პენსიას, თუმცა 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდათ სახელმწიფო პენსიის მიღება იმ საფუძვლით, რომ ისინი საქმიანობდნენ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“. ამდენად, სასამართლოს მითითებით, ლ. კ-ისა და რ. გ-ისთვის ცნობილი იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (გადაწყვეტილებების) გამოცემის ფაქტი.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეებმა – ლ. კ-მა და რ. გ-ემ მხოლოდ 2016 წლის 19 ივლისს მიმართეს განცხადებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილებას და მოითხოვეს მათვევის სახელმწიფო პენსიის დანიშნენა, რაზეც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სერვის ცენტრმა, 2016 წლის 8 აგვისტოს გამოსცა №57995-49/16 და №57995-26/16

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (გა-დაწყვეტილებები) სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ.

ამდენად, მოსარჩელებს – ლ. კ-ს და რ. გ-ეს გარანტირებული ჰქონდათ უფლება კანონით დადგენილ ვადაში და წესით მიემართათ სასამართლოსათვის და იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა მოეთხოვათ, რომლითაც მათ 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდათ სახელმწიფო პენსიის უფლება, რაც მათ არ განუხორციელებიათ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც ძალაშია გადაწყვეტილებები, რომლითაც მოსარჩელეებს – ლ. კ-ს და რ. გ-ეს 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეუწყდათ სახელმწიფო პენსიის მიღება (ბათილად არ არის ცნობილი), არ არსებობს საფუძველი, რომ 2013 წლის დეკემბრიდან დაევალოს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მიუღებელი პენსიის მოსარჩელეთა სასარგებლოდ ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემული დავის განხილვისას სასამართლომ იმსჯელა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-49/16 და №57995-26/16 გადაწყვეტილებების კანონიერებაზე, ბათილად ცნო ისინი და შესაბამისად, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს გამოცემას და მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურებას სასამართლო, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალებს იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელებმა – ლ. კ-მა და რ. გ-ემ განცხადებით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამავე კოდექსის 207-ე მუხლზე, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე მითითებით და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტების – ლ. კ-ისა და რ. გ-ისთვის სახელმწიფო გასაცემის – პენსიის შეწყვეტის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილების თანამდევ შედეგს, ხოლო იმ პირობებში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები პენსიის შეწყვეტის შესახებ ძალაშია და მათი უკანონობა დადასტურებული არ არის, არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ სოციალური მომსახუ-

რების სააგენტოს ქმედებით მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი. ამდენად, მოთხოვნა მოსარჩელეთათვის მიუღებელი თანხის ანაზღაურების ნაწილში 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. კ-მა და რ. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ლ. კ-ისა და რ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების მე-3 და მე-5 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ყოველთვიურად მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების დავალების თაობაზე ლ. კ-ისა და რ. გ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ამასთან, აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს საჯარო საქმიანობის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო საქმიანობა არის საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგად-საგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებ-

ლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელო აღზრდის, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა, რომლის შესახებ ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, პალატამ განმარტა, რომ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში საქმიანობა არ წარმოადგენს საჯარო საქმიანობას და არ ქმნის კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტის მიზნით, უნდა შეფასდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ განხორციელებული შრომითი საქმიანობა წარმოადგენს თუ არა საჯარო საქმიანობას, რასთან დაკავშირებითაც სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საკასაციო სასამართლოს განმარტებაზე (საქმე №ბს-77-75(კ-15) 2 ივლისი, 2015 წელი) და დაასკვნა, რომ მოსარჩელეები ლ. კ-ი და რ. გ-ე საქმიანობენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში – სისიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“, სააპელაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ მათი საქმიანობა ამ სამსახურში არ ჩაითვლება საჯარო საქმიანობად და შესაბამისად, არ არსებობს სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო პალატა არ დაითანხმა პირებილი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ 2013 წლის 1 დეკემბრიდან, სახელმწიფო პენსიის შეზყვეტა (სისიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ საქმიანობის საფუძვლით) ავტომატურად ნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ლ. კ-ისა და რ. გ-ისთვის ცნობილი იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (გადაწყვეტილებების) გამოცემის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ რ. გ-ეს 2013 წლის 28 ნოემბრის სისიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისან-სამგორის განყოფილების გადაწყვეტილებით შეუწყდა პენსიის გაცემა, საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძვლით. ხოლო ლ. კ-ს შეუწყდა 2013 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, იმავე საფუძვლით. ლ. კ-ისა და რ. გ-ის

საპენსიო საქმეებში არ მოიპოვება საპენსიო გასაცემლის შეწყვეტის გადაწყვეტილების მოსარჩელეებისათვის გაგზავნისა და ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შეწყვეტა ზღუდავს მოსარჩელის სოციალური უზრუნველყოფის უფლებას. მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსგან განხორციელებული ქმედების შედეგად დაირღვა სააპელაციო საჩივრის ავტორების უფლება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პენსიის შეჩერება-შეწყვეტა არის შემზღუდავი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ამძიმებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, ზღუდავს თავის დროზე აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით პენსიონერისათვის მინიჭებული სოციალური უზრუნველყოფის უფლებას. სახელმწიფო პენსიის შეჩერება და შეწყვეტა ხდება არა რეალაქტის, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შედეგად. პენსიონერის მიერ საკუთარი საპენსიო ანგარიშის გადამოწმების შესაძლებლობა არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის, ამ გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ კანონით დადგენილი წესების დაცვით გადაწყვეტილების მიღებისა და დაინტერესებული მხარისათვის მისი ჩაბარების ვალდებულებისაგან.

აქტის გამოკვეყნება, მისი ადრესატისთვის გაცნობა არის ადმინისტრაციული წარმოების ბოლო ეტაპი და წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით. სწორედ აქტის ძალაში შესვლით ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლებამოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა. აქტის ოფიციალური გაცნობის იურიდიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნულით დასტურდება მისი შინაარსის გაცნობა მხარის მიერ. ოფიციალურ გაცნობად ვერ ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოსგან ვარაუდი, რომ ადრესატს უნდა სცოდნოდა სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ საქმიანობის შედეგად პენსიის შეწყვეტის შესახებ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული აქტის ოფიციალური გაცნობის სახეებზე, კერძოდ, დაინტერესებული მხარისათვის აქტის გადაცემაზე, ფოსტის მეშვეობით გაგზავნაზე აქტის გამოქვეყნებაზე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ბეჭდვით ორგანოში და საჯარო გამოცხადებაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღრესატისათვის გაცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ფორმების გამოყენება დაკავშირებულია ადმინისტრაციული წარმოების ფორმებთან და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღრესატთა რაოდენობასთან, ასევე მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობის ხარისხთან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება აღრესატისათვის აქტის გაცნობა რომელიმე მითითებული საშუალებით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩევე მხარეს არ ჩაპარებია სახელმწიფო გასაცემლის (პენსია) შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებები, ხოლო საპენსიონ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დებულებას, რომლის მიხედვით, პენსიის შეჩერების საფუძვლების წარმოშობა ან შეწყვეტა, ავტომატურად ნიშნავს მხარის ინფორმირებას, სისიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტო ასეთ აქტზე ვერ უთითებს. ის, რომ შეჩერების/შეწყვეტის საფუძველი არსებობს, თავისთავად არ გულისხმობს პენსიის დარიცხვის შეჩერებას/შეწყვეტას.

სააპელაციო პალატას მოსაზრებით, სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს კანონისანინააღმდეგო გადაწყვეტილებები საპენსიონ გასაცემლის შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან სისიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუქამის არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში საქმიანობას, შესაბამისად, მოსარჩევების – ლ. კ-ისა და რ. გ-ის მოთხოვნის (2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ზიანის ანაზღაურება მიუღებელი პენსიის სახით) დაკმაყოფილებაზე უარი იმ საფუძვლით, რომ მათ არ გაუსაჩივრებიათ საპენსიო გასაცემლის შეწყვეტის გადაწყვეტილებები (ამ გადაწყვეტილებების კანონით დადგენილი წესით ჩაუბარებლობის პირობებში), არის უსაფუძვლო.

პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე და საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩევებს სახელმწიფო კომპენსაციის (პენსიის) გაცემა შეუწყდათ 2013 წლის 1 დეკემბრიდან, ხოლო 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი სახელმწიფო გასაცემლის ანაზღაურე-

ბის მოთხოვნით, მოსარჩელეებმა სასამართლოს მიმართეს 2016 წლის 12 აგვისტოს.

პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე და განმარტა, რომ ქონებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ზიანის არსებობა. თუ არ არსებობს ზიანი, ვერც ქონებრივი პასუხისმგებლობა იარსებებს, ვინაიდან ზიანი არის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ამოსავალი წერტილი. არასახელშეკრულებო ზიანი არის ისეთი სახის ზიანი, რომლის დროსაც მხარეები არიან ერთმანეთთან ვალდებულებით ურთიერთობაში. დელიქტი გულისხმობს ერთი პირის უფლებამოსილებას მეორე პირისგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით პირი, რომელიც სხვა პირს მართლაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ზიანი არსებობს მაშინ თუ არის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, პირის ბრალეული ქმედება და ზიანი სახეზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მოქმედიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

პალატამ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას დადასტურებული ზიანის შედეგების არსებობის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ ზიანის, როგორც სამართლებრივი ცნების მსჯელობისას მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ზოგადი სახის პირობებად გვევლინება ზიანის გამომწვევი პირის ბრალეულობა, ქმედებას და დამდგარ შედეგს შორის კავშირი. ანუ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ სხვა ნორმატიულ კრიტერიუმებთან ერთად არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების დადასტურებული პირობები. საქმეში არსებული მასალების ერთობლიობაში შეფასების თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად (სახელმწიფო გასაცემლის შეწყვეტა), რეალური ზიანის ფაქტები მოსარჩელე მხარის მიმართ.

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ლ. კ-ისა და რ. გ-ის მოთხოვნა 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე შეწყვეტილი სახელმწი-

ფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ „დელტა“ წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას და შიიჩნევს, რომ მოსარჩელებს არ ეკუთვნით „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასაკობრივი პენსია, ვინაიდან ისინი ეწვიან ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ საჯარო საქმიანობას.

ამასთან, კასატორის მითითებით, სასამართლოს მსჯელობა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელებს 2013 წლის დეკემბრიდან შეუწყდათ სახელმწიფო პენსია, რომელიც სადაცოდ არ გაუხდიათ, შესაბამისად, მათთვის ცნობილი იყო, რომ არ იღებდნენ სახელმწიფო გასაცემელს და პქონდათ შეწყვეტილი. კასატორი მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177.2 და 180-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ მოსარჩელებს 2016 წლამდე არ მიუმართავთ სასამართლოსთვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან შეწყვეტილი პენსიის ანაზღაურების თაობაზე.

კასატორის მითითებით, სასამართლოს არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებზე, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, რომლის ათველა იწყება ამ ვადის დამიუკიდებლად და შეადგენს სამ წელს. სასამართლოს არ პქონდა სამართლებრივი საფუძველი ემსჯელა 2013-2016 წლების გასაცემლის გაანგარიშებაზე, ვინაიდან მოთხოვნა ამ ნაწილში ხანდაზმულია.

კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივლისის №ბს-481-478 განჩინებაზე და აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ უზდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება მოსარჩელების მოთხოვნა 2013 წლის 1 დეკემბრიდან სახელმწიფო გასაცემლის (პენსია) ანაზღაურებისა და ასევე 2016 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-

ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ლ. კ-ისა და რ. გ-ისათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში საფუძვლიანია, ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ ლ. კ-ისა და რ. გ-ისათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების ნაწილში არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა განსახილველ სამართალურთიერთობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ლ. კ-ისა და რ. გ-ის საპენსიო საქმეებით დასტურდება, რომ 2010 წლის 9 აგვისტოს ლ. კ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილებას და მოითხოვა მისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა. 2010 წლის 12 აგვისტოს №03/7985-10/01 გადაწყვეტილებით მას დაენიშნა ასაკობრივი პენსია, რომელიც შეუწყდა 2013 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძვლით.

2011 წლის 10 თებერვალს, რ. გ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფი-

ლებას და მოითხოვა მისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა. 2011 წლის 11 თებერვლის №03/1727 გადაწყვეტილებით მას დაენიშნა ასაკობრივი პენსია, რომელიც შეუწყდა 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძვლით.

2016 წლის 19 ივლისს ლ. კ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილებას და მოითხოვა მისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილების მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს გამოიცა №57995-49/16 გადაწყვეტილება სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო, ლ. კ-ს ვერ დაენიშნებოდა სახელმწიფო გასაცემელი (პენსია).

2016 წლის 19 ივლისს, რ. გ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილებას და მოითხოვა მისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილების მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს გამოიცა №57995-26/16 გადაწყვეტილება სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო, რ. გ-ეს ვერ დაენიშნებოდა სახელმწიფო გასაცემელი (პენსია).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ლ. კ-ისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-49/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ლ. კ-ისთვის 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემლის (პენსია) დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის ანაზღაურების, ასევე, „რ. გ-ისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-26/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის რ. გ-ისათვის 2016 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო გასაცემლის (პენსია) დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ამავე პერიოდიდან მიუღებელი სახელმწიფო პენსიის თანხის ანაზღაურების ნაწილში შესულია კანონი-

ერ ძალაში, ვინაიდან გადაწყვეტილების ამ ნაწილში საკასაციო სა-ჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 აპრილის განჩინებით არ იქნა დაშვებული. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასა-მართლოს შეფასების საგანია გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება მხოლოდ ლ. კ-ისა და რ. გ-ისთვის 2013 წლის 1 დეკემ-ბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე სახელმწიფო გასაცემლის (პენ-სიის) ანაზღაურების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო პენსიის შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომე-ლიც ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშო-ბილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორ-ციელების პერიოდში. ლ. კ-ს და რ. გ-ეს სწორედ ამ კანონის შესაბა-მისად, საჯარო საქმიანობის განხორციელების მოტივით შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაცია (პენსია), თუმცა იმ გარემოების დასა-დასტურებლად, რომ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში საქ-მიანობა არ მიიჩნევა საჯარო სამსახურში საქმიანობად, საკასა-ციო სასამართლო კვლავ მიუთითებს საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს მიერ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე დადგენილ პრაქ-ტიკაზე (სუს 2015 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №ბს-77-75(კ-15)), რომელშიც საკასაციო სასამართლომ სსიპ სახელმწი-ფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ მიიჩნია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად და განმარტა, რომ „სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ საქმიანობის მიმართულებით, მისი მიზნებით, ამოცანებით, ფუნ-ქციებითა და თავად ცენტრის შექმნის საფუძვლებით უდავოდ დგინდება ცენტრის საქმიანობის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათი, ხოლო დაწესებულების სახელმწიფება – სსიპ სახელმწიფო სამხედ-რო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ კიდევ ერთხელ ადას-ტურებს მისა საქმიანობის მთავარ მიმართულებას“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნ-ქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია სა-პენსიო ასაკის, მამაკაცებისათვის – 65 წლის ასაკის მიღწევა. ამას-თანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოქმნაბათ 60 წლიდან. მო-ცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელები – ლ. კ-ი და რ. გ-ე წარმოადგენენ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების მქო-ნე სუბიექტებს. ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მი-ხედვით, პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვეს პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფ-ლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოში-

დან წებისმიერ დღროს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლ. კ-ი და რ. გ-ე მუშაობდნენ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ და იღებდნენ ასაკობრივი საფუძვლით დანიშნულ სახელმწიფო პენსიას.

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო ლ. კ-ს 2013 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით შეუწყდა სახელმწიფო პენსიის გაცემა საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძვლით. მან 2016 წლის 19 ივლისს განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილებას და მოითხოვა მისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილების მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს გამოიცა №57995-49/16 გადაწყვეტილება სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო, ლ. კ-ს ვერ დაენიშნებოდა სახელმწიფო გასაცემელი (პენსია).

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო რ. გ-ეს 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით შეუწყდა სახელმწიფო პენსიის გაცემა საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძვლით. მან 2016 წლის 19 ივლისს, განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილებას და მოითხოვა მისთვის სახელმწიფო პენსიის დანიშვნა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის განყოფილების მიერ 2016 წლის 8 აგვისტოს გამოიცა №57995-26/16 გადაწყვეტილება სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ მუშაობის გამო, რ. გ-ეს ვერ დაენიშნებოდა სახელმწიფო გასაცემელი (პენსია).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, ბათილად არის ცნობილი სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს გადაწყვეტილები, თუმცა აღნიშნულით არ დგინდება სახელმწიფო პენსიის შეწყვეტიდან – 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ლ. კ-ისა და რ. გ-ისთვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძვლის არსებობა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები ადგენს, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერი-

ოდში. იმავე დათქმას შეიცავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/ საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესები“. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩევების 2016 წლამდე არ ნარუდგენიათ პრეტენზია 2013 წლიდან შეწყვეტილ პენსიასთან დაკავშირებით. მათ სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის ივლისის თვეში მიმართეს. 2013 წლის ნოემბრიდან სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის თაობაზე ა. კისა და რ. გ-ისთვის ცნობილი იყო შემდეგ პერიოდში ყოველთვიური პენსიის შეწყვეტის გაუცემლობის ფაქტით, მოსარჩელებს 2013 წლიდან არ ერიცხებოდათ საპენსიო თანხა (აღნიშნულის უარსაყოფად მოსარჩელები არ უთითებენ რაიმე მტკიცებულებაზე ან გარემოებაზე). შესაბამისად, ნლების განმავლობაში პენსიის მიუღებლობა ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელეთათვის უთუოდ ცნობილი იყო მისი შეწყვეტის შესახებ, თუმცა აღნიშნულის მიუხედვად, მათ პენსიის შეწყვეტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილ ერთოვან ვადაში არ გაუსაჩივრებიათ.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, 2013 წლიდან პენსიის გაცემის საფუძველს არ ქმნის საპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება წერილობით არ გამოცემულა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას წერილობით ან ზეპირად. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელები მიიჩნევდნენ საჯარო სამსახურის დაწყების გამო პენსიის შეწყვეტას მათი უფლების შეზღუდვად, მათ უნდა მოეთხოვათ აქტის წერილობითი გამოცემა და უნდა გაესაჩივრებინათ აქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელებს 2013 წლის ნოემბრიდან შეუწყდათ სახელმწიფო პენსია, მოსარჩელების პენსიის გაუცემლობა წლების განმავლობაში სადაც არ გაუხდიათ, მათ არც ყოველთვიური სარგებლის გაუცემლობის სახით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს უმოქმედობა გაუსაჩივრდებიათ.

სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება სადაც გახადოს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არამედ გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება – მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა გასაჩივრდეს იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული პი-

რისათვის ცნობილი გახდა მოქმედების განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ (იხ. სუს 17.01.2019წ. გადაწყვეტილება, საქმეზე №ბს-79-79(კ-18)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება. ლ. კ-სა და რ. გ-ეს არ მიუმართავთ ზემდგომი ორგანოსათვის ადმინისტრაციული საჩივრით, არ აღუძრავთ სასამართლოში სარჩელი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აქტის ბათილად ცნობაზე უფლებამოსილი სუბიექტებია უშუალოდ აქტის გამომცემი ორგანო, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო. განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება, რომ 2016 წლის ივლისის თვემდე ლ. კ-მა და რ. გ-ემ პენსიის შეწყვეტა ანუ მათი უფლებების ხელყოფა რაიმე ფორმით სადაცოდ გახადეს ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსიის დანიშვნაზე გადაწყვეტილება მიიღება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით და „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით. პენსიის შეწყვეტის საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე საფუძვლით პენსიის დანიშვნა არ ნიშნავს პენსიის აღდგენას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, პენსიის განახლება დასაშვებია პენსიის შეჩერების შემთხვევაში. შეჩერებული პენსიის განახლება მოხდება პენსიის მიმღები პირის მიერ სააგენტოში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურდება ნარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან, ხოლო პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში ხდება მისი ახლიდან დანიშვნა.

პენსიის აღდგენას და ასევე გასული შერიოდისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევ-

ვაში, ასეთ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა თავისი არსით შესაძლოა მიჩნეულ იქნეს პენსიის შეჩერებად (სუს 02.07.20156. №ბს-77-75(კ-15) გადაწყვეტილება). რაც შეეხება განსახილველ დავას, პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები მოცემულ შემთხვევაში არ გასაჩივრებულა, არ დადგენილა მისი უკანონობა. მოსარჩელებმა მოითხოვეს მხოლოდ სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს 2016 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა. მოცემულ შემთხვევაში, უკანონოდ არის ცნობილი სიი სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-49/16 გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. კ-ს უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე და ამავე ორგანოს 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-26/16 გადაწყვეტილება, რომლითაც რ. გ-ეს უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე. მათ არ გაუსაჩივრებიათ გადაწყვეტილება, რომლითაც 2013 წლის ნოემბრიდან შეუწყდათ სახელმწიფო პენსიის მიღება, შესაბამისად, არ არსებობს მოსარჩელეთა სასარგებლოდ 2013 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ზიანად მიჩნევისა და მისი მოსარჩელეთათვის ანაზღაურების პირობა. მოცემული დავის საგანია სიი სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-49/16 და 2016 წლის 8 აგვისტოს №57995-26/16 გადაწყვეტილებების კანონიერება. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით სასამართლომ ბათილად ცნო მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა და მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს სააგენტოს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ.: პირის მიერ საპენსიონ ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა ხდება პენსიის დანიშვნის შესახებ პირის განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე. ასევეა პენსიის შეწყვეტის შემთხვევაშიც. შეწყვეტის შედეგების აღმოფხვრა, სახელმწიფო პენსიის გაცემის აღდგენა საფიროებდა პენსიის შეწყვეტის გასაჩივრებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება პენსიის აღდგენის შესახებ არ არის დასაბუთებული, ვი-

ნაიდან პენსიის შეწყვეტის შემდეგ ხდება არა პენსიის განახლება, არამედ ხელახალი დანიშვნა, შეწყვეტილი პენსიის ხელახლა და-ნიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მი-იჩინებს, რომ ლ. კ-მა და რ. გ-ემ მოიპოვეს პენსიის მიღების უფლება მიმართვის, კერძოდ, 2016 წლის 19 ივნისის მომდევნო თვიდან და არა 2013 წლის 1 დეკემბრიდან. ამდენად, 2013 წლის 1 დეკემბრი-დან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის სახით თანხის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკითხის ამგვარი გა-დაწყვეტა შეესაბამება მითითებულ საკითხზე საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას. სააპელაციო სასამარ-თლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში კი განსხვავდება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან (20.07.2017წ. განჩინება, საქმეზე №ბს-481-478(2კ-17); 22.11.2018წ. გადაწყვეტილება, საქ-მეზე №ბს-666-666(კ-18)).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-თლო მიიჩინებს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ლ. კ-ისა და რ. გ-ის-თვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე სახელ-მწიფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილ-ში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხ-ლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომ-ლითაც ლ. კ-ისა და რ. გ-ის სარჩელი 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნა-წილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ დ ვ თ ა:**

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩი-ვარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება ლ. კ-ისა და რ. გ-ისათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგ-

ვისტომდე სახელმწიფო გასაცემლის (პენსიის) ანაზღაურების ნანილში და ამ ნანილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ლ. კ-ისა და რ. გ-ის სარჩელი 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ნანილში არ დაკამაყოფილდეს;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პენსიის შეცვალის კანონიერება; მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი

### განცილება საქართველოს სახელით

№ბს-1510(კ-18)

23 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 2 თებერვალს დ. ფ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ჩხოროწყუს მაგისტრატ სასამართლოს, მოპასუხების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხოროწყუს რაიონული განყოფილების მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის სამი თვის გაუცემელი პენსიის ... წლის ...ის, ...ისა და ...ის, სულ – 540 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ 2018 წლის 2 აპრილის სასამართლო სხდომაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საპოლონდ, მოპასუხისათვის ...ისა და ...ის თვეების პენსიის – 374 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი ... წლის ... დან ... წლის ... ის ჩათვლით ხელშეკრულებით დანიშნული იყო ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრად, რის გამოც შეუჩერდა პენსია იმ მოტივით, რომ იგი კომისიაში ეწეოდა საჯარო საქმიანობას, რა-

საც დ. ფ-ა არ ეთანხმება და ითხოვს ...ის თვეში გაუცემელი პენსი-ის მიღებას. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, ბუღალტრის უფ-ლებამოსილების ამონურვის შემდგომ, მან ვერ მიიღო, აგრეთვე, ...ის თვის პენსიაც, რისი მიღების მოთხოვნაც ასევე გააჩნია მას. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მის მიმართ არსებული ორი თვის დავა-ლიანება ჯამში 374 ლარს შეადგენს.

ჩხოროწყუს მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ფ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელე დ. ფ-ა იღებდა ყოველთვიურ პენსიას 187 ლარის ოდენობით.

№69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ... წლის ... ს №... განკარგულებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ... წლის ... დან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დ. ფ-ას ბუღალტრად დანიშნის თაობაზე.

მითითებული განკარგულება საფუძვლად დაედო დ. ფ-ასა და №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შო-რის ... წლის ... ს №... შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას, რომ-ლითაც – დამსაქმებელმა №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კო-მისიამ, მოსარჩელე დ. ფ-ა მიიღო საბუღალტრო-საფინანსო საქმი-ანობის შესასრულებლად. ხელშეკრულების მოქმედების ვადა გა-ნისაზღვრა ... წლის ... დან სცკ-ში საფინანსო ანგარიშების წარ-დგენამდე (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 53, მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დასრულებამდე).

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დ. ფ-ა №69 ჩხოროწ-ყუს საოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრის უფლებამოსილე-ბას ახორციელებდა როგორც საჯარო მოსამსახურე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „პენსიის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე, საჯარო საქმია-ნობის განხორციელების გამო დ. ფ-ას ... წლის ... დან შეუწყდა პენსიის მიღება. ამასთან, მოსარჩელე დ. ფ-ა №69 ჩხოროწყუს სა-ოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრის საჯარო საქმიანობას ას-რულებდა ... წლის ... ის ჩათვლით. აღნიშნულის გამო, მოსარჩე-ლემ ვერ მიიღო ... წლის ... ის თვის პენსია.

საჯარო – საბუღალტრო საქმიანობის პერიოდის ამონურვის შემდგომ, დ. ფ-ამ მოპასუხეს პენსიის დანიშნის მოთხოვნით ... წლის ... ის თვეში მიმართა, რის გამოც მასზე არ გაიცა იმავე წლის ... ის თვის პენსია.

განსახილევლ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარ-ჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად გამოსაკვლევი იყო გა-რემოება, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე №69 ჩხოროწ-

ყუს საოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრის უფლებამოსილების განხორციელებისას მოსარჩელე წარმოადგენდა თუ არა საჯარო მოსამსახურეს, რაც არსებითი საკითხი იყო მოსარჩელისათვის მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მოპასუხეს მისთვის პენსიის მიცემაზე უარის თქმის საფუძველი არ გააჩნდა, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიაში მისი საქმიანობა არ უნდა ყოფილიყო აღქმული საჯარო საქმიანობად.

სასამართლომ მიუთითა საარჩევნო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება: ა) ცესკოსა და მისი აპარატისგან; ბ) უსკოსა და მისი აპარატისგან; გ) საოლქო საარჩევნო კომისიებისგან; დ) საუბრო საარჩევნო კომისიებისგან.

სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე მხარე თავის მოთხოვნას ამყარებდა იმავე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ცესკოსა და უსკოს აპარატების თანამშრომლები (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) საჯარო მოხელეები არიან და მათზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ აღნიშნული ნორმის მოხმობა სადაც საკითხის მოსაწესრიგებლად არ იყო მართებული. რადგენადაც დავა დაკავშირებული იყო მოსარჩელის საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთ ორგანოში – №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიაში საქმიანობასთან, აუცილებელი იყო სწორედ საოლქო საარჩევნო კომისიის მარეგულირებელი ნორმების ხილვა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტზე, რომლის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დანიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულებით დაიქირაოს დამხმარე და ტექნიკური პერსონალი (გარდა ბუღალტრისა) ცესკოს განკარგულებით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში, თუმცა იმავე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დაიქირაოს ბუღალტერი ამ კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დასრულებამდე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ ასეთი ხელშეკრულება დაიდო მოსარჩელესთან 2017 წლის 23 აგვისტოს. სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არის პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ად-

მინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, ხოლო იმავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირია ის პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება.

ზემოხსნებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საფუძვლების ურთიერთშეჯერების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე საოლქო საარჩევნო კომისიაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ბულალტრად მუშაობის პერიოდში წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რის გამოც მას მოპასუხი-საგან მართებულად ეთქვა უარი ... წლის ... ის თვის პენსიის გაცემაზე.

რაც შეეხება ... ის თვის პენსიას, სასამართლოს მითითებით, დადგენილი იყო, რომ მოსარჩელეს საოლქო საარჩევნო კომისიაში საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო ... წლის ... დან შეუწყდა პენსიის მიღება.

სასამართლომ განმარტა, რომ „პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა შეწყვეტილი პენსიის ავტომატურ რეჟიმში აღდგენის საფუძველს და აღდგენისათვის აუცილებელი იყო, დაინტერესებულ პირს განცხადებით მიემართა კომპეტენტური ორგანოსათვის იმავე კანონის მე-5 თავით გათვალისწინებული წესით, რაც მოსარჩელის მიერ ... ის თვეში განხორციელდა.

„პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ კომპეტენტური ორგანო დააკამყოფილებს განცხადებას პენსიის დანიშნვის თაობაზე, პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ მან სოციალური მომსახურების სააგენტოს პენსიის ხელახლა დანიშნების მოთხოვნით მიმართა ... წლის ... ის თვეში, რაც ნიშნავდა იმას, რომ მას მითითებული ნორმიდან გამომდინარე, ... წლის ... ის თვის პენსია არ ეკუთვნოდა.

ჩხორონებუს მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ფ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ფ-ას სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ჩხორონებუს მა-

გისტრატი სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ფ-ას სა-სარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დ. ფ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი პენ-სიის ანაზღაურება 374 ლარის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ფ-ა №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნიო კომისიაში ბუ-ლალტრად შრომითი ხელშეკრულებით იყო დასაქმებული, ბულალტრის ფუნქციების გათვალისწინებით კი იგი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო საარჩევნო ადმინისტრაციის საჯარო მოხელედ, ვინა-დან იგი არ იყო დანიშნული მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე და მისთვის მინიჭებული ფუნქციების გათვალისწინებით, არ ახორციელებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მნიშვნელოვანი იყო, რომ ბულალტერი არ განსაზღვრავდა კონკრეტული საოლქო საარჩევნო კომისიის საქმანობის მიმართულებებს, იგი თავის უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელი იყო მხოლოდ ფინანსების ხარჯებასა და შესაბამისი ანგარიშების წარდგენაზე. შესაბამისად, იგი წარმო-ადგენდა არამუდმივი ამოცანების შესრულებაზე უფლებამოსილ პირს, რომელიც იყო უშუალო შემსრულებელი მასზე დაკისრებული ფუნქციების და არა მათი განმსაზღვრელი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის მიხედვით, ცესკოსა და უსკოს აპარატების თანამშრომლები (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) საჯარო მოხელეები არიან და მათზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაც პერიოდში, დ. ფ-ა კანონის მოთხოვნათა დარღვევით არ იქნა უზრუნველყოფილი პენსიით, რისი გაცემის ვალდებულებაც სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე, გააჩნდა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს. ამდენად, მისი მოთხოვნა – მიუღებელი პენსიის 374 ლარის ოდენობით ანაზღაურების თაობაზე, საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხოროწყუს რაიონულმა განყოფილებამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა

კანონი, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არის პროფესიული საჯარო მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, ხოლო იმავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი განმარტავს, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირია ის პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველყოფაზე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება. კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.

კასატორი მიუთითებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება: ა) ცესკოსა და მისი აპარატისგან; ბ) უსკოსა და მისი აპარატისგან; გ) საოლქო საარჩევნო სუბიექტებისგან; დ) საუბნო საარჩევნო კომისიებისგან. კასატორის აღნიშვნით, მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს ამავე მუხლის მე-5 ნაწილზე, მაგრამ, მოპასუხის მოსაზრებით, სადაცო საკითხის მართებული გადაწყვეტისათვის მხოლოდ მითითებული ნორმის მოხმობა არ არის საკმარისი. კერძოდ, კასატორი მიუთითებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლზე და განმარტავს, რომ დასახელებული ნორმის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დანიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე უფლება აქვს შრომითი ხელშეკრულებით დაიქირავოს დამხმარე და ტექნიკური პერსონალი, მათ შორის, ბუღალტერი. კასატორი აღნიშნავს, რომ ... წლის ... ს მოსარჩელესთან სწორედ ასეთი ხელშეკრულება დაიდო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სისიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხორციუს რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხორციუს რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციონ საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შე-დეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხორონცუს რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის საა-ჰელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე დ. ფ-ა იღებდა ყო-ველთვიურ პენსიას 187 ლარის ოდენობით.

№69 ჩხორონცუს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ... წლის ... ს №... განკარგულებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ... წლის ... დან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დ. ფ-ას ბუღალტრად დანიშვნის თაობაზე.

მითითებული განკარგულება საფუძვლად დაედო დ. ფ-ასა და №69 ჩხორონცუს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შო-რის ... წლის ... ს №... შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას, რომ-ლითაც – დამსაქმებელმა №69 ჩხორონცუს საოლქო საარჩევნო კო-მისიამ, მოსარჩელე დ. ფ-ა მიიღო საბუღალტრო-საფინანსო საქმი-ანობის შესასრულებლად. ხელშეკრულების მოქმედების ვადა გა-ნისაზღვრა ... წლის ... დან სც-ში საფინანსო ანგარიშების წარ-დგენამდე (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დასრულებამდე).

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დ. ფ-ა №69 ჩხორონ-ცუს საოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრის უფლებამოსილე-ბას ახორციელებდა როგორც საჯარო მოსამსახურე.

„პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძ-ველზე, საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო, დ. ფ-ას ... წლის ... დან შეუწყდა პენსიის მიღება. ამასთან, მოსარჩელე დ. ფ-ა №69 ჩხორონცუს საოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრის სა-ჯარო საქმიანობას ასრულებდა ... წლის ... ის ჩათვლით. აღნიშნუ-ლის გამო, მოსარჩელემ ვერ მიიღო ... წლის ... ის თვის პენსია.

საჯარო – საბუღალტრო საქმიანობის პერიოდის ამონურვის შემდგომ, დ. ფ-ამ მოპასუხეს პენსიის დანიშვნის მოთხოვნით ... წლის ... ის თვეში მიმართა, რის გამოც მასზე არ გაიცა იმავე წლის ... ის თვის პენსია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილ-ველ შემთხვევაში, დავის საგანს მოპასუხე სსიპ სოციალური მომ-სახურების სააგენტოს ჩხორონცუს რაიონული განყოფილებისათ-ვის მოსარჩელის – დ. ფ-ას სასარგებლოდ ... ისა და ... ის თვეების პენსიის – 374 ლარის ანაზღაურების დაკისრება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის პირველი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულ პირთა მიერ სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულებას იღებს უზრუნველყონ ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება დიდხანს. მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გამოიხატება ადეკვატური სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის წორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულ პირთა სოციალური უფლებების მიმართ სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, არა მხოლოდ აღიაროს აღნიშნულ პირთა სოციალური უფლებების არსებობა, არამედ საპენსიონ სისტემასთან დაკავშირებული ქმედითი ეროვნული კანონმდებლობის შექმნისა

და არსებულის დახვეწის გზით, აგრეთვე, უზრუნველყოს ხსენებულ უფლებათა რეალიზებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი გარანტიების შექმნა. პოზიტიურ ჭრილში, სახელმწიფო, ასევე, ვალდებულია, დასახელებული ვალდებულებების ზედმინევნითი განხორციელებით მოახდინოს ხანდაზმულ პირთა სოციალური უფლებების ეფექტური დაცვა და შეაძლიროს მათი ხელყოფის რისკები. ამასთან, პენსიის მიღების უფლების საჯარო-სამართლებრივი შინაარსის გათვალისწინებით, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას სახელმწიფოს მიერ პენსიის გაცემის შემსვედრი ვალდებულებით აღჭურვით, სახელმწიფოს სოციალურ უფლებათა მიმართ წარმოქმნა ნეგატიური ვალდებულებაც – საპენსიო სისტემის ფორმირების შედეგად ნაკისრი ვალდებულებების განუხორციელებლობით თავად არ ხელყოს ხანდაზმულ პირთა სოციალური გარანტიები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრის პოზიციაზე მუშაობის საფუძვლით დ. ფ-ას სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხოროწყუს განყოფილების ... წლის ... ის გადაწყვეტილებით შეუჩერდა პენსიის გაცემა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის II თავი განსაზღვრავს პენსიის დანიშვნის წესსა და პირობებს, კერძოდ, მითითებული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოქმნათ 60 წლიდან. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პენსიაზე უფლება არ წარმოშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპენსიო ასაკს მიღწეული პირისათვის პენსიის უფლების წარმოშობის დამაპროლებელ გარემოებას ან წარმოშობილი უფლების შეწყვეტის საფუძველს პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო საქმიანობის ცნებას განსაზღვრავს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო საქმიანობა არს სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადე-

მიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადე-  
მიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ად-  
რეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარე-  
შე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებული დაწესე-  
ბულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქ-  
მიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კო-  
მისაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანო-  
ბა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ გან-  
ხორციელებული შრომითი ანაზღაურებად საქმიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საარჩევნო  
კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სა-  
ქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ად-  
მინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების  
ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან  
და იქმნება ამ კანონის შესაბამისად. საქართველოს საარჩევნო ად-  
მინისტრაციის უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრე-  
ბა ამ კანონით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს საარ-  
ჩევნო ადმინისტრაცია შედგება: ა) ცესკოსა და მისი აპარატისგან;  
ბ) უსკოსა და მისი აპარატისგან; გ) საოლქო საარჩევნო კომისიე-  
ბისგან; დ) საუბნო საარჩევნო კომისიებისგან. ამავე მუხლის მე-5  
ნაწილის მიხედვით, ცესკოსა და უსკოს აპარატების თანამშრომ-  
ლები (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა)  
საჯარო მოხელეები არიან და მათზე ვრცელდება „საჯარო სამსა-  
ხურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-9 ნაწი-  
ლის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების და-  
ნიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე უფლება აქვს, შრომითი ხელ-  
შეკრულებით დაიქირაოს დამხმარე და ტექნიკური პერსონალი  
(გარდა ბუღალტრისა) ცესკოს განკარგულებით დადგენილი რაო-  
დენობის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, სა-  
ოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის მე-9 პუნ-  
ქტით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში შრომითი ხელშეკ-  
რულებით დაიქირაოს ბუღალტერი ამ კანონის 53-ე მუხლის მე-5  
პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დასრულებამდე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს  
ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №2/  
2012 დადგენილებით დამტკიცებული „საოლქო საარჩევნო კომი-  
სიის რეგლამენტის“ მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, კომისიის  
საქმიანობის გამართულად და ეფექტურად წარმართვის მიზნით,  
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს არჩევნების დანიშ-  
ვნის შემდეგ მის დასრულებამდე უფლება აქვს, შრომითი ხელშეკ-

რულებით დაიქირაოს საოლქო საარჩევნო კომისიის დამხმარე და ტექნიკური პერსონალი (გარდა ბუღალტრისა), მათ შორის, იურისტი, ცესკოს განკარგულებით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში და თანამდებობრივი სარგოვბის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობების გათვალისწინებით. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დაიქირაოს ბუღალტერი ცესკოში შესაბამისი საფინანსო ანგარიშის ნარდგენის პროცედურების დასრულებამდე. კომისიის ბუღალტერი, დამხმარე და ტექნიკური პერსონალი წარმოადგენენ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს და ასრულებენ კომისიის თავმჯდომარის დაგალებებსა და მათზე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დაყისრებულ სხვა ვალდებულებებს. კომისიის ბუღალტერს, დამხმარე და ტექნიკურ პერსონალს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში ენიშნებათ შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული დაგის ფარგლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ახორციელებდათ თუ არა №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრის თანამდებობაზე დანიშნული დ. ფა-ა საჯარო საქმიანობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არის პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე არის პირი, რომელიც უგადოდ ინიშნება მოხელისათვის განცემობილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფა მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად კი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს საქმის მა-  
სალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, დ. ფ-ა  
№69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნიო კომისიაში ბუღალტრად  
შრომითი ხელშეკრულებით იყო დასაქმებული. საკასაციო სასამარ-  
თლო განმარტავს, რომ პირის საჯარო სამსახურში დასაქმება ავ-  
ტომატურად არ გულისხმობს მის მიერ საჯარო საქმიანობის გან-  
ხორციელებას. პირის საჯარო საქმიანობის განმახორციელებელ  
სუბიექტად კვალიფიკაცია საჭიროებს საკითხის კუმულაციურ შე-  
ფასებას, კერძოდ, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის სტა-  
ტუსის, მისი თანამდებობის, მისთვის შრომითი ურთიერთობის ფარ-  
გლებში დაკისრებული ფუნქციების ხასიათისა და სხვა მნიშვნე-  
ლოვანი საკითხების ერთიან გამორკვევას. საკასაციო სასამართლო  
მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ნიშანდობლივია აღი-  
ნიშნოს ის, რომ დ. ფ-ა №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნიო კომი-  
სიაში ბუღალტრად მუშაობის პერიოდში არ წარმოადგენდა საჯა-  
რო მოხელეს, ვინაიდან იგი არ იყო დანიშნული მოხელისათვის გან-  
კუთვნილ საშტატო თანამდებობაზე, არამედ კონკრეტული პირო-  
ბების - ცესკოში შესაბამისი საფინანსო ანგარიშის წარდგენის პრო-  
ცედურების დასრულებამდე, გარკვეული ვადით იყო დასაქმებუ-  
ლი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, საქართვე-  
ლოს საარჩევნო კოდექსისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ სა-  
ქართველოს კანონის ზემოაღნიშნული დანაწესების კუმულაციუ-  
რი ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არსებითად  
მიიჩნევს საჯარო სამსახურში პირთა შრომითი ხელშეკრულებით  
დასაქმების მიზანსაც, კერძოდ, ხსნებულ პირთა საჯარო სამსა-  
ხურის სისტემაში საქმიანობა უკავშირდება არა საჯარო-სამარ-  
თლებრივი უფლებამოსილებების უშუალოდ მათი მხრიდან განხორ-  
ციელებას, არამედ დამხმარე ან არამუდმივი ფუნქციების შესრუ-  
ლების გზით საჯარო სამსახურის საქმიანობის ხელშეწყობას. შე-  
საბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო მოწესრიგება ცხადყოფს  
იმას, რომ კანონმდებელი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ  
პირებს ანიჭებს საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველ-  
მყოფელ, საჯარო საქმიანობის ხელშემწყობ პირთა სტატუსს, რი-  
თიც აღნიშნულ პირებს ფაქტობრივად გამოყოფს საჯარო საქმია-  
ნობის უშუალოდ განმახორციელებელი სუბიექტებისაგან.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, განმარტავს, რომ მოსარჩე-  
ლის მიერ №69 ჩხოროწყუს საოლქო საარჩევნიო კომისიაში ბუღალ-  
ტრული საქმიანობა არ გულისხმობს მისი მხრიდან საჯარო-სამარ-  
თლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებას. საოლქო საარ-  
ჩევნო კომისიის ბუღალტერი არ განსაზღვრავს კონკრეტული კო-  
მისიის საქმიანობის მიმართულებებს, იგი თავისი უფლებამოსილე-

ბების ფარგლებში პასუხისმგებელია მხოლოდ ფინანსების ხარჯვა-სა და შესაბამისი ანგარიშების წარდგენაზე. შესაბამისად, იგი წარ-მოადგენს არამუდმივი ამოცანების შესრულებაზე უფლებამოსილ პირს, რომელიც არის მასზე კომისიის თავმჯდომარის მიერ დაკის-რებული ფუნქციების უშუალო შემსრულებელი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხ-ლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, საჯარო საქმიანობა არის სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო და-წესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართვე-ლოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმე-ბისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკო-ლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღ-მზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებები-სა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. სა-ჯარო საქმიანობად არ მიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში გან-ხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლ-ქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელე-ბული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ზემოაღ-ნიშნული დანაწესით კანონმდებელმა საჯარო საქმიანობიდან ამო-რიცხა საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ გან-ხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. მითითე-ბულ საკანონმდებლო რეგულაციასთან განსახილველი შემთხვევ-ვის მსგავსება ვლინდება იმაში, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის ბუღალტრის მსგავსად, საუბნო თუ საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრიც გარკვეული პირობების დასრულებამდე ახორ-ციელებს მინიჭებულ უფლებამოსილებებს. შესაბამისად, იმ პირო-ბებში, როდესაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კა-ნონი მხოლოდ საქმიანობის დროებითი ხასიათის გამო ცალსახად საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებათა განმახორციელებუ-ლი საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი დანიშნული წევრის საქ-მიანობას საჯარო საქმიანობად არ განიხილავს, ყოვლად გაუმარ-თლებელი და უთანასწორო იქნებოდა მით უფრო შრომითი ხელ-შეკრულების საფუძველზე კონკრეტული ვადით (ასევე დროებით) დასაქმებული ბუღალტრის საჯარო საქმიანობის განმახორციელე-ბელ სუბიექტად მიჩნევა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით,

გარდა იმისა, რომ დ. ფ-ას საოლქო საარჩევნო კომისიაში მუშაობა თავისი არსით დაუშვებელია საჯარო საქმიანობად იქნეს მიჩნეული, ამასთან, გასათვალისწინებელია ის პოტენციური უთანასწორო ვითარება, რომელიც, ზემოხსენებული მიზეზების გამო, საოლქო საარჩევნო კომისიის ბუღალტრის საჯარო საქმიანობად კვალიფიკაციის შეეძლო გამოეწვია.

ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სადაც პერიოდში დ. ფ-ა კანონის მოთხოვნათა დარღვევით არ იქნა უზრუნველყოფილი პენსიით, რისი გაცემის ვალდებულებაც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი პენსიის – 374 ლარის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხოროწყუს რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დადგინა:**

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხოროწყუს რაიონული განყოფილების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმიწოდების დანიშნულების მიზნით წელთა  
ნამსახურების ანგარიშის შედგენა და სიი სოციალური  
მომსახურების სააგენტოში გადაგზავნა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1362(კ-19)

25 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-  
ლად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალება

**აღნერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 18 ივნისს თ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმარ-  
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-  
ტროს მიმართ.

მოსარჩელემ თ. გ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დაინშ-  
ვნის მიზნით, მისი წელთა ნამსახურობის ანგარიშის შედგენასა და  
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაგზავნაზე უა-  
რის თქმის ნაწილში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
2017 წლის 19 მაისის MIA ... წერილობითი მიმართვის ბათილად ცნო-  
ბა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, სსიპ სო-  
ციალური მომსახურების სააგენტოში სახელმწიფო კომპენსაციის  
დაინშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით მოსარ-  
ჩელე თ. გ-ის წელთა ნამსახურობის ანგარიშის გადაგზავნის და-  
ვალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2018 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით თ. გ-ის  
სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწ-  
ყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტროს 2017 წლის 19 მაისის MIA ... წერილობითი მიმართვა  
მოსარჩელე თ. გ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დაინშვნის  
მიზნით, მისი წელთა ნამსახურობის ანგარიშის შედგენასა და სსიპ  
სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაგზავნაზე უარის  
თქმის ნაწილში და მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე თ. გ-მა, 2017 წლის 20 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ითხოვა მისი წელთა ნამსახურობის ანგარიშის შედგენა და მისი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენა მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 19 მაისის MIA ... წერილობითი მიმართვით, მოსარჩელე თ. გ-ს ეცნობა, რომ მისი საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში ნამსახურობა შეადგენდა 14 წელს 8 თვესა და 18 დღეს, რის გამოც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარსადგენად, მისთვის წელთა ნამსახურობის გაანგარიშება მოემზადებინა.

საქმეში წარმოდგენილი ნამსახურობის ნუსხების თანახმად, მოსარჩელე თ. გ-ი 1973-1975 და 1991-2003 წლებში, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებისა, ასევე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე.

საქალაქო სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, 21-ე, 42-ე მუხლებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, მე-5, მე-9, 53-ე, 60<sup>1</sup>-ე, 96-97-ე მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 24-ე, 32-ე მუხლებით; „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-11 მუხლებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-6, მე-8, 23-ე, 26-ე მუხლებით, „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის წე-

სის (დანართი №2) მე-2, მე-15 მუხლებით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩევე თ. გ-მა, 2017 წლის 20 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქ-მეთა სამინისტროს და მოითხოვა მისი წელთა ნამსახურობის ანგა-რიშის შედგენა და მისი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენ-ტოში წარდგენა მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 19 მაისის №MIA ... წერილობითი მიმართვით, მოსარჩევე თ. გ-ს ეცნობა, რომ მისი საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში ნამსახურობა შეადგენდა 14 წელს, 8 თვესა და 18 დღეს, რის გამოც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოკლებული იყო შე-საძლებლობას, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარ-სადგენად, მისთვის წელთა ნამსახურობის გაანგარიშება მოემზა-დებინა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენი-ლი ნამსახურობის წუსხებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩევე თ. გ-ი 1973-1975 და 1991-2003 წლებში, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებისა მსახურობდა ასევე საქართველოს თავდაც-ვის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, რაც მოპასუხე სა-ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სადავო ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივ აქტში არ შეფასებულა.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოპასუხე – სა-ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სადავო ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტით ისე გადაწყვიტა მოსარჩევე თ. გ-ის სახელმწიფო კომპენსაციასთან დაკავშირებული უფლების საკით-ხი, რომ არ გამოუკვლევია, არ შეუფასებია და სადავო ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივ აქტში არ აუსახვას მისი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ნამსახურობის წლები მაშინ, როდესაც როგორც ზემოთ აღინიშნა კანონი სახელმწიფო კომპენსაციას ით-ვალისწინებს, როგორც სამხედრო სამსახურში, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში 20 და 20-ზე მეტი წლის ნამსახურო-ბის შემთხვევაში, ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურების მიმართ, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამ-სახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ უფლებამოსილმა ადმინისტრაციულ-მა ორგანომ წელთა გაანგარიშებაში უნდა ასახოს პირის მიერ ნამ-სახურების ყველა პერიოდი, როგორც შინაგან საქმეთა ორგანოებ-ში, ისე სამხედრო სამსახურში, რისთვისაც კანონით დადგენილი

წესით უნდა მოიძიოს და გამოიკვლიოს შესაბამისი მტკიცებულებები. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოძიებული და გამოკვლეული გარემოებები პირის ნამსახურობის წლებთან დაკავშირებით, უნდა გადაუგზავნოს სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რათა მას შესაძლებლობა მიეცეს განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, შეაფასოს და გადაწყვეტილება მიიღოს პირი აქმაყოფილებს თუ არა კანონით გათვალისწინებულ პირობებს სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად, რამდენადაც როგორც აღინიშნა ზემოთ მითითებული კანონი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის სხვადასხვა საფუძვლებს ითვალისწინებს.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ წელთა ნამსახურობის გაანგარიშების სისიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაგზავნის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე გამოცემულად მიიჩნია და მოპასუხეს, აღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა, არ არსებობდა მითითებული სასარჩელო მოთხოვნის დაკავაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ცალ-ცალკე გაასაჩივრეს თ. გ-მა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. აპელანტმა – თ. გ-მა სარჩელის დაკავაყოფებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაემაყოფილება მოთხოვნა, ხოლო აპელანტმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკავაყოფებაზე უარის თქმა მოთხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 ივლისის განჩინებით თ. გ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაემაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა პალატის 2018 წლის 23 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. გ-მა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

კასატორმა – თ. გ-მა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის – თ. გ-ის განმარტებით, სასამართლოს მიერ დადასტურდა, რომ მისი ნამსახურების ხანგრძლივობა სრულად აქმაყოფილებდა სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ პუნქტის მეორე ნაწილს, რადგან კასატორი განეცემული განვითარებით იმ სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორიას, რომელიც შევიდა სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილ იქნა ზღვრული ასაკის გამო, აქვს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურების მინიმუმ 10 კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20-ზე მეტი კალენდარული წელი, რაც ცალსახად სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის წინაპირობა იყო.

კასატორი განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილობით პქონდა აღიარებული მისი წელთა ნამსახურების პერიოდი (14 წელი, 8 თვე და 18 დღე), არ მოხდა შესაბამისი ინფორმაციის გადაგზავნა უფლებამოსილ ორგანოში. კასატორი თვლის, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის ფუნდამენტური უფლების დარღვევით (რადგანაც მოპასუხე მხარეს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენდა), უარი უთხრეს მოსარჩელეს მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო კასატორის მრავალრიცხოვანი წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, შეგნებულად თავს არიდებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას დაეკმაყოფილებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წლების განმავლობაში შებრძოლი ადამიანის კანონიერი მოთხოვნა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი თქვა მის მიერ წერილობით აღიარებული წელთა ნამსახურების ვადის გადაგზავნაზე მომსახურეობის სააგენტოში. სამინისტროსათვის ნამსახურების ნუსხის „გადაგზავნის მასტიმულირებელი“ სასამართლო დავაც კი არ აღმოჩნდა. კასატორი თვლის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პოზიციის ცვლილება არ მოხდება, რადგან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტილისათვის სამინისტროს პქონდა არაერთი თვე და არაერთი შესაძლებლობა, მათ შორის სასამართლო დავის მიმდინარეობისას, თუმცა თავი აარიდა აღნიშნული ნამსახურების ნუს-

ხის გადაგზავნას. კასატორი თვლის, რომ ახალი აქტის გამოცემის შემდეგ მოსარჩევეს კვლავ მოუწევს სასამართლოს გზით აქტის გასაჩივრება და ასე – დაუსრულებლად.

კასატორმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გან-ჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმა-ყოფილებაზე უარის თქმა მოთხოვა.

კასატორი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღ-ნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში თ. გ-ი სადაცოდ არ ხდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაანგარიშე-ბულ ნამსახურების დროს, კერძოდ 14 წელს, 08 თვეს და 18 დღეს, რაც ვერ აკმაყოფილებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოე-ბის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგ-ში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზ-რუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით მოთხოვნებს. კასატორის განმარტებით, სწორედ ამ მი-ზეზის გამო ვერ ხერხდება უწყების მიერ წარდგინების მომზადე-ბა და სააგენტოში გადაგზავნა, ვინაიდან მხარისათვისაც ცნობი-ლია, რომ ის ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და ამდენად აზრს მოკლებულია სააგენტოსათვის გაანგარიშების გადაგზავნა, რადგან იგი მხარისათვის არანაირი სამართლებრივი შედეგის მომტანი არ იქნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოება-ში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოება-ში იქნა მიღებული თ. გ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 19 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული თ. გ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო სა-ჩივრები და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა

ახსნა – განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე არ არსებობდა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ პროცესუალურ შესაძლებლობაზე და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დააგალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-166-165(კ-16) გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც „საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად შეუძლებელი ხდება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლს სასამართლო იმ შემთხვევაში იყენებს, როდესაც აშკარაა და სასამართლოს დასაბუთებიდან ცალსახად გამომდინარებოს ადმინისტრაციული აქტის უკანონობა და დარღვეული უფლებების ფაქტი, მაგრამ იმის გამო, რომ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და სასამართლო კომპეტენციას სცილდება დისკრეციას მიკუთვნებული საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, სასამართლო ეყრდნობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილს და ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით განსაზღვრული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლოს კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციას და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას“.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილია საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლევა, რომ არსებითად შეფასდეს თ. გ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, მისი წელთა ნამსახურობის ანგარიშის შედგენასა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაგზავნაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 19 მაისის MIA ... მიმართვის კანონიერების საკითხი.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თ. გ-ი 1973-1975 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ამასთან, 1991 წლის 10 აპრილიდან თ. გ-ი შევიდა ეროვნული გვარდის რიგებში და 1991 წლის 5 სექტემბრამდე მსახურობდა ეროვნული გვარდის მთავარი სამართველოს ...ის განყოფილების ...ის ...ის თანამდებობაზე. ამასთან, 1991 წლის 5 სექტემბრიდან შეიარაღებული ძალების რიგებში იკავებდა სხვადასხვა პოზიციას, კერძოდ, იყო – ასეულის მეთაურის ....ის დარგში (...ი ...ის ...ო ...ის ...ში); ...ის სექტორის ...ი; ...ის ქვეგანყოფილების ...ი; ...ი ქვეგანყოფილების ...ი (მთავარი შტაბის ...ი ნაწილი); ...ო თავდაცვის ჯარების ... ...ი ბატალიონის ...ის ...ის შემსრულებელი; ...ო თავდაცვის ბაზის ...ი ...ის ...ი. ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 9 მარტის №57 ბრძანებით ს.ს.მ შტაბებში ცვილებებთან დაკავშირებით 2001 წლის 1 მაისიდან გადაყვანილ იქნა კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში, ხოლო 2001 წლის 24 სექტემბრიდან დაინიშნა ...ი უზრუნველყოფის ბატალიონის შტაბის ...ის, ბატალიონის ...ის თანამდებობაზე. 2003 წლის 6 მარტიდან მოხსნილ იქნა თავდაცვის სამინისტროს ყველა სახის კმაყოფილად და გადაყვანილ იქნა შსს-ს შინაგანი ჯარების სარდლის განკარგულებაში სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2003 წლის 7 თებერვლიდან 2004 წლის 5 აპრილამდე თ. გ-ი იკავებდა საქართველოს შსს შინაგანი ჯარების ...ის სამსახურის ...ის თანამდებობას. 2004 წლის 5 აპრილიდან დათხოვნილ იქნა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შინაგანი ჯარების კად-

რების განკარგულებაში ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. ამასთან, 2004 წლის 20 სექტემბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების თადარიგში „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დეპულების შესაბამისად, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებით მინიჭებული აქვს შინაგანი ჯარების ...ის წოდება.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია და სადაცო არ არის ის გარემოება, რომ თ. გ-ი 2007 წლიდან 2017 წლამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროში იკავებდა სხვადასხვა პოზიციას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა თ. გ-ის სარჩელის არსებითად დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც, ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები: ოფიცირები, ზევადიან, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო უმიშროების ორგანოებში, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში. იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტში კი მითითებულია, რიგოთი და უფროსი შემადგენლობის პირები, რომლებიც მსახურობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში, ყოფილი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის, დამოუკიდებელი თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელი სახელმწიფოების შინაგან საქმეთა ორგანოებში, თუ ამ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი სხვაგვარად არ არის დადგენილი საქართველოსა და ყოფილ სსრ კავშირში შემაგალ მოკავშირე რესპუბლიკებს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამეგობრობაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით

(შეთანხმებით).

ამდენად, უდავოა ის გარემოება, რომ კასატორი თ. გ-ი ხვდება სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრეში. აღნიშნული საკითხის შემოწმების შემდგომ, არსებითად მნიშვნელოვანია იმ საკითხის შეფასება, თუ რამდენად აკმაყოფილებს თ. გ-ი – სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განმასაზღვრელ პირობებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მესამე ნაწილის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია ერთნებათ საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი. ამასთან, ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან.

განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ თ. გ-ი 1991 წლის 10 აპრილიდან ნამდვილად შევიდა სამხედრო სამსახურში და დათხოვნილ იქნა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, მისი ნამსახურობა შეიარაღებული ძალების რიგებში შეადგენს 10 წელზე მეტს, ხოლო შრომის საერთო სტაჟი – 20 წელზე მეტს. ამდენად, ცალსახა ის გარემოება, რომ თ. გ-ი სრულად აკმაყოფილებს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ – კომპენსაციის დანიშნვისათვის საჭირო კანონისმიერ წინაპირობებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნვის შესაძლებლობა გათვალისწინებული იყო მხოლოდ შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებზე და აღნიშნული პირობა ვერ გავრცელდებოდა შინაგანი ჯარებიდან დათხოვნილ მოსამსახურეებზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში არის აღნიშნული, კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს კანონმდებლის ნამდვილი მიზნის, განზრახვის ადეკვატურად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს, კერძოდ, ყოველი ნორმა განმარტებული უნდა იქნეს არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემური და ტელეოლოგიური მეთოდებით, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. სსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს შინაგანი ჯარების მოსამსახურეს განსაზღვრავს როგორც სამხედრო მოსამსახურეს. ამასთან „საქართველოს შინაგანი ჯარების შესახებ“ 1998 წლის 30 აპრილის (ძალადაკარგული 2005 წლის 22 მარტიდან) საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს შინაგანი ჯარები შედიოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და ნარმოადგენდნენ საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენლობაში. ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შინაგანი ჯარების პირად შემადგენლობაში შედიოდნენ სამხედრო მოსამსახურეები და ნებით დაქირავებული პირები, ხოლო 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მიერ მათი მოვალეობის შესრულების წესი განისაზღვრებოდა ამ კანონით, საქართვე-

ლოს შეიარაღებული ძალების სამხედრო წესდებებით, საქართველოს შინაგანი ჯარების საბრძოლო სამსახურის წესდებით და საქართველოს ნორმატიული აქტებით. ამდენად, შესაბამისი ნორმების დეტალური ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შინაგან ჯარებში სამსახური ცალსახად წარმოადგენდა შეიარაღებულ ძალებში სამსახურს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს „სახელმწიფო პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების მე-15 მუხლის პირველ პუნქტზე და განმარტავს, რომ კომპენსაციას შესაბამისი განცხადების საფუძველზე ნიშნავს სააგენტო, ხოლო განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების (ამ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს) ნარდგინება, რომელიც მზადდება კანონით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების (რაც განსახილველ შემთხვევაში უდავოა) საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილობითი უარი თ. გ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, მისი წელთა ნამსახურობის ანგარიშის შედგენასა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაგზავნაზე არის უკანონო და ენინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ენინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას; ხოლო ამავე კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით (ქმედების განხორციელების დავალება) გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით საკა-საციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინდივი-დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბათილად ცნობის და მისთვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. გ-ის საკა-საციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილ-დეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. გ-ის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს :**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო სა-ჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 ივლისის განჩინება და საქ-მეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სა-მინისტროს 2017 წლის 19 მაისის №MIA ... ადნისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი თ. გ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშ-ვნის მიზნით, მისი წელთა ნამსახურობის ანგარიშის შედგენასა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაგზავნაზე უა-რის თქმის ნაწილში;
6. მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს მოსარჩელის თ. გ-ის წელთა ნამსახურების გაანგარიშე-ბის მომზადება და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობა-ზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სსიპ სოციალური მომსა-ხურების სააგენტოში გადაგზავნა;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ბოლოოა და არ საჩივრდება.

# მიუღებელი პანსიონის ანაზღაურებაზე უარის თქმის პანცილიტება

## განცილება საქართველოს სახელით

№ბს- 186(კ-20)

23 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ქადაგიძე,  
6. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის და-  
ვალება

### აღნერილობითი ნაწილი:

2018 წლის 2 აპრილს ც. ლ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმარ-  
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენ-  
ტოს მიმართ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-  
ლური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების საა-  
გენტოს 2018 წლის 14 მარტის №04/14937 წერილის ბათილად ცნო-  
ბის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ც. ლ-ის  
სასარგებლოდ, მისი გარდაცვლილი მეუღლის – ზ. ლ-ის მიუღებე-  
ლი პენსიის გაცემის შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრა-  
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით ც. ლ-ის  
სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს  
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს  
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 14 მარტის  
№04/14937 აქტი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და-  
ვალა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
გამოცემა, რომლითაც მოსარჩელე – ც. ლ-ეს აუნაზღაურდებოდა  
გარდაცვლილი მეუღლის – ზ. ლ-ის მიუღებელი პენსია, 2009 წლის  
1 მაისიდან (შეჩერებიდან) ზ. ლ-ის გარდაცვალებამდე (2016 წლის  
27 მაისი) პერიოდზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება საპელაციო

წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ც. ღ-ე (დაბ. ... ნ.) (ქორნინებამდელი გვარი ხ-ი) 1961 წლის 8 აპრილიდან რეგისტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდა ზ. ღ-ესთან (დაბ. ... წ.).

სამტრედიის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს 2016 წლის 27 მაისის №2/35-16 გადაწყვეტილებით, ზ. ვ. ღ-ე (დაბ. ... წლის ... ს) გამოცხადდა გარდაცვლილად 2016 წლის 27 მაისიდან. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღია – 2017 წლის 6 აპრილი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხონის რაიონული განყოფილების 2017 წლის 30 მაისის №04-06-09/1199 წერილის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ზ. ღ-ეს (პ/ნ: ...) სახელმწიფო გასაცემელი ჩაერიცხა 2009 წლის 1 აპრილის ჩათვლით. 2009 წლის 1 მაისიდან სახელმწიფო გასაცემელი შეჩერებული, შემდგომ კი შეწყვეტილია.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2017 წლის 14 სექტემბრის №04-06/14540 წერილით დგინდება, რომ ზ. ღ-ეს (პ/ნ: ...) სოციალური მომსახურების სააგენტოს ხონის რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათის მიხედვით შეუჩერდა სახელმწიფო გასაცემელი 2009 წლის 1 მაისიდან, ბანკის ინფორმაციით – სახელმწიფო გასაცემლის 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის გამო, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (ხონის რაიონულ განყოფილებაში არსებული ინფორმაციით მოქალაქე ზ. ღ-ე ითვლებოდა უგზო-უკვლიდ დაკარგულად), ხოლო იგივე კანონის მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით (პენსიის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდგომ) 2012 წლის 1 მაისიდან შეუწყდა სახელმწიფო გასაცემლის გაცემა.

2018 წლის 2 მარტს, ც. ღ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა მისი მეუღლის გარდაცვალების დროისათვის მიუღებელი პენსიის გაცემა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 14 მარტის №04/14937 წერილით ც. ღ-ეს უარი ეთქვა მოთ-

ხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ პირის უფლებებისა და მოვალეობების დაწესების, შეცვლის, შეწყვეტის ან დადასტურებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, გამოცემა და აღსრულება, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტა უკავშირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარებას, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აქტის გამოცემის პროცესში დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი, მოცემულ შემთხვევაში მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები, როგორიცაა წარმოებაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა, საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და სხვ. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის №ბრ-575-572(კ-17) გადაწყვეტილება).

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ (პენსიის შეწყვეტის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) საქართველოს კანონის თანახმად, პენსიის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს პენსიის გაცემის შეჩერებიდან 3 წლის ვადის გასვლა წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება, რომ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერება-შეწყვეტის საფუძვლები წარმოადგენდნენ კონკრეტული პირის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციულ წარმოების დაწყების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პირობას და არა თავიად ინდივიდუალურ აქტებს. ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის დანახესის თანახმად, პენსია შეჩერდებოდა კანონით გათვალისწინებული შეჩერების ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვეს პირველი რიცხვიდან, არ ნიშნავდა იმას, რომ კანონით გათვალისწინებული შეჩერების საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში არ არსებობდა სახელმწიფო პენსიის შეჩერების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროება. ამდენად, სახელმწიფო გასაცემლობრივი კანკრეტულად განსაზღვრა ხდებოდა ინდივიდუალური აქტის გამოცემით.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმ გარემოებზე, რომ იმ პირობებში როდესაც ბენეფიციარისთვის – ზ. ღ-ისთვის არ იყო ცნობილი სახელმწიფო პენსიის შეჩერების თაობაზე, კანონსაწი-

ნააღმდეგო იყო შემდგომში მისი შეწყვეტა, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წე-სით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რო-მელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვე-ტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. კა-სატორი მიუთითებს ც. ღ-ის სარჩელის ხანდაზმულობაზე და ამ მიზეზით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური სა-ფუძვლების არსებობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 27 თებერვლის განჩინებით, საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოება-ში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სა-კასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 27 მაისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა და-საშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანო-ნიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნ-და დატაყილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოად-გენს მისი მუცულის – ზ. ღ-ის გარდაცვლილად გამოცხადებამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ აქტის კანონიერების შეფასება და შესაბამისი პენსიის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სამტკრედიის რაიონული სასამართლოს ხონის მუნიციპალი-ტეტში მაგისტრატი მოსამართლის 2016 წლის 27 მაისის გადაწყვე-ტილებით (ც. ღ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; ზ. ვ. ღ-ე (დაბადე-ბული ... წლის ... ს. გამოცხადდა გარდაცვლილად 2016 წლის 27 მაისიდან; ზ. ვ. ღ-ის გარდაცვალების ადგილად ჩაითვალა ქალაქი ხონი. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2017 წლის 6 აპრილიდან).

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაც-ვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018

წლის 14 მარტის №04/14937 ნერილით ც. ღ-ეს განმეორებითი განცხადების პასუხად (რომელიც ეხებოდა გარდაცვლილი მეუღლის, ზ. ღ-ის გარდაცვალებამდე მიუღებელი პენსიის გაცემას) ეცნობა, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა პენსიის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს, ხოლო მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, პენსიის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ, პენსიის გაცემა წყდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პენსიის შეწყვეტის შემდეგ, თვით ბენეფიციარი (და არა მემკვიდრე) მოითხოვდა პენსიის აღდგენა-გაცემას, საკითხი გადაწყდებოდა მხოლოდ მიმართვის შემდეგი თვიდან დანიშნული კუთხით და არა აღდგენა-გაცემის კუთხით.

ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მეურ ც. ღ-ეს განემარტა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხონის რაიონულ განყოფილებაში დაცული მონაცემებით, სახელმწიფო გასაცემელი ზ. ღ-ეს შეუჩერდა 2009 წლის 1 მაისიდან ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის გამო, სს „...ის“ შეტყობინების შემდეგ, ხოლო 2012 წლის 1 მაისიდან, პენსიის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ, პენსიის გაცემა შეწყდა ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად. ამდენად, ც. ღ-ეს ეცნობა, რომ მისი თხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირის გარდაცვალების შემთხვევაში პენსიის მიუღებელი თანხის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენს ზ. ღ-ისათვის პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების კანონიერების შეფასება. მოსარჩევე სადაც ხდის საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების საგენტოს 2018 წლის 14 მარტის №04/14937 ნერილით მისი მეუღლის მიუღებელი პენსიის გაცემაზე უარის თქმის კანონიერებას და ითხოვს მოსარჩევის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 2009 წლის 1 მაისიდან ზ. ღ-ის გარდაცვალებამდე პენსიის თანხის დაკისრებას. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩევის მოთხოვნა ეხება არა უშუალოდ საპენსიო უფლებას, არამედ, პენსიას,

როგორც მეტყვიდრეობით მიღებულ აქტიებს, რომლის კანონიერება გარდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პენსიის შესახებ კანონმდებლობისა უნდა შემოწმდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესების გამოყენებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას პქონდა სიკვდილის მომენტისათვის. ამასთან, იმავე კოდექსის 1330-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყვეტა მათი სიკედილით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პენსიონერის გარდაცვალება წარმოადგენს აღნიშნული საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან პენსიის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პენსიის შეწყვეტის ერთ-ერთი წყაროა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ წარმოუბულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, რომელიც ავტომატურ რეჟიმში მიეწოდება კომპეტენტურ ორგანოს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდაცვალება განმარტებულია, როგორც პირის გარდაცვალება, რაც დადასტურებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ, ან გარდაცვლილად გამოცხადება ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამსარეო ცენტრის 2017 წლის 14 სექტემბრის №04-06/14540 წერილით სხვა გარემოებებთან ერთად დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ხონის რაიონულ განყოფილებაში არსებული ინფორმაციით მოქალაქე ზ. ლ-ე ითვლებოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულად. ამასთან, პალატის მიერც. ლ-ის სარჩელის სრულად დაკარგულების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ბენეფიციარისათვის – ზ. ლ-ისათვის არ იყო ცონბილი სახელმწიფო პენსიის შეჩერების თაობაზე და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პენ-

სიის შეჩერების პერიოდში მაინც უნდა მომხდარიყო ზ. ღ-ის ინფორმირება პენსიის გაცემის შეჩერებასთან და შეჩერების მიზეზთან დაკავშირებით. ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, რომ მომხდარიყო მითითებულზე მოსარჩელის მეუღლის ინფორმირება, დროულად მოხდებოდა აღნიშნული შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრა და ბენეფიციარს დაერთხებოდა პენსია.

საკასაციო სასამართლო განსახილველ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ზ. ღ-ეს პენსია შეუწყდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, პენსიის შეჩერების დღიდან 3 ნოემბრის გასვლის გამო. პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და არც გარდაცვლილად აღიარებამდე მიუმართავს ბენეფიციარს პენსიის აღდგენის მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის მართებულად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოების დადგენა, ზ. ღ-ის გარდაცვლილად გამოცხადების მომენტისთვის, რა ოდენობის პენსიის მოთხოვნის უფლებას მოიცავდა სამკვიდრო ქონებაში შემავალი მისი ქონებრივი უფლებები. მოცემული საქმის დავის საგნის ფარგლებში ც. ღ-ის უფლება მიუღებელ პენსიაზე შესაძლოა არსებობდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ზ. ღ-ეს მის სიცოცხლეში კომპეტენტური ორგანოს მიერ უფლებამოსილების არასათანადოდ განხორციელების შედეგად, შეეზღუდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პენსიის განახლების უფლება (მითითებული მუხლის თანახმად, პენსია განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმტეს პენსიის შეჩერების დღიდან 1 წლისა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - პენსიონერის მიერ კომპეტენტური ორგანოსათვის პენსიის განახლების შესახებ განცხადების წარდგენის შემდეგ).

ზემოაღნიშნული გარემოების დადგენამდე (იმ გარემოების კვლევამდე, თუ რამდენად ჩაბარდა 2016 წლის 27 მაისიდან გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს პენსიის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება) კი სასამართლოს უნდა გამოეკვლია „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პენსიის შეჩერების საფუძველი (პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობა), ხომ არ იყო ასევე განპირობებული ზ. ღ-ის უგზო-უკვლოდ დაკარგვით. აღნიშნული გარემოების არსებობის

ვარაუდს ქმნის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხონის რაიონული განყოფილების 2017 წლის 10 ივლისის №04-06-09/1562 შეტყობინება, რომლითაც ც. ღ-ძეს მისი წერილის პასუხად ეცნობა, რომ მისი მეუღლის ზ. ღ-ის სახელმწიფო გასაცემელი ჩარიცხულია 2009 წლის 1 აპრილის ჩათვლით, 2009 წლის 1 მაისიდან სახელმწიფო გასაცემელი შეწყვეტილია სხვადასხვა მიზეზით, თანხა ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ასევე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2017 წლის 14 სექტემბრის №04-06/14540 წერილში მითითებულია ის გარემოება, რომ ხონის რაიონულ განყოფილებაში არსებული ინფორმაციით მოქალაქე ზ. ღ-ე ითვლებოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულად. იმ გარემოებების ზუსტად დადგენას, თუ რა ფაქტობრივი მიზეზებით იყო შეჩერებული პენსიის გაცემა, რა დროს ნარმოიშვა ეს მიზეზები და რა სამართლებრივი საფუძვლებით იყო განპირობებული, მნიშვნელობა ენიჭება უფლების შემდგომი რეალიზების თვალსაზრისით, რადგან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ტერმინის – „გარდაცვალების“ განმარტების თანახმად, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ამ კანონის მიზნებისთვის ნარმოადგენს პირის გარდაცვლილად მიჩნევის საფუძველს, რაც კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პენსიის შეწყვეტის საფუძველია, ხოლო თუ დაგინდება, რომ ზ. ღ-ისათვის პენსიის შეწყვეტის საფუძველი – უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ფაქტი არსებოდა 2009 წელს, მაშინ მისი გარდაცვლილად გამოცხადების მომენტში სამკვიდრო ქონებაში ვერ შევიდოდა ვერც 2012 წლის 1 მაისამდე მიუღებელი პენსიის მოთხოვნის უფლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში არ მოიპოვება მოცემული დავის გადაწყვეტისთვის საჭირო სათანადო მტკიცებულებები. საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში კი საკასაციო სასამართლო მოკლებულია სამართლებრივი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებებით არ დგინდება ზ. ღ-ის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის საფუძველი, რაც იმ გარემოების დასადგენად ეცნობა თუ არა მას კანონით დადგენილი წესით პენსიის შეჩერების საფუძვლების შესახებ, არსებითი მნიშვნელობისაა. აღნიშნული გარემოების დადგენა ასევე შეუძლებელია კანონიერ ძალაში შესული სამტრედის რაიონული სასამართლოს ხონის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების მხოლოდ

სარეზოლუციო ნაწილით, თუმცა შესაბამისი გადაწყვეტილებით ზ. ღ-ის გარდაცვლილად გამოცხადება ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააკელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების (მათ შორის, ხონის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის 2016 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების) ერთობლიობაში შესწორებულისა და მათი ანალიზის საფუძველზე, უზდადადადგინოს ის გარემოება, ზ. ღ-ისათვის პენსიის შეჩერების საფუძველი იყო თუ არა მისი უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარება ან უგზო-უკლოდ დაკარგვის ფაქტი (ვინაიდან, პირის გარდაცვლილად აღიარებისათვის აუცილებელია მისი მინიმუმ 5 წლის განმავლობაში დაკარგვის ფაქტი, სსკ-ის 22-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო ამ ფაქტის გამორიცხვის შემთხვევაში, იმსჯელოს ც. ღ-ისათვის პენსიის ანაზღაურების საფუძვლებზე და ასანაზღაურებელი პენსიის შესაძლო ოდენობის თაობაზე (მათ შორის, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით), იმ პირობებში, როდესაც მოსარჩევე ცალკე სადაცვოდ არ ხდის ზ. ღ-ისათვის პენსიის შეჩერების და შეწყვეტის კანონიერებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას ც. ღ-ის სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ, ვინაიდან, ც. ღ-ეს მისი მაკვიდრებლის, მეუღლის ზ. ღ-ის სიკვდილის მომენტისთვის არსებულ ქონებრივ უფლებებზე მოთხოვნის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოეშვა მისი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების დღიდან (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი) – 2017 წლის 6 აპრილიდან. ც. ღ-ის მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული მეუღლის კუთვნილი პენსიის მოთხოვნის საფუძველს ქმნის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისად, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. სადაცვო არ არის ის გარემოება, რომ ც. ღ-ემ 1 წლის ვადაში მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მაკვიდრებლის მიუღებელი პენსიის მოთხოვნით. შესაბამისად, არ არსებობს ხანდაზმულობაზე მითითებით მოსარჩელისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოჩენის მიზანით.

ველი. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა აუცილებელია დადგინდეს ეკუთვნოდა თუ არა ზ. ლ-ეს გარდაცვალების დროისთვის პენსია და შესაბამისად, რა ოდენობის თანხის მიღების უფლება გადავიდა მის მემკვიდრეზე.

საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილეველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელის დაქმაყოფილების საფუძვლად არასწორად მიუთითეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის №ბს-575-572(კ-17) გადაწყვეტილებაზე, როგორც მსგავს საქმეებზე დადგენილ სასამართლო პრატიკაზე, ვინაიდან, შესაბამისი გადაწყვეტილება შეეხებოდა აბსოლუტურად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივარდება.

## **2. დევილების საკითხებაზე დაკავშირებით დავიტი**

**გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის  
უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარების  
მოთხოვის საფუძველი**

**გადაცევაფილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1067(კ-18)

29 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების და-  
ვალება;

**აღნერილობითი ნაწილი:**

6. მ-ემ 2017 წლის 9 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქა-  
ლაქი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მობა-  
სუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ-  
თა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს  
მიმართ და მოითხოვა 6. მ-ის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფარ-  
თით უზრუნველყოფის მიზნით განაცხადის შევსების შესაძლებ-  
ლობის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე საქართველოს ოკუპი-  
რებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,  
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 მაისის  
№05-01/06/12760 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; მოსარჩე-  
ლებ ასევე მოითხოვა 6. მ-ის თვის გრძელვადიანი საცხოვრებელი  
ფართით უზრუნველყოფის მიზნით განაცხადის შევსების შესაძ-  
ლებლობის მინიჭების შესახებ მოპასუხისათვის ქმედების განხორ-  
ციელების დავალება.

მოსარჩელის განმარტებით, 1993 წლიდან არის იძულებით გა-  
დაადგილებული პირი. რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველ  
ოჯახთა ერთიან ბაზაში 2030 სარეიტინგო ქულით. 2017 წლის 26  
აპრილს მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სა-  
ქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადა-

ადგილებულ პირთა და ლტოლვითა მინისტრს და მოითხოვა გრძელ-ვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით განაც-ხადის შევსების უფლება, რაზეც 2017 წლის 23 მაისს მიიღო უარი იმ მოტივით, რომ ის უკვე იყო დაკმაყოფილებულთა სიაში, მასზე გაცემულია საკომპენსაციო თანხა სასტუმრო „...“ ოთახი №...-ის განთავისუფლების სანაცვლოდ. მოსარჩევლებ აღნიშნა, რომ 2004 წლის 30 სექტემბერს დაიდო ხელშეკრულება, ერთი მხრივ, სას-ტუმრო „...“ დირექტორ: თ. უ-ას ნარმომადგენელ დ. ს-ასა და მეო-რე მხრივ, ი. მ-ეს შორის, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომ-დინარე, ი. მ-ემ მართლაც მიიღო კომპენსაციის სახით 7000 აშშ დო-ლარი, თუმცა აღნიშნულ ხელშეკრულებაზე მისი ხელმოწერა არ-სად არ არის დაფიქსირებული და არც ამ თანხით უსარგებლია. ასე-ვე ის და ი. მ-ე არასოდეს ყოფილან ერთი ოჯახი. უფრო მეტიც, მან საერთოდ არ იცოდა იმ ფაქტის შესახებ, რომ სახელმწიფოსგან იყო დაკმაყოფილებული და არც შეიძლება სცოდნოდა, ვინაიდან 2005 წელს, როდესაც გამოასახლეს სასტუმრო „...“ ისანი-სამგორის რა-ონის გამგეობის მიერ შესახლებულ იქნა ქ. თბილისში, ... ქ. №3-ში (ახლანდელი ... ქ. №3), ... შენობაში, სადაც დღემდე ჩაწერილია და 2016 წლის მაისის ჩათვლით ცხოვრობდა იქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით 6. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწ-ყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლე-ბისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 მაისის №05-01/06/ 12760 გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხე საქართველოს ოკუ-პირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის მნიშ-ვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემ-დეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადაც საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც 6. მ-ემ, ასევე – საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-რიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით საქართვე-ლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; 6. მ-ის სააპელაციო საჩივრი დაკმა-

ყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც 6. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ღტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 23 მაისის №05-01/06/12760 გადაწყვეტილება და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა 6. მ-ეს მისცეს, გრძელვადინი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, განაცხადის შევსების შესაძლებლობა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულ დევნილი ოჯახის ცნებაზე და აღნიშნა, რომ პირთა წრის ოჯახად განხილვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ამ პირების ერთად ცხოვრების ფაქტი. პალატის მოსაზრებით, საქმეში არ იძებნება არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ ი. მ-ე წარმოადგენდა მოსარჩელის ოჯახის წევრს. 2004 წლის 30 ოქტომბერს, ერთი მხრივ ს/ს სასტუმრო „...“ გენერალურ დირექტორსა და მეორე მხრივ, მოქალაქე ი. მ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის ი. მ-ეს მიღებული აქვს სასტუმრო „...“ №... ოთახში განთავსებული ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა, თუმცა საქმეში ასევე წარმოდგენილი ვერ იქნა მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების მიერ ი. მ-ეზე გაცემული წერილობითი დასტური, რომლითაც ამ უკანასკნელს ენიჭება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ ...ის დირექტორის მიერ 2005 წლის 17 მაისს გაცემულ ცნობაზე, რომელშიც მითითებულია, რომ სასტუმრო „...“ გამოსახლების შემდეგ, ჯ. მ-ის სამსულიან ოჯახს, მათ შორის, ნ. მ-ეს, ისანი – სამგორის რაიონის გამგებამ მისცა დროებითი თავშესაფარი თბილისში, ისანი, ... ქ. №3, ...ის შენობაში. სააპელაციო პალატის შეფასებით, ის გარემოება, რომ მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა სასტუმრო „...“ გამოსახლების შემდეგ განაგრძო სახელმწიფომ (თვითმმართველობის ორგანომ), მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფომ ივალდებულა ჯ. მ-ის, ნ. მ-ისა და გ. მ-ის განსახლების საკითხი, რითაც ფაქტობრივად დაადასტურა, რომ მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფა არ მომხდარა. ამდენად,

აპელაციო პალატამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო უტყუარად ვერ დაადასტურა, რომ მოსარჩელის ოჯახს, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ორნისძიების ფარგლებში, მიღებული აქვს ერთჯერადი ფულადი დახმარება, მითითება აღნიშნულ გარემოებაზე და ამ მოტივით განაცხადის გაკეთების უფლების შეზღუდვა, ვერ შეფასდება კანონის მოთხოვნათა ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებად და ამ საფუძველზე დაყრდნობით მიღებული აქტი ექვემდებარება ბათილად ცნობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ნ. მ-ის მიმართ ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოიკვლია ყველა გარემოება, რომელიც აუცილებელი იყო საკითხის გადასაწყვეტად და შესაბამისად, მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, კერძოდ, სასამართლომ არასწორად შეაფას საქმეში არსებული მტკიცებულებები. ერთადერთი და ძირითადი მტკიცებულება, რასაც სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა თავისი გადაწყვეტილების მიღების დროს, არის №92 სერვისული მომსახურების ცენტრის დირექტორის მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც მითითებულია, რომ სასტუმრო „...“ გამოსახლების შემდეგ, ჯ. მ-ის სამსულიან ოჯახს, მათ შორის, ნ. მ-ეს, ისანი სამგორის რაიონის გამგეობამ მისცა დროებითი თავშესაფარი თბილისში, ისანი, ... ქ.№3, ...ის შენობაში. აღნიშნული მტკიცებულება საპელაციო სასამართლოს მითითებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სასტუმრო „...“ ადმინისტრაციიდან ნ. მ-ეს კომპენსაცია არ მიუღია და არ მოიაზრებოდა იმ პირთა წრეში, რომლებსაც ამ სასტუმროში დაკავებული №... ოთახის განთავისუფლების სანაცვლოდ გადაეცა საკომპენსაციო თანხა. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული მსჯელობა ცალსახად მცდარი და არასწორია, ვინაიდან, დევნილთა გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც ვერ შეძლეს სასტუმროს ადმინისტრაციის მიერ დადგინდ ვადაში აღტერნატიული საცხოვრებელი ფართის შექნა და სასტუმროში დაკავებული ფართის გამოთავისუფლება, სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე, დროებით გა-

მოენახათ საცხოვრებელი ფართი. რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ამ პირებს კომპენსაცია არ მიუღიათ სასტუმროს ადმინისტრაციის მიერ. ამავე დროს როგორც პირველი, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ იგნორირებულია ის ფაქტი, რომ ნ. მ-ე და ი. მ-ე ერთ ოთახს იკავებდნენ სასტუმრო ...აში, ეს პირები ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ და შესაბამისად, საკომპენსაციო თანხაც თანაბარნილად განკუთვნილი იყო იმ ოთახში მაცხოვრებელ პირებზე. ერთად ცხოვრების ფაქტი დადასტურებულია, როგორც რეგისტრაციით, ასევე თავად მოსარჩელის მიერ.

ამასთანავე, კასატორშ მიაჩნია, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა სასტუმრო „...“ პასუხისმგებლობის საკითხზეც, რადგან საკომპენსაციო თანხის გაცემის დროს სასტუმრო „...“ ადმინისტრაციამ, რომლის ფართშიც იყვნენ განთავსებული დევნილები, მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, აიღო ვალდებულება სამინისტროს მიერ მიწოდებული, ამ ობიექტში დარეგისტრირებული ყველა დევნილი პირის სახელობითი სიის შესაბამისად და ობიექტში მცხოვრები თითოეული დევნილის მიერ დაკავებული ფართის სანაცვლოდ, მათვის ფულადი კომპენსაციის გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულება ფორმდებოდა კანონით დადგენილი წესით, რომლის მიხედვითაც, სასტუმრო „...“ ადმინისტრაცია გამოთავისუფლებული ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის გადაცემის შესახებ ხელშეკრულებას აფორმებდა ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წევრთან. შესაბამისად, ოჯახის სხვა წევრებიც მიიჩნევიან თანხის მიმღებ პირებად. მოსარჩელის შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდა ანალოგიურ ფაქტს – მოსარჩელისა და მისი დანარჩენი ოჯახის წევრების თანხმობით ფულადი კომპენსაციის შესახებ ხელშეკრულება დაიდო სასტუმრო „...“ ადმინისტრაციასა და მოსარჩელის ძმის შვილს – ი. მ-ეს მორის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში გაკეთდა შესაბამისი ჩანაწერიც, რომელიც, მრავალი წლის განმავლობაში არც ერთი მხარის მიერ სადაც არ გამხდარა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების დროს არ იქნა გათვალისწინებული და შეფასებული ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი პირის, სასტუმრო „...ას“ ადმინისტრაციის პოზიცია, რომელსაც სახელმწიფოს წინაშე აღებული კანონისმიერი ვალდებულებით თავის დროზე კომპენსირებულთა სიაში მითითებული ჰყავს 6. მ-ე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში თუკი მოხდა გამონაკლისი და როგორც მოსარჩელე ამტკიცებს, მას თანხმობა არა აქვს მიცემული მისი კომპენსაციის აღების თაობაზე, მაშინ მას თავის დროზე, შე-

ეძლო პრეტენზით მიემართა სასტუმრო „...“ ადმინისტრაციისთვის, ვინაიდან მის ვალდებულებას წარმოადგენდა ობიექტში მაცხოვრებელი დევნილების ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილება. ამასთან, მას სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებზე მითოთებით, უნდა დაედასტურებინა მისი კანონიერი უფლებები ხსნებულ საცხოვრებელ ფართზე. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ გამოკვლეულა და არ შეფასებულა საქმეში არსებული ყველა გარემოება, რაც საფუძვლად დაედო სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასამცებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს მააჩინია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით, ამასთან, საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მიეცა არასწორი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩევე – ნ. მ-ე არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელზეც გაცემულია – იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონაბა, რომლითაც მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იძულებით გადაადგილებამდე არის აფხაზეთი, გულრიფში, ..., დროებით საცხოვრებელ ადგილს კი წარმოადგენს თბილისი, ისანი, ... ქ. №3, სერვის ცენტრი №... დადგენილია, რომ 2004 წლის 30 ოქტომბერს, ერთი მხრივ, ს/ს სასტუმრო

„...“ გენერალურ დირექტორსა და მეორე მხრივ, მოქალაქე ი. მ-ეს შორის, რომელიც წარმოადგენდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სიის მიხედვით, ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე სასტუმრო „...“ №... ოთახში დროებით შესახლებული ი. მ-ის ოჯახს (შემდგომში მოქალაქე), გაფორმდა ხელშეკრულება (სანოტარო აქტის რეგისტრაციის ნომერი №1-4999). აღნიშნული ხელშეკრულებით, ი. მ-ე ადასტურებდა, რომ იგი წარმოადგენდა ერთადერთ უფლებამოსილ წარმომადგენელს და იძლეოდა გარანტიას, რომ მას მიღებული აქვს №... ოთახში განთავსებული ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა, რომ მათი სახელით გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება. ზემოხსენებული ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოქალაქე ი. მ-ემ იკისრა ვალდებულება გაათავისუფლოს ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე სასტუმრო „...“ მის მიერ დაკავებული №... ოთახი, ხოლო ადგინისტრაციამ იკისრა მოქალაქის მიმართ ერთჯერადი განაცემის სახით მატერიალური დახმარების განევის ვალდებულება 7000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, ეროვნულ ვალუტაში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2009 წლის 19 ოქტომბრის წერილითა და სს სასტუმრო „...“ მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა სიით დადგენილია, რომ სამინისტროს მიერ 2009 წლის 19 ოქტომბერს სასტუმრო „...“ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომელზეც გაცემული პქონდათ თანხმობრივი კომპენსაცია საცხოვრებელი ფართის გათავისუფლების სანაცვლოდ. აღნიშნული წერილის პასუხად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გაეგზავნა სს სასტუმრო „...“ მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა სია, რომლის თანახმად, ოთახი №...-ის ოჯახში მითითებული იყვნენ – მ-ე ნ., მ-ე ი., ყ-ი გ., მ-ე ჯ. და მ-ე გ-ი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 მაისის №05 – 01/06/12760 გადაწყვეტილებით ნ. მ-ეს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით განაცხადის შევსების შესაძლებლობის მინიჭებაზე ეთქვა უარი იმ საფუძვლით, რომ სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მიხედვით, 2004 წელს სასტუმრო „...“ გამოსახლების პროცესში, სადაც ნ. მ-ე ფაქტობრივად ცხოვრობდა იმ დროისათვის, ოჯახის წევრებთან ერთად უზრუნველყოფილი იყო საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაციით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს საქართველოს ოკუ-პირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 მაისის №05-01/06/12760 კანონიერების დადგენა წარმოადგენს, რომლი-თაც ნ. მ-ს ეთქვა უარი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით განაცხადის შესაძლებლობის მინიჭებაზე. სადაც აქტის ბათილად ცნობას მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძვლით, რომ სასტუმრო „...“ გამოსახლების შემდეგ მას არ მიეცა ფულადი კომპენსაცია და როგორც იძულებით გადაადგილე-ბული პირი არ არის დაკმაყოფილებული სახელმწიფოს შიერ საც-ხოვრებელი ფართით.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილ-თა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა არის დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევ-ნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ან ადგი-ლობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო, დო-ნორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სა-მართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის სა-კუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა. საქართველოს ოკუპი-რებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ იქნა „დევნილ-თა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წე-სი“. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს დევნილი ოჯახის ცნებას, რომლის მიხედვითაც, დევნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვ-რები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომ-ლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომელებიც ერთიბლივად ეწევიან შინასა-მეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რო-მელიც, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არ არის დაქმაყოფილე-ბული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარე-ბით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნ-ველყოფის ღონისძიებების ფარგლებში; განსახილველ შემთხვე-ვაში, ნ. მ-ე თავის სასარჩელო მოთხოვნას ამყარებდა იმ გარემოე-ბაზე მითითებით, რომ ის გამოსახლებულ იქნა სასტუმრო „...“ ისე, რომ არ მიუღია მისი საცხოვრებელი ოთახის №... გამოთავისუფ-ლების სანაცვლოდ შესაბამისი კომპენსაცია და 2005 წლის შემდეგ

დოროებით საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს თბილისი, ისანი, ...ქ. №3, სერვის ცენტრი №.... .

საკასაციო პალატა მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2009 წლის 19 ოქტომბერს სასტუმრო „...“ გამოთხოვილ ინფორმაციაზე, (რომელიც ასევე მოსარჩელის მიერ დართული იქნა სარჩელზე) კერძოდ, სასტუმრო „...“ მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა სია, რომლის თანახმად, №... ოთახში განტავსებულ ოჯახში მითითებული იყვნენ – მ-ე ნ., მ-ე ი., ყ-ი გ., მ-ე ჯ. და მ-ე გ., ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. მ-ე წარმოადგენდა ი. მ-ის ოჯახის წევრს, სასტუმრო „...ადან“ გამოსახლების დროისათვის და ხელშექრულებით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხა – 7000 აშშ დოლარი კომპანიის მიერ გაცემულ იქნა ი. მ-ესა და მის ოჯახზე, რომლის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ ნ. მ-ე, გ. ყ-ი, ჯ. მ-ე და გ. მ-ე. ამასთან, 2004 წლის 30 სექტემბერს დადებული ხელშექრულება შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ ი. მ-ე წარმოადგენდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სიის მიხედვით, №... ოთახში დროებით შესახლებულ ი. მ-ის ოჯახს, შესაბამისად, დასტურდება, რომ ნ. მ-ე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შესახლებულ იქნა სასტუმრო „...ას“ №... ოთახში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მისი სასტუმრო „...აში“ ცხოვრების ფაქტი მითითებულია სარჩელის საფუძვლად და მის მიერ სასამართლო სხდომაზე დადასტურებულია სასტუმრო „...ას“ №... ოთახში ცხოვრების ფაქტი. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დევნილ ოჯახში კანონმდებლობა მოიაზრებს განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა ნრეს, შესაბამისად, ნ. მ-ე, რომელიც ცხოვრობდა სასტუმრო „...ას“ №... ოთახში, ვერ იქნება მიჩნეული, როგორც ცალკე ოჯახი. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ ისე მიიღო საქმეზე გადაწყვეტილება, რომ არ უმსჯელია მოსარჩელის მიერ სასამართლოსათვის მიცემულ განმარტებაზე და სასტუმრო „...აში“ მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა სიაზე, რომელთა ერთობლიობა ქმნის ნ. მ-ის, როგორც 2004 წლის 30 ოქ-

ტომბერს სასტუმრო „....ას“ გენერალურ დირექტორსა და ი. მ-ეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთჯერადი ფულადი დახმარებით უზრუნველყოფილად მიჩნევის საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი, მართალია, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება, თუმცა აღნიშნული დანაწესი არ ათავისუფლებს მოსარჩელეს სარჩელის დასაბუთების, თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამდგენი ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმდგენის ვალდებულებისაგან. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთი არის მის მიერ მითითებული გარემოების სათანადო მტკიცებულებებით დადასტურება იმის თაობაზე, რომ წარმოადგენდა ცალკე ოჯახს და გააჩნდა ი. მ-ის ოჯახისაგან განცალკევებული საოჯახო მეურნეობა, ხოლო ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ საქმეზე წარმოადგენილი არ არის არც ერთი სახის მტკიცებულება, რაც უტყუარად მიუთითებდა რომ ნ. მ-ის ოჯახს, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, მიღებული აქვს ერთჯერადი ფულადი დახმარება, რამდენადაც მოსარჩელის ახსნა – განმარტებით, მის მიერ სარჩელზე დართული და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასტუმრო „....აში“ მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა სიით, დადასტურებულია მოსარჩელის სასტუმრო „....ას“ №... ოთახში ცხოვრების ფაქტი, ხოლო 2004 წლის 30 ოქტომბერს სასტუმრო „....ას“ გენერალურ დირექტორსა და ი. მ-ეს შორის დადებული ხელშეკრულებით დადასტურებულია, რომ აღნიშნული ოთახის №... გამოთავისუფლების სანაცვლოდ ი. მ-ის, როგორც ოჯახის ერთადერთი უფლებამოსილი წარმომადგენების მიერ მიღებულია ერთჯერადი ფულადი დახმარება 7000 აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად, ნ. მ-ეს, როგორც სასტუმრო „....ას“ №... ოთახში მცხოვრებ პირს, შესაძლებელია მოთხოვნა ჰერნდეს 7000 აშშ დოლარიდან მის კუთვნილ წილზე, იმ პირის მიმართ, რომელმაც მიიღო ფულადი დახმარება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წესით განსახილველ საკითხს და კერძო პირებს შორის ფულადი ვალდებულებებიდან გამომდინარე, დავა ექვემდებარება სამოქალაქო წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის დასაბუთებას,

რომ 6. მ-ე წარმოადგენდა ი. მ-ის ოჯახის წევრს და ერთჯერადად მიღებული ფულადი თანხა ეკუთვნოდა ოჯახს, რომლის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ 6. მ-ე, ი. მ-ე, გ. ყ-ი, ჯ. მ-ე და გ. მ-ე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 23 მაისის №05-01/06/12760 გადაწყვეტილების მიღებისას, ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, ვინიდან საქართველოს ოუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ამ წესის შესაბამისად არ განიხილება იმ დევნილი ოჯახების განცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში. ვინაიდან, ნ. მ-ეს, როგორც სასტუმრო „...ადან“ გამოსახლებულ პირს, 2004 წლის 30 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთხელ უკვე აქვს მიღებული ერთჯერადი ფულადი დახმარება, ამდენად, მინისტრის 2017 წლის 23 მაისის №05-01/06/12760 გადაწყვეტილებით, მართებულად ეთქვა უარი, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით განაცხადის შევსების შესაძლებლობის მინიჭებაზე.

რაც შეეხება საქმეში დაცული სერვისული მომსახურების ცენტრის დირექტორის მიერ 2005 წლის 17 მაისს გაცემულ №92 ცნობაზე სააპელაციო პალატის მითითებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამავე ცნობის საფუძველზეც დადასტურებულია ის გარემოება, რომ ნ. მ-ე ცხოვრობდა სასტუმრო „...აში“. ამასთან, აღნიშნული ცნობა გაცემულია ჯ. მ-ის პირადი განცხადების საფუძველზე და არ ემყარება ადმინისტრაციული წარმოების შედეგად შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან წარდგენილ ინფორმაციას ჯ. მ-ის ოჯახის შემადგენლობის შესახებ. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ სასტუმრო „...იდან“ გამოსახლების შემდეგ, სახელმწიფომ (თვითმმართველობის ორგანომ) აიღო ვალდებულება ჯ. მ-ის, ნ. მ-ის და გ. მ-ის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე, სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მართალია, მიუთითა განსახლებისა და ლტოლვილ-

თა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი, თუმცა არ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ნორმის საფუძველზე, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რამდენადაც არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საკანონმდებლო ცვლილებისა გამომდინარე დაცვილი  
ოჯახისათვის მინიჭებული ქულების შემცირების  
კანონიერება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-143(კ-20)

27 ნოემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 6. ქ-ამ 2019 წლის 19 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა იმავე სააგენტოს 2019 წლის 1 თებერვლის №04/4913 წერილობითი მიმართვის ბათილად ცნობა, ასევე, მოპასუხისთვის, დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, ნ. ქ-ას ოჯახისათვის 3 ქულის დამატებისა და საერთო ჯამში 4.5 ქულის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

2. თბილის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

- 3.1. 6. ქ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი;
- 3.2. 2014 წლის 3 დეკემბერს პოლიციამ, უძრავი ნივთის მესაკუთრის განცხადების საფუძველზე, ნ. ქ-ას ოჯახს „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ“ გაფრთხილება მისცა, რათა დაეტოვებინა თვითხებურად დაკავებული, თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე №23/042 ნაკვეთი (ყოფილი ...ი);

3.3. 6. ქ-ას ზემოაღნიშნული ფართის დაკავების სამართლებრივი საფუძველი, რაიმე სათანადო დოკუმენტის სახით, არ გააჩნია;

3.4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და 6. ქ-ას შორის 2015 წლის 15 დეკემბერს დაიდო წერილობითი შეთანხმება, რომლითაც სამინისტრომ აიღო ვალდებულება მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის თაობაზე, ხოლო 6. ქ-ამ იკისრა ვალდებულება, დაეტოვებინა მის მიერ თვითნებურად დაკავებული უძრავი ნივთი;

3.5. 6. ქ-ას განცხადების საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შორმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2015 წლის 13 ივლისს, დაგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, შეაფასა მოსარჩელის ოჯახის მდგომარეობა და მიანიჭა 4.5 ქულა, მათ შორის, სოციალური კრიტერიუმების მიხედვით, ბინის ქირის ნაწილში – 1.5 ქულა, ხოლო მესაკუთრის მიერ ობიექტების გამოთავისუფლების პროცესის ნაწილში – 3 ქულა;

3.6. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, ხელახლა შეაფასა 6. ქ-ას ოჯახის პირობები. შედეგად, მოსარჩელის ოჯახს მოაკლდა 3 ქულა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ნივთში (ფართში) ცხოვრების კრიტერიუმში და საბოლოოდ განესაზღვრა 1.5 ქულა სოციალური კრიტერიუმის მიხედვით, ბინის ქირის ნაწილში;

3.7. 6. ქ-ამ 2019 წლის 17 იანვარს განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ნივთში (ფართში) ცხოვრების კრიტერიუმში მისი ოჯახისათვის 3 ქულის მომატება მოითხოვა;

3.8. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 1 თებერვლის №04/4913 წერილობით მიმართვით 6. ქ-ას უარი ეთქვა 3 ქულის მომატებაზე იმ საფუძვლით, რომ მისა ოჯახი არ ცხოვრობდა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ნივთში (ფართში).

4. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს აკისრია დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულება, თუმცა მატერიალური და ფინანსური რესურსის მოცულობიდან და სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს დევნილთა განსახლებასთან დაკავშირებულ რიგითობას. კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიე-

ბიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესით“ (დანართი №1) დადგენილია კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, დევნილ ოჯახებს განესაზღვრებათ ქულა და დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. მათ შორის, შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია დევნილი ოჯახის ცხოვრება მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში (დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტში), რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას, ან მესაკუთრემ განახორციელა დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებული პროცედურა. აღნიშნული კრიტერიუმით ოჯახი ფასდება 3 ქულით.

5. საქალაქო სასამართლომ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „პ“ ქვეპუნქტზე მითითებით, აღნიშნა, რომ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართი გულისხმობს სათანადო სამართლებრივი საფუძვლით, მესაკუთრის მიერ პირისათვის ასეთი ფართის მფლობელობაში გადაცემას. მოცემულ შემთხვევაში კი, მოსარჩელის ოჯახს თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე №23/042 ნაკვეთი (ყოფილი ...ი) თვითნებურად ჰქონდა დაკავებული, მესაკუთრის მიერ ნების გამოვლენის გარეშე. შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა 6. ქ-ასთვის დამატებით 3 ქულის მინიჭების საფუძველი, რის გამოც სარჩელი არ დაემაყოფილდა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება 6. ქ-ამ სა-აპელაციო წესით გაასაჩივრა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 6. ქ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც 6. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 1 თებერვლის №04/4913 ნერილობითი მიმართვა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა 6. ქ-ას დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, მისი ოჯახისათვის 3 (სამი) ქულის დამატებისა და საერთო ჯამში

4.5 ქულის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

8. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ნ. ქ-ას ოჯახის 2015 და 2018 წლებში შემოწმებისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძნება განსხვავებულად არეგულირებდა ქულის მინიჭების საფუძველს. კერძოდ, 2015 წელს მოქმედი რედაქციით 3 ქულის მინიჭებისთვის აუცილებელი არ იყო პირის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ნივთში ცხოვრება, ხოლო ნორმის 2018 წლიდან მოქმედი რედაქციით, მესაკუთრის მხრიდან ობიექტის დევნილობაგან გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურის პირობებში, დევნილისათვის 3 ქულის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დევნილი ოჯახი ცხოვრობს მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში. ადმინისტრაციულმა ორგანომ სწორედ მოქმედი ნორმების საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩევის ოჯახს აღარ ეკუთვნოდა „მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული ფართიდან გამოსახლების“ კრიტიკულში მინიჭებული 3 ქულა, ვინაიდან ოჯახს თვითნებურად ჰქონდა დაკავებული ფართი „...ის შენობაში“ და შენობა არ იყო რეგისტრირებული დევნილთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში, როგორც დევნილთა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტი.

9. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლებიდან გამომდინარე, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზოანის მომტანია, ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

10. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან ნ. ქ-ას ოჯახის პირველად შემოწმებისას, კანონმდებლობა ოჯახისათვის 3 ქულის მინიჭებისაუცილებელ პირობად არ ადგენდა ოჯახის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრებას, საქალაქო სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობაშია კანონისათვის უკუქალის მინიჭების დაუშვებლობის კონსტიტუციურ პრინციპთან. სადაცო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტის შესაბამისი ნორმის ახალი რედაქცია აუარესებს მოსარჩევის მდგომარეობას. 3 ქულის დამატებაზე უარის თქმა გავლენას ახდენს მოსარჩევის ოჯახის საჭიროების პრიორიტეტულობის განსაზღვრაზე, რამაც უნდა განაპირობოს ოჯახის

უზრუნველყოფა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი საფუძვლიანია, დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ნ. ქ-ას უკანონოდ ეთქვა უარი 3 ქულის მინიჭებაზე.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომლის უფლებამონაცვლედ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით, ცნობილ იქნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

13. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლებითა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით ახალი კრიტერიუმის დაწესება და ამ კრიტერიუმის შესაბამისად ქულების მინიჭება ვერ გახდება ნორმატიული აქტისთვის უკუძალის მინიჭების საკითხზე მსჯელობის საგანი. ნორმის ცვლილება არ აკისრებს მოსარჩელეს პასუხისმგებლობას და ვერც იურიდიული პასუხისმგებლობის დამდიმებას გაუთანაბრდება. საკასაციო საჩივრის ავტორი დამატებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის №ბს-21-21(ქ-07) განჩინებაზე და მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის უკუქმედითი ძალის გამოყენების აკრძალვაზე მითითება უსაფუძლოა. ამასთან, კასატორის განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულია დაპირება, კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუკი შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დანესებულ მოთხოვნებს.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივნისის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

15. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივარის საფუძლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

16. საკასაციონ პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადაცო საკითხს წარმოადგენს 6.ქ-ას დევნილი ოჯახისთვის, საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, ქულის მომატებაზე უარის თქმის კანონიერება.

17. საკასაციონ სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. დევნილთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას ქმნის დევნილის უფლება გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, რაც, დასახელებული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გულისხმობს დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისოვის საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას. ამასთან, დევნილთა განსახლების საკითხის გადაწყვეტის კონკრეტულ პროცედურასა და წესს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლევილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“.

18. მითითებული „წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარევული რაოდენობის ქულისა, რომელიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დევნილთა საჭიროებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განისაზღვრება, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, რა რიგითობით მოხდება საცხოვრებელი ფართის შეთავაზება, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის შესყიდვა და იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა.

19. ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციონ პალატა აღნიშნავს, რომ დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილება ხდე-

ბა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შედეგად მინიჭებული ქულების მიხედვით, რაც მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ დევნილთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივ შესრულებას, სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობიდან და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, მეორე მხრივ კი, თავდაპირველად ისეთი დევნილების უფლებების დაცვასა და განსახლებას, რომლებიც განსაკუთრებით, სხვებზე მეტად საჭიროებენ სახელმწიფოს დახმარებას. სწორედ ამიტომ, ვინაიდან მინიჭებულ ქულებზე არის დამოკიდებული დევნილთა უფლებების სრულყოფილი დაცვა და სოციალური გარანტიებით სათანადოდ სარგებლობა, აუცილებელია, რომ ოჯახის შეფასებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ ზედმინევნით და ჯეროვნად დაიცვას კანონმდებლობის მოთხოვნები, გაითვალისწინოს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ნორმატიულად განსაზღვრული კრიტერიუმები და ოჯახს მიანიჭოს შესაბამისი ქულა.

20. საკარატოლო მიუთითებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმის“ №6 დანართის „ა.ა“ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, 3 ქულა ენიჭება დევნილ ოჯახს, რომელიც ცხოვრობს მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში (დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტში), რომელიც ნარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას; ან მესაკუთრემ განახორციელა დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებული პროცედურა. ამასთან, საგულისხმოა, რომ ნორმის მითითებული რედაქცია მიღებულია 2018 წლის 4 ივნისს. მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების იქამდე მოქმედი რედაქცია – „საცხოვრებელით ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმის“ №4 დანართის „ა“ პუნქტი კი განსაზღვრავდა, რომ დევნილებს, რომლებიც ცხოვრობდნენ კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებში და ამ ობიექტის მესაკუთრე ახორციელებდა დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას, ენიჭებოდათ 3 ქულა. ამრიგად, თუკი 2018 წლამდე ქულის მინიჭებისთვის საკმარისი იყო დევნილის ცხოვრება ისეთ ობიექტში, რომლის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურასაც ახორციელებს მესაკუთრე, მოქმედი რედაქციით განმსაზღვრელია

დევნილის ასეთ ობიექტში ცხოვრების სამართლებრივი საფუძველი – ფართი უნდა იყოს დევნილისთვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული.

21. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ 6. ქარის დევნილი, რომელსაც ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თვითნებურად ჰქონდა დაკავებული თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე №23/042 ნაკვეთი (ყოფილი ...ი). მითითებული ნივთი მოსარჩევებ 2015 წელს გამოათავისუფლა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან 2015 წლის 15 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. სანაცვლოდ, სამინისტრომ იკისრა 6. ქარის მინიჭებული ბინის ქირით უზრუნველყოფის ვალდებულება.

22. ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ, ასევე, დადგენილია, რომ მოსარჩელის დევნილი ოჯახის შეფასება, შესაბამისი ქულების მინიჭების მიზნით, განხორციელდა ორჯერ – 2015 და 2018 წლებში. ვინაიდან მითითებულ პერიოდებში განსხვავებული სამართლებრივი რეგულაციები მოქმედდა, მოსარჩელის ოჯახს განსხვავებული ქულები მიენიჭა. კერძოდ, 2015 წლის 13 ივლისს ოჯახს მიენიჭა 4.5 ქულა, მათ შორის, სოციალური კრიტერიუმების მიხედვით, ბინის ერთი ნაწილში – 1.5 ქულა, ხოლო მესაკუთრის მიერ ობიექტების გამოთავისუფლების პროცესის ნაწილში – 3 ქულა. მეორე შეფასებისას კი, ოჯახს მოაკლდა „მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული ფართიდან გამოსახლების“ კრიტერიუმში მინიჭებული 3 ქულა, ვინაიდან ოჯახს თვითნებურად ჰქონდა დაკავებული ფართი და შენობა არ იყო რეგისტრირებული დევნილთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში, როგორც დევნილთა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტი. შედეგად, მოსარჩელის ოჯახს განესაზღვრა 1.5 ქულა სოციალური კრიტერიუმის მიხედვით, ბინის ქირის ნაწილში. ამრიგად, მოსარჩელის ოჯახს 2015 და 2018 წლებში ქულები მიენიჭა შესაბამის პერიოდებში მოქმედი ნორმების მიხედვით, რამაც, საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, მისი ხელახლი შემოწმებისას ქულის შემცირება გამოიწვია.

23. საკასაციო სასამართლო, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას, მიუთითებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლებას, უკუძალა არა აქვს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად კი, კანონქვემდებარე ნორმა-

ტიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. ამრიგად, ცალსახაა, რომ ნორმატიული აქტი მოქმედებას იწყებს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და სწორედ ამ პერიოდიდან წარმოშობილ ან მიმდინარე ურთიერთობებს არეგულირებს. ნორმას უკუძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით და როდესაც იგი არ ამძიმებს/არ აუარესებს პირის მდგომარეობას. „ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არა მარტო ცალკეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, არამედ ღირებულებათა წესრიგი, სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც თავად წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა არსებობის (დაცვის) საძირკველს. ღირებულებათა ნორმატიული წესრიგი ცალკეული მოქალაქის ქცევათა დეტრიმინაციის საშუალება. ასეთი წესრიგის პირობებში ადამიანებს აქვთ გონივრული მოლოდნი იმისა, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლით დადგენილ ფარგლებში და მის მიერ ჩადენილ მოქმედებას შეაფასებს არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში“. ამასთან, „უკუძალის აკრძალვით კონსტიტუცია იძლევა იმის გარანტიას, რომ სამართლის სუბიექტები დაცული იქნენ კანონთა მოქმედების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგებისაგან. ვინაიდან ნებისმიერი კანონი საზოგადოების ცხოვრების უშუალო პროდუქტია, არ არის გამორიცხული, რომ ახალი კანონი, ნინასთან შედარებით, აუარესებდეს სუბიექტის მდგომარეობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1; 6).

24. რაც შექმება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსაზღებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში 2018 წელს განხორციელებული ცვლილებისთვის უკუძალის მინიჭებას, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ცვლილების მიზნებზე. კერძოდ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული ფართიდან გამოსახლების აუცილებლობაზე მითითება მიზნად ისახავს, არ იქნეს წახალისებული ობიექტის თვითხებურად დაკავება, ასევე, უპირატესობა მიენიჭოს დევნილს, რომელიც სახელმწიფოსთან შეთანხმებით და ინფორმირებით არის კონკრეტულ ობიექტში შესახლებული. სადაც

შემთხვევაში კი, ვინაიდან მოსარჩელემ ჯერ კიდევ 2015 წელს გა-  
მოათავისუფლა თვითნებურად დაკავებული ობიექტი, მასზე მი-  
თითებული ცვლილებით გათვალისწინებული მოთხოვნის გავრცე-  
ლება არ იქნება ნორმის მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი და  
პროპორციული. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ 2018 წელს მი-  
ლებული რეგულაციის მოსარჩელეზე გავრცელებით საუარესოდ და  
მისი ბრალის გარეშე, უკვე შექმნილი მოლოდინის საპირისპიროდ  
იცვლება ნ. ქ-ას ოჯახის მდგომარეობა, ისეთ გარემოებაზე მითი-  
თებით, რომელიც უკვე განხორციელებული და დასრულებულია და  
რომელზეც მოსარჩელე გავლენას ვერ შოახდებს. ამასთანავე, ვი-  
ნაიდან სწორედ მინიჭებული ქულების ოდენობაზე არის დამოკი-  
დებული დევნილის საცხოვრებლით დაქმაყოფილების რიგითობა, ქულის შემცირებით ნ. ქ-ას განსახლების შესაძლებლობა დროში  
გადაიდო მაშინ, როდესაც იგი 2015 წლიდან ელოდა თავის რიგს –  
4.5 ქულის მხედველობაში მიღებით. ასეთ პირობებში კი, მოსარჩე-  
ლე ვერ განჭვრეტდა მოგვიანებით მისი მდგომარეობის გაუარესე-  
ბის შესაძლებლობას, მას წლების განმავლობაში ჰქონდა მინიჭე-  
ბული ქულების შენარჩუნების მიმართ გონივრული მოლოდინი და  
კანონიერი ნდობა. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა კი მო-  
ითხოვს სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპის გამყარებასა და სა-  
მართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის დაცვას.

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო  
მიიჩნევს, რომ ნ. ქ-ას შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ  
ნორმატიულ აქტს უკანონოდ მიანიჭა უკაუქცევითი ძალა, რადგან  
შეცვალა უკვე არსებული ვითარება და შედეგად გააუარესა მო-  
სარჩელის მდგომარეობა. ვინაიდან სასამართლოთა მიერ დადგე-  
ნილია და კასატორი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ 2015 წელს  
მოსარჩელეს კანონის მოთხოვნათა დაცვით მიენიჭა 4.5 ქულა და  
იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა მესაკუთრის მხრიდან იპიექ-  
ტის დევნილთაგან გამოთავისუფლებისას ქულის მინიჭებისთვის  
არ მოითხოვდა, რომ დევნილი ასეთ ობიექტში მართლზომიერად  
ყოველიყო შესახლებული, არ არსებობს მოსარჩელისთვის „მარ-  
თლზომიერ მფლობელობაში გადაცემული ფართიდან გამოსახლე-  
ბის“ კრიტერიუმში 3 ქულის მომატებაზე უარის თქმის საფუძვე-  
ლი.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო  
პალატა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის  
32-ე და 33-ე მუხლების საფუძველზე, მიიჩნევს, რომ სადავო ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებ-  
ლობის მოთხოვნათა დარღვევით და მართებულად იქნა ბათილად  
ცნობილი, შესაბამისად, სააგენტოს კანონიერად დაევალა ახალი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა 6. ქ-ას დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, მისი ოჯახისათვის 3 (სამ) ქულის დამატებისა და საერთო ჯამში 4.5 ქულის მინიჭების შესახებ. ამრიგად, მოცემულ საქმეზე მიღებული, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის კანონიერი და დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძვლები არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

**დევნილის სტატუსის მინიჭებისას პირის მუდმივი  
საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მისი  
დატოვების მიზანის და მომატების დადგენა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-627(კ-20)

18 მარტი, 2021 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმე-  
დების განხორციელების დავალება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. მ. ი-მა 2018 წლის 24 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილი-  
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-  
ას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სა-  
მინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლე-  
ბისა და ლტოლებილთა მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის №1927  
ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალუ-  
რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მოსარჩელისთვის  
დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ) გამოცემისა და მოსარ-  
ჩელის სასამართლოდ 2017 წლის 3 სექტემბრიდან სასამართლოს  
გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დევნილის ყოველ-  
თვიური კომპენსაციის – 45 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2019 წლის 12 მარტის საოქმო განჩინებით საქარ-  
თველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლება-  
მონაცვლედ მიჩნეულ იქნა სისპ სოციალური მომსახურების საა-  
გენტო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მ. ი-ს

სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის №1927 ბრძანება; სსიპ სოციალური მომსახურების სა-აგენტოს დაევალა მ. ი-ისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების თა-ობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტის გამოცემა და მოსარჩელისათვის იძულებით გადაადგი-ლებული პირის კუთვნილი ყოველთვიური კომპენსაციის – 45 ლა-რის ანაზღაურება 2017 წლის 3 სექტემბრიდან სასამართლოს გა-დაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

#### **4. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენი-ლად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

4.1. მ. ი-მა 2017 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქარ-თველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგი-ლებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევ-ნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;

4.2. მ. ი-ს 2017 წლის 3 აგვისტოს დევნილთა საკითხების დეპარ-ტუმენტი გასაუბრება ჩაუტარდა. გასაუბრების დროს მან აღნიშ-ნა, რომ დაიბადა ...ში, 1985 წელს დაამთავრა სოფელ ...ს საშუალო სკოლა, 1987 წელს დაოჯახდა ...ში, ხოლო ... წელს შეე-ძინა შვილი – ი. ო-ე, დაოჯახების შემდეგ – 1987-1993 წლებში ცხოვ-რობდა ...ში. მ. ი-მა, ასევე, აღნიშნა, რომ 1992 წელს, ომის დაწყე-ბის დროს ცხოვრობდა ...ში, მეუღლესთან და ომის პერიოდში საც-ხოვრებლად გადავიდა მამასთან, სოფელ ...ში, ხოლო განქორწინე-ბა დაარეგისტრირა 1993 წლის ზაფხულში. ის ...ის რაიონის სოფელ ...ში ცხოვრობდა შვილთან, მშობლებთან და ძმებთან ერთად, აფ-ხაზეთის დატოვების შემდეგ კი – ოჯახთან ერთად ...ში, შემდეგ – ...ში, ...ში და შემდეგ – თბილისში. მისივე განმარტებით, შემდეგ იტალიაში იმყოფებოდა სამუშაოდ;

4.3. აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 3 აგვისტოს №258 ცნობით დგინდება, რომ მ. ი-ი არის დევნილი ზემო აფხაზეთის სოფელ ...იდან. იგი მიეკუთვნება 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა კატე-გორიას;

4.4. აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 4 აგვისტოს №259 ცნობით დგინდება, რომ მ. ი-ი არის დევნილი ზემო აფხაზეთიდან, 1993 წლამდე – მუდმივად ცხოვ-რობდა ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში;

4.5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 7 სექტემბრის №MIA 01702153718 ნერილით საქართველოს ოკუპი-რებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,

განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეცნობა, რომ იმერე-თის, რაჭა-ლეჩეუმისა და ქვემო სკანეთის პოლიციის დეპარტამენ-ტის ინფორმაციით, მ. ი-ი 1988 წლის ჩათვლით ცხოვრობდა ...ში, ე. ის ... ის №...-ში, ხოლო 1989 წლიდან – აღნიშნულ მისამართზე აღარ ცხოვრობს, ასევე, მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი მისა-მართი უცნობია;

4.6. მ. ი-თან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გაიცა იძულე-ბით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე დასკვნა. დასკვნაში მითითებულია, რომ მ. ი-ი 1987 წელს დაოჯახდა ...ში და მისივე განცხადებით 1993 წლამ-დე ცხოვრობდა ...ში, 1989 წელს შვილი ...ში შეეძინა. განმცხადებ-ლის მიერ გასაუბრებისას დასახელებული განქორწინების რეგის-ტრაციის თარიღი კი განსხვავდება მის მიერ წარდგენილი, სასა-მართლოს 1995 წლის 3 თებერვლის განაჩენის თარიღისგან. სამი-ნისტრომ მიიჩნია, რომ მ. ი-ი 1987 წლიდან აღარ იყო დაკავშირებუ-ლი სოფელ ...თან ყოველდღიური ყოფით, შრომითი საქმიანობით ან სხვაგვარი ურთიერთობით. შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ მ. ი-თან მიმართებით არ დასტურდებოდა „საქართველოს ოკუპირებუ-ლი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევ-ნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალის-წინებული გარემოებების არსებობა და დევნილის სტატუსის მინი-ჭება მიზანშეწონილი არ იყო;

4.7. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულე-ბით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ოკუ-პირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილის სტატუსის მინიჭე-ბის, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის და დევნილთა რე-გისტრაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-14 და მე-20 პუნქტების შესა-ბამისად, დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 9 ოქტომბრის №01-02/06-10384 მოხსენებითი ბარათით წარ-დგენილი დასკვნის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლე-ბისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის №1927 ბრძანებით მ. ი-ს უარი ეთქვა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე.

5. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრი-ვი შეფასებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „სა-ქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაად-გილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-

4, მე-6, მე-8 მუხლებზე და აღნიშნა, რომ პირის დევნილად მიჩნევისთვის, მას იძულებით, საკუთარი წების საწინააღმდეგოდ უნდა უხდებოდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის (სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა) დატოვება. ამასთან, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, პირს მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად, შეუზღუდავად არჩევის უფლება, პირს შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი გააჩნდეს, თუმცა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

6. მ. ი-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის საკითხთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ გასაუბრებისას მითითებულ გარემობებზე, აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობებზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 7 სექტემბრის წერილზე და მიიჩნია, რომ დასახელებული მტკიცებულებები ერთობლიობაში ადასტურებდა 1993 წლამდე მოსარჩელის სოფელ ...ში მუდმივად ცხოვრების ფაქტს. შედეგად, სასამართლომ მოსარჩელისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა უკანონოდ მიიჩნია, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად ცნო და მოპასუხეს დაავალა მ. ი-ისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი აქტის გამოცემა.

7. მოსარჩელისთვის ყოველთვიური კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-12, მე-16 მუხლებზე, საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუდებელი შემწეობის ანაზღაურების მოთხოვნა ამავე შემწეობის გაუცემლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს. ვინაიდან მოსარჩელეს დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უკანონოდ ეთქვა უარი, რის გამოც მან შემწეობა ვერ მიიღო, ზიანის ანაზღაურების შესახებ მ. ი-ის მოთხოვნა საფუძვლიანად იქნა მიჩნეული. ამასთან, რადგან მოსარჩელემ სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართა 2017 წლის 3 აგვისტოს, სასამართლომ მიიჩნია, რომ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მ. ი-ი ამ დროიდან იყო უფლებამოსილი, მიეღო დევნილთათვის განკუთვნილი კომპენსაცია. შესაბამისად, მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისათვის ყოველთვიური კომ-

პენსაციის სახით 45 ლარის ანაზღაურება 2017 წლის 3 სექტემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-6 მუხლებიდან გამომდინარე, სადაც საკითხის გადაწყვეტილისას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა 1993 წლამდე მოსარჩევის აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადგენას. აღნიშნული საკითხის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობებზე, რომლებითაც გამგეობამ დაადასტურა მოსარჩევის ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში 1993 წლამდე მუდმივად ცხოვრების ფაქტი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით დაზუსტდა, რომ მოსარჩევე 1988 წლის ჩათვლით ცხოვრობდა ...ში, რასაც არც მოსარჩევე ხდიდა სადავოდ, მიუთითებდა რა, რომ ქორწინების პერიოდში მცირე ხნით ცხოვრობდა ...ში, თუმცა შემდეგ აფხაზეთში დაბრუნდა. სააპელაციო სასამართლომ დასახელებული მტკიცებულებები ურთიერთსანინააღმდეგოდ არ განიხილა და დადასტურებულად მიიჩნია 1993 წლამდე მ.ი-ის აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების ფაქტი.

12. სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ

პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ მე-2 მუხლის მე-14 პუნქტზე, რომლითაც გათვალისწინებულია დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაც შემთხვევაში არ არსებობდა მითითებული ნორმით გათვალისწინებული, სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სისპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

14. კასატორი, საქმის გარემოებებზე მითითებით, მიიჩნევს, რომ მ. ი-ი 1987 წლიდან აღარ იყო დაკავშირებული სოფელ ...თან ყოველდღიური ყოფით, შრომითი საქმიანობით ან სხვაგვარი ურთიერთობით. ამასთან, გასაუბრებისას მ. ი-ი თავად მიუთითა 1987-1993 წლებში ...ში ცხოვრების ფაქტზე.

15. კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებისა და ჩამორთმევის საკითხი სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებით აღმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა, კანონის ნორმის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია კანონმდებლობის მოთხოვნებით. განსახილველ შემთხვევაში, სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოიკელია საქმის გარემოებები და გამოსცა კანონიერი აქტი, ვინაიდან მოსარჩელე არ აკმაყოფილებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ, დევნილის სტატუსის მინიჭებისთვის აუცილებელ წინაპირობებს. დევნილის სტატუსის არასწორად მინიჭებამ კი შეიძლება სახელმწიფოს ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვაც კი გამოიწვიოს, რაც, ასევე, უნდა იქნეს გათვალისწინებული დავის სწორად გადაწყვეტისთვის.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით სისპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასამვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად გან-

ხილულ იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

17. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადაც საკითხს წარმოადგენს მ. ი-ისთვის, აფხაზეთში მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტის დაუდასტურებლობის საფუძვლით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერება.

19. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს და ადგენს პირისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების საფუძვლებსა და წესს. დასახელებული საკანონმდებლო აქტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქების არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

20. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დევნილის სტატუსის მისანიჭებლად: 1. ზუსტად უნდა განისაზღვროს პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი; 2. შესწავლის უნდა იქნეს პირის მიერ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების მიზეზები. სტატუსის მინიჭების წინაპირობას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლით დატოვება ქმნის. უფრო მეტიც, დევნილის სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობა დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენას პირდაპირ და უშუალოდ უკავშირებს მისი დატოვების მიზეზებსა და იმავე მიზეზით უკან დაბრუნების შეუძლებლო-

ბას, კერძოდ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს დევნილის, მისი დევნილი მმობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც დევნილი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო. ამასთან, საცხოვრებელი ადგილის ცნების განსაზღვრისას, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა გულისხმობს არა კონკრეტულ ადგილზე პირის რეგისტრაციის ფაქტის შესწავლას, არამედ პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული, ფაქტობრივი ცხოვრების მისამართის დადგენას, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის პირის ნებას თან უნდა ახლდეს ცხოვრების ფაქტი („მუდმივი საცხოვრებელი ადგილის“ დეფინიციასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინება საქმეზე №ბს-1896-1849(კ-10)). დამატებით, დევნილის სტატუსის მაძიებელი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართის დადგენასთან ერთად, სტატუსის მისანიჭებლად, უნდა შეფასდეს პირის მიერ ამავე ადგილის დატოვების (სხვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევის) მიზეზები – პირს საცხოვრებელი ადგილი დატოვებული უნდა ჰქონდეს საკუთარი ნების გარეშე, იძულებით, ტერიტორიაზე მიმდინარე იმ მოვლენათა შედეგად, რომლებიც პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ას თავისუფლებას საფრთხეს უქმნიდა. ამრიგად, ხსენებული წინაპირობების გამო ტერიტორიის იძულებით დატოვების საკითხის შესწავლისას, არსებითი მნიშვნელობა უნდა მიერიჭოს ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის შედეგად პირის ძირითადი უფლებების დარღვევების პერიოდსა და განმცხადებლის მიერ ტერიტორიის დატოვების დროს და უნდა მოხდეს აღნიშნული პერიოდების ურთიერთშედარება.

21. სადაც შემთხვევაში დადგენილია, რომ მ. ი-მა 2017 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტე-

რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. იგი დევნილის სტატუსს მინიჭების საფუძვლად მიუთითებდა 1993 წელს სოფელ ...ის იძულებით დატოვებაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის №1927 ბრძანებით კი მოსარჩელეს უარი ეთქვა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე, ვინაიდან მიჩნეულ იქნა, რომ სოფელი ...ი 1987 წლიდან აღარ წარმოადგენდა მ. ი-ის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს.

22. აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილია აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 3 აგვისტოს №258 ცნობა, რომლის თანახმადაც, მ. ი-ი არის დევნილი ზემო აფხაზეთის სოფელ ...იდან. იგი მიეკუთვნება 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა კატეგორიას; იმავე გამგეობის 2017 წლის 4 აგვისტოს №259 ცნობის მიხედვით კი, მ. ი-ი არის დევნილი ზემო აფხაზეთიდან, 1993 წლამდე მუდმივად ცხოვრობდა ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში.

23. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ისე თავად მოსარჩელის განმარტებებით, მ. ი-ი სოფელ ...ში ცხოვრობდა 1993 წლამდე, თუმცა ამავდროულად აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 3 აგვისტოს №258 ცნობაში მითითებულია მოსარჩელის 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ, მართალია, იხელმძღვანელა აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობებით, მაგრამ არ შეუფასებია ცნობაში 2008 წლის საომარ მოქმედებზე მითითების საკითხი. დასახელებული გარემოების გამოკვლევას კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის მართებულად გადაწყვეტისთვის – დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის და მისი დატოვების მიზეზების სწორად განსაზღვრისთვის, კერძოდ, უნდა შეფასდეს სოფელ ...ში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, დევნილის სტატუსის მინიჭებისთვის აუცილებელი – მუდმივი საცხოვრებელი ადგილის საკუთარი ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობის, სიკოცხლის, თავისუფლების დაცვის მიზნით დატოვების წინაპირობები როდის წარმომშვა და როდემდე გრძელდებოდა. თუკი 2008 წლამდე სოფელი ...ი არ ექცეოდა ოკუპირებულ ტერიტორიაში, ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენები კი მოსახლეობას უსაფრთხოდ ცხოვრებაში ხელს არ უშლიდა, მოსარჩელისთვის სტატუსის მინიჭებისთვის უნდა დადასტურდეს მისი სო-

ფელ ...ში არა 1993 წლამდე, არამედ 2008 წლამდე ცხოვრების ფაქტი. მხოლოდ დასახელებულ გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და სწორად დადგენის შემდეგ არის შესაძლებელი, შეფასდეს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – მოსარჩელისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერება.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დასახელებული საკითხი სააპელაციო პალატის მიერ გამოკვლეული არ არის, საკასაციო სასამართლო მიმწნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გაუქმების საფუძველი და საქმე, იმავე კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ხელახლა განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. ეკომიგრაციების განსახლების საკითხები**

**სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულისთვის  
საცხოვრებელი სახლის გადაცემის წინაპირობები**

#### **გადაცვალების საქართველოს სახელით**

№ბს-620(კ-19)

5 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 13 აპრილს ო. დ-ებ სასარჩელო განცხადებით მიმარ-  
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-  
რიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და  
ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ ო. დ-ის ნაწილში სტიქიური მოვლენების შედეგად  
დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახე-  
ბის (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებე-  
ლი კომისიის 2017 წლის 11, 12 და 13 დეკემბრის №42 სხდომის  
ოქმის, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის  
თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილ-  
თა მინისტრის 2018 წლის 7 მარტის №05-01/06/7319 გადაწყვეტი-  
ლების ბათილად ცნობა და მოპასუხე საქართველოს ოკუპირებუ-  
ლი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახ-  
ლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის კანონით დადგენილი  
წესით ო. დ-ისთვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის თაობაზე  
ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი ცხოვრობს ამბროლაურის რაი-  
ონის სოფელ ...ში. 90-იან წლებში სტიქიური უბედურების შედეგად

წარმოქმნილი მეწყერისაგან დაზიანდა მისი საცხოვრებელი სახლი, რის გამოც იქ ცხოვრება შეუძლებელი გახდა. მოსარჩელის მითითებით, მან 2007 წელს მიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტს და მოითხოვა, რომ ისევ რაჭაში გადაეცათ საცხოვრებელი სახლი, რაზეც უარი მიიღო.

მოსარჩელის განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ მისი სახლი დაზიანდა მეწყერისა და ჯდენადი გრუნტის შედეგად, სამინისტრომ უარი განაცხად მისი ოჯახის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც მან 2016 წელს კვლავ მიმართა გეოლოგებს და განმეორებითი დასკვნით დადგინდა, რომ იგი ექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ განსახლებას.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სამინისტროს არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რის გამოც არასწორად დაადგინა, რომ თითქოს მას აქვს საცხოვრებელი სახლი ...ის ქუჩაზე.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 2018 წლის 7 მარტს მიიღო პასუხი, რომ მის საკუთრებაში არსებულ სახლს, დაზიანებების შესაბამისად, მინიჭებული ჰქონდა პირველი კატეგორია, თუმცა წერილი-დან არ ირკვეოდა, რომელი კატეგორია უნდა მინიჭებოდა უძრავ ქონებას, რომ მესაკუთრეს მიეღო საცხოვრებელი სახლი. ამასთან, წერილში განმარტებულია, რომ დახმარების გაცემის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა მის საკუთრებაში არსებული სამი მიწის ნაკვეთი. მოსარჩელის განმარტებით, ამავე სამინისტროს 2018 წლის 5 იანვრის წერილში არ ყოფილა მითითებული, რომ აღნიშული მიწის ნაკვეთების ფლობა საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო. შესაბამისად, მოსარჩელისთვის გაუგებარია, რატომ შეიცვალა სამინისტროს პოზიცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით ო. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლევილთა მინისტრის 2018 წლის 7 მარტის №05-01/06/7319 გადაწყვეტილება, ასევე სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ო. დ-ის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის 2017 წლის 11, 12 და 13 დეკემბრის №42 სხდომის ოქმი და მოპასუხეს საქართველოს ოკუპირებული ტერი-

ტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნანილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადაც საკითხთან დაკავშირებით, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ო. დ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების ორგანიზების მიზნით, დამტკიცდა „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურა“, ხოლო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების რეგულირება უნდა უზრუნველეყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმატიული აქტი არეგულირებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის (ეკომიგრანტის) განსახლებისა და საცხოვრებელი სახლის კანონმდებლობის საფუძველზე საკუთრებაში გადაცემის წესს, რომლის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) (შემდგომში – ეკომიგრანტი ოჯახი) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარებისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზევის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მინისტრისა და ვულკა-

ნისა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი იძლევა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის (შემდგომში – „დაზარალებული“) განმარტებას, კერძოდ: განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში.

სასამართლოს მითითებით, აღნიშნული წესის მე-2 მუხლის საფუძველზე, სამინისტრო ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის (შემდგომში – განაცხადი) დაკმაყოფილებას ახორციელებს ამ ბრძანების საფუძველზე, სამინისტროს ან ეკომიგრანტი ოჯახის მიერ მოძიებული საცხოვრებელი სახლის, სამინისტროს მიერ შესყიდვის გზით, ხოლო კონკრეტული ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ამ ბრძანების მე-5 პუნქტით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია (შემდგომში – კომისია). ამასთან, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ყოველწლიური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით შესყიდული საცხოვრებელი სახლების შეთავაზებაზე.

დეპარტამენტი/სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ახდენს საცხოვრებელი სახლების მიღების მსურველთა განაცხადების შევსებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) წარმოების წესის შესაბამისად. ეკომიგრანტი ოჯახის მიერ მონოდებული ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე განაცხადს აცხებს სამინისტროს/სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი მოხელე. დეპარტამენტი, მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ახდენს განაცხადების დამუშავებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების კრიტერიუმების (შემდგომში – კრიტერიუმები) შე-

საბამისად და დამუშავებულ მასალას წარუდგენს კომისიას განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დეპარტამენტი არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ, დაზარალების გამო, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ განსახლებას, მათ შორის იმ ეკომიგრანტი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას. დეპარტამენტის მიერ განაცხადების დამუშავება გულისხმობს შემდეგს: ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების შესწავლას წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დამატებითი მონაცემების მოძიებასა და აუცილებელი დოკუმენტაციის მოთხოვნას ეკომიგრანტი ოჯახისაგან და/ან შესაბამისი ორგანიზაცია/დაწესებულებისაგან; მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, თითოეული ეკომიგრანტი ოჯახისათვის წინასწარი ქულების მინიჭებას კრიტერიუმების მეშვეობით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამავე წესის მე-3 მუხლის მიხედვით, საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის მიზნით, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროების შეფასებისას მონაცემთა ბაზაში დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის. ეკომიგრანტი ოჯახი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცესში.

სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე, რომელიც წარმოადგენს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზრალებულთა განსახლების საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას, ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმიერად და სრული პასუხიმგებლობით მიუდგეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს – ზედმინევნით ზუსტად განსაზღვროს დაზარალებული ოჯახის განსახლების პრიორიტეტულობის საკითხი, რაც უნდა განახორციელოს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით. კერძოდ, შეაფა-

სოს მოსარჩელის ოჯახის საცხოვრებელი პირობების მდგომარეობა, შეისწავლოს მათი საჭიროებები – ნარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ამასთან, მოიძიოს დამატებითი მონაცემები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოქალაქე ო. დ-ემ 2014 წლის 7 ივლისს დაზარალებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე განაცხადით მიმართა საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და აღნიშნულ განაცხადს, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მიენიჭა წინასწარი 17 ქულა, თუმცა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელე ო. დ-ეს მოცემულ ეტაპზე უარი ეთქვა მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ ო. დ-ეს შეეძლო ესარგებლა ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლით, რომელიც ნარმოადგენდა მისი მეუღლის – მ. ც-ას საკუთრებას, რომელთანაც მოსარჩელე იურიდიულად განქორწინებული არ იყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში ნარმოდგენილი არ იყო შესაბამისი ამონანერი საჯარო რეესტრიდან, რაც დაადასტურებდა განცხადების განხილვის პერიოდისათვის მოსარჩელის ოჯახის წევრის – მ. ც-ას საკუთრებაში საცხოვრებელი სახლის არსებობას. ამასთან, სასამართლომ მიუთითა მოსარჩელის განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული უძრავი ქონება ნარმოადგენდა სადაც ფართს, იგი მეუღლესთან ერთად თხუთმეტი წელია საერთო მეურნეობას აღარ ახორციელებდა და ცხოვრობდა განცალკევებით, რაჭაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, ნივთზე უფლების არსებობა დასტურდება საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შეძენისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

სასამართლოს მითითებით, საკითხის განხილვის პერიოდისთვის საჯარო რეესტრის მონაცემებით მოსარჩელის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არ ირიცხებოდა საცხოვრებელი სახლი. ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხების პოზიცია მასზედ, რომ მოსარჩელის ოჯახის წევრს – მ. ც-ას საკუთრებაში გააჩნდა უძრავი ქონება. სასამართლოს მითითებით, საქმეში ნარმოდგენილი არ იყო შესაბამისი ამონანერი საჯარო რეესტრიდან, რაც დაადასტურებდა მის საკუთრებაში საცხოვრებელი სახლის არსებობას. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ გაცემული საკუთრების უფლების №434 მოწმობასთან მიმართებით სასამარ-

თლომ აღნიშნა, რომ ის ვერ ჩაითვლებოდა მ. ც-ას საკუთრებაში საცხოვრებელი სახლის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან, მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ფართი დავის საგანს წარმოადგენდა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის №ბა-181-179(კ-17) განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფა-სებებსა და დასკვნებზე, კერძოდ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებით დამტკიცებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების წესის“ მე-2 მუხლის 11<sup>2</sup> პუნქტის (13.04.2016). განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი თანახმად, ბოლო ეტაპზე განიხილება იმ დაზარალებული ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის გარემოებების ხელახალი შესწავლისა და გამოკვლევის დროს, სამინისტრო ვალდებულია გამოიკვლიოს ის გარემოებაც, შესაბამის სოფელში სტიქით დაზარებული სხვა ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი სახლი, არიან თუ არა დაკამაყოფილებულები კანონმდებლობის შესაბამისად და თუნდაც ამის გამოცხოვების ვ. ა-ის ოჯახის დაკამაყოფილების აუცილებლობა, მისი დაკამაყოფილების რიგი, თუნდაც ჩაითვალოს, რომ მის იჯახს გააჩნია საცხოვრებელი ფართი".

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის ოჯახის წევრს საკუთრებაში ჰქონდა საცხოვრებელი სახლი და მოსარჩელს შეეძლო შეუფერხებლად ესარგებლა აღნიშნული ფართით, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა შეფასებული ის გარემოება, რომ აღნიშნული საცხოვრებელი სახლი საჯარო რეგისტრში რეგისტრირებული არ იყო და წარმოადგენდა სადაც ფართს. ამასთან, ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია, თუ როდის დადგებოდა მოსარჩელის ოჯახის დაკამაყოფილების რიგი, თუნდაც მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში საცხოვრებელი სახლის არსებობის პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტზე მითითებით სასამართლომ

განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას – წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილენი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება, ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას, რაც მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხორციელებულა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების დროს არ დაიცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა, არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯრების გარეშე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცხოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მოცემული ნორმიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ო. დ-ის ნაწილში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის 2017 წლის 11, 12 და 13 დე-

კემბრის №42 სხდომის ოქმი, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიები-დან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2018 წლის 7 მარტის №05-01/06/7319 გადაწყვეტილება და მოპასუხეს უნდა დავალებოდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სადაც საკითხთან დაკავშირებით, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლომ სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცწონ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და მოპასუხეს დაავალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მისთვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის თაობაზე, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 თებერვლის საოქმო განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძუ-

ლებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანება, რომლითაც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების ორგანიზების მიზნით, დამტკიცდა „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურა“, ამასთან, დაფინდა, რომ მითითებული კატეგორიის პირების განსახლების საკითხების რეგულირება უნდა უზრუნველყოს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილმა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელმა კომისიამ.

„სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაკვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ (დანართი № 1) 1.2 მუხლის თანახმად, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარებისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყვერის, ლვარცოფის, კლდეზვავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მიწისძვრისა და ულვანისა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ეკომიგრანტი ოჯახი განმარტებულია, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ენევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში. მითითებული „პროცედურის“ 2.1 მუხლის თანახმად, სამინისტრო ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის დაკმაყოფილებას ახორციელებს, ამ ბრძანების საფუძველზე, სამინისტროს ან ეკომიგრანტი ოჯახის მიერ მოძიებული საცხოვრებელი სახლის, სამინისტროს მიერ შესყიდვის გზით, ხოლო 2.2 მუხლის შესაბამისად, კონკრეტული ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას

იღებს ამ ბრძანების მე-5 პუნქტით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია, რომელიც ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას იღებს ყოველწლიური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით შესყიდული საცხოვრებელი სახლების შეთავაზებაზე. დეპარტამენტი/სააგენტოს ტერიტორიული ორგანო ახდენს საცხოვრებელი სახლების მიღების მსურველთა განაცხადების შევსებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის შესაბამისად (2.8 მუხლი). დეპარტამენტი, მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ახდენს განაცხადების დამუშავებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად და დამუშავებულ მასალას წარუდგენს კომისიას განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით (2.11 მუხლი). დეპარტამენტი არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი მუხლის განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ, დაზარალების გამო, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი მუხლის დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ განსახლებას, მათ შორის იმ ეკომიგრანტი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას (2.12 მუხლი). დეპარტამენტის მიერ განაცხადების დამუშავება გულისხმობს ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების შესწავლას წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დამატებითი მონაცემების მოძიებასა და აუცილებელი დოკუმენტაციის მოთხოვნას ეკომიგრანტი ოჯახისაგან და/ან შესაბამისი ორგანიზაცია/დაწესებულებისაგან; მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, თითოეული ეკომიგრანტი ოჯახისათვის წინასწარი ქულების მინიჭებას კრიტერიუმების მეშვეობით (2.13 მუხლი).

პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული „პროცედურის“ მე-3 მუხ-

ლის თანახმად, საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის მიზნით, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული კრიტიკული უმების საფუძველზე, განისაზღვრება ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტიკული უმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტიკული ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროების შეფასებისას მონაცემთა ბაზაში დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტიკული უმების პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის. ეკომიგრანტი ოჯახი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცესში.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ო. დ-ემ, როგორც სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულმა პირმა, 07.07.2014წ. განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საცხოვრებელი სახლის მიღების მოთხოვნით. ო. დ-ის განცხადს საკითხის განხილვაზე უფლებამოსილმა კომისიამ მიანიჭა წინასწარი 17 სარეიტინგო ქულა. აღნიშნულ ქულათა რაოდენობის საფუძველზე, 02.11.2017წ. დაზარალების მუნიციპალიტეტში განხორციელდა საცხოვრებელი სახლის მდგომარეობისა და ო. დ-ის ოჯახის საჭიროებების შესახებ არსებული ინფორმაციის გადამოწმება. გადამოწმების პროცესში დადგინდა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში ოჯახის საცურავებაში არსებული საცხოვრებელი სახლი არის ორსართულიანი, პირველი სართული არის კაპიტალური, ხოლო მეორე სართული არის ხის შენობა, შენობის დაზიანების ხარისხი შეესაბამება I კატეგორიას. სახლის დაზიანებასთან დაკავშირებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სამინისტროში 22.10.2015წ. №1100 წერილით წარადგინა გეოლოგიური დასკვნა, რომლის თანახმად, „სახლს ძირითადი დაზიანებები მიღებული აქვს რეგიონში გასულ წლებში მომხდარი მიწისძრების შედეგად, რასაც ემატება გრუნტის ჯდენის პროცესები და მცირე მეწყერული ძრები. სახლი აგარისულ მდგომარეობაში იმყოფება და საცხოვრებლად საშიშია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია სახლის დემონტაჟი და მოსახლის „საკარმიდამ ნაკვეთის ფარგლებში ახალი, შედარებით მსუბუქი კონსტრუქციის, შენობის აგება სამშენებლო ნორმების დაცვით“. ამავე წარმოების ფარგლებში, გამოვლინდა, რომ ო. დ-ე საკუთრებაში ფლობს სამ მიწის ნაკვეთს ქ. თბილისში (ს/კ ..., ... და ...), რომელთაგან, ერთ-ერთი (ს/კ ...) აჩუქა შვილს – ა. დ-ეს. რაც შეეხება სააცხოვრებელ ბინას, გამოვლინდა, რომ ო. დ-ის მეუღლე მ. ც-ა

ქ. თბილისში, ...ის ქ. №8-ში ფლობს მშობლების ბინას, სადაც ამჟა-მად ცხოვრობს ოჯახი.

სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მასალებით და მხა-რეთა განმარტებებით დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ამბოლაურის რაიონში, სოფელ ...ში, სტიქიური მოვლენების შე-დეგად, ნამდილად დაზიანდა ო. დ-ის საცხოვრებელი სახლი და მოსარჩელე წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ, საცხოვრებელი სახლის მიღების მოთხოვნა-ზე უფლებამოსილ სუბიექტს, თუმცა ის გარემოება, თუ რამდენად არსებობდა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საფუძვე-ლი, სადაც საკითხის განხილვაზე უფლებამოსილ კომისიას უნდა დაედგინა „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის“ შესაბამისად.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩე-ლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კონკრეტული სა-ფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ო. დ-ის ოჯახს გააჩნია სხვა საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში და შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე არ საჭიროებდა განსახლებას.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ფაქტის დადგენა უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებე-ბის საფუძველზე. სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლითაც გან-მტკიცებულია შეჯიბრებითობის პრინციპი. პალატამ ასევე მიუთი-თა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხ-ლსა და 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 ნაწი-ლებზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციული თუ სასამართლო წარ-მოებისას მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სრულად, ყოველმხრივ და ობი-ექტურად გამოკვლევას, შესწავლასა და შეფასებას. სასამართლოს მითითებით, მხარემ უნდა წარადგინოს შესაბამისი ფაქტის დამა-დასტურებელი მტკიცებულებები. მტკიცებულებას შეიძლება წარ-მოადგენდეს მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, ფაქ-ტების კონსტატაციის მასალები, წერილობითი თუ ნივთიერი მტკი-ცებულებები და ექსპერტთა დასკვნები. ამასთან, სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით ცალსახადა გან-საზღვრული, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თ-ნახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებე-ბით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის მტკუიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკაისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. განსახილველ შემთხვევაში კი, მოსარჩელის მიერ ვერ იქნა უზრუნველყოლი მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიზანს, სადავო საკითხის შეფასებისას, წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, განსახლების ყოველ ეტაპზე საცხოვრებლის არმქონე ოჯახების გამოვლენა, რომლებსაც არანაირი თავშესაფარი არ გააჩნიათ და ხელი არ მიუწვდებათ არც სხვა რაიმე დროებით თავშესაფარზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომლის თანახმად, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ამონანერი საჯარო რეესტრიდან, არ დასტურდება განცხადების განხილვის პერიოდისათვის თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის მოსარჩელის ოჯახის წევრის – მ. ც-ას საკუთრებაში არსებობა. პალატამ მიუთითა ქ. თბილისის ძევლი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ გაცემულ 24.08.2007წ. №434 საკუთრების უფლების მოწმობაზე.

პალატამ მიუთითა თავად ო. დ-ის მიერ, სააპელაციო პალატის სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებაზე, რომლის თანახმად, იგი მხოლოდ პენსიაზე გასვლამდე ცხოვრობდა მ. ც-ას საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლში, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა რაჭაში, სოფელ ...ში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ცნობილია მოსარჩელის მხოლოდ ზეპირი განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენს სადავო ფართს, იგი მეუღლეთან ერთად თხუთმეტი წელია საერთო შეურნეობას აღარ ახორციელებს და ცხოვრობს განცალკევებით, რაჭაში. პალატამ აღნიშნა, რომ ო. დ-ეს მეუღლესთან – მ. ც-ასთან განქორნინების, ასევე მასთან ფაქტობრივად ცხოვრების გამომრიცხავი გარემოების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ წარუდგენია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონის შესაბამისად და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობისა საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო

წესით გაასაჩივრა ო. დ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, იგი წარმოადგენს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახს. აღნიშნულის მიუხედავად, იგი მარტო ცხოვრობს სსენებულ შენობაში, რომელიც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველია. კასატორის მითითებით, ის ფაქტი, რომ შენობა ნამდვილად რისკის შემცველ ზონაში მდებარეობს, დასტურდება გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დასკვნით.

კასატორის მითითებით, ქ. თბილისში, ...ის №8-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში მ. ც-ას სახელზე, რაც სამოქალაქო კოდექსის 311-ე და 183-ე მუხლების თანახმად და კანონმდებლობით დადგენილი სამოქალაქო ბრუნვის ფარგლებში გამორიცხავს საკუთრების უფლებას. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ იგი წლებია ფაქტობრივ ქორწინებაში აღარ იმყოფება მეუღლესთან – მ. ც-ასთან და სოფელ ...ას მუდმივი მაცხოვრებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 24 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ო. დ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ივლისის განჩინებით ო. დ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საზუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ო. დ-ემ 2014 წლის 7 ივლისს დაზარალებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე განაცხადით მიმართა საქართველოს ოკუპირებუ-

ლი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის 2017 წლის 11, 12 და 13 დეკემბრის №42 სხდომის ოქმის დანართის მიხედვით, ო. დ-ის სახლი არის ორსართულიანი, პირველი სართული კაპიტალურია, მეორე კინის. სახლი მთლიანად დეფორმირებულია, საყრდენი ბოძები გადახრილია, უკანა კედლის კუთხე პირველ სართულზე გახსნილია, სახურავი დაზიანებულია, საძირკველში დგება წყალი უხვი ნალექის დროს, შენობის დაზიანების ხარისხი არის პირველი კატეგორიის. ო. დ-ის მეუღლე და შვილი ცხოვრობენ თბილისში. გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, სახლს ძირითადი დაზიანებები მიღებული აქვს მინისძვრის შედეგად, რასაც ემატება გრუნტის ჯდენის პროცესები და მცირე მეწყერული ძვრები. ამდენად, საჭირო იყო სახლის დემონტაჟი და შედარებით მსუბუქი კონსტრუქციის შენობის აგება სამშენებლო ნორმების სრული დაცვით. საბოლოოდ, კომისიამ ო. დ-ეს საკითხის განხილვის ეტაპზე უარი უთხრა საცხოვრებელი სახლის მოძიებაზე.

საქართველოს ოკუპარებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 5 იანვრის ნერილით ო. დ-ეს „საცხოვრებელი სახლის მიღების თაობაზე“ მისი ოჯახის 2014 წლის 7 ივლისის განაცხადის პასუხად ეცნობა, რომ მის ოჯახს მინიჭებული პქონდა წინასწარი 17 ქულა, რომლის საფუძველზეც, ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად შეისწავლა ო. დ-ის ოჯახის საჭიროებები და საცხოვრებელი სახლის მდგომარეობა. ნერილის მიხედვით, მონიტორინგის შედეგად დაადგინდა, რომ ო. დ-ეს შეეძლო ესარგებლა ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლით, რის გამოც მოცემულ ეტაპზე მისი ოჯახი არ საჭიროებდა გადაუდებელ განსახლებას.

ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2018 წლის 7 მარტის №05-01/06/7319 გადაწყვეტილების თანახმად კი, ო. დ-ე ქ. თბილისში საკუთრებაში ფლობდა სამ მინის ნაკვეთს, რომელთაგან ერთ-ერთი ნაკვეთი გაჩუქრებული პქონდა შვილზე, ხოლო მისი მეუღლე – მ. ც-ა, რომელთანაც ო. დ-ე იურიდიულად განქორნინებული არ იყო, საკუთრებაში ფლობდა ბინას ქ.

თბილისში, ...ის ქ. №8-ში, რომლითაც ო. დესაც შეეძლო ესარგებლა. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე, სამინისტროს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი ო. დ-ის ოჯახი დაეკმაყოფილებინა საცხოვრებელი ფართით.

„სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების დანართი №1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის სადაც აქტების გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის თანახმად, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) (შემდგომში – ეკომიგრანტი ოჯახი) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისა ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზვაგის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მინისტრისა და ვულკანისა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი იძლევა ეკომიგრანტი იჯახის განმარტებას, რომლის თანახმად, ეს არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთორპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ამბოლაურის რაიონის სოფელ ...ში მდებარე ო. დ-ის საცხოვრებელი სახლი სტიქიური მოვლენების შედეგად ნამდვილად დაზიანდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ო. დ-ე წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ, საცხოვრებელი სახლის მიღების მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მიმდინარეობისას და, მათ შორის, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზეც, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ნარმოუდენია დასაბუთებული პრეტენზია მოცემულ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოც მიიჩნევს, რომ ო. დ-ე წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ, საცხოვრებელი სახლის მიღების მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტს.

აღსანიშნავია, რომ მითითებული ნორმატიული აქტის მე-3 მუხლი ითვალისწინებს ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის კრიტერიუმებს. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის მიზნით, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესს გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროების შეფასებისას მონაცემთა ბაზაში დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის. ეკომიგრანტი ოჯახი, რომელიც მეტ ქულას დაგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცესში.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც უდავოა, რომ ამბროლაურის რაიონის სოფელ ...ში მდებარე ო. დ-ის საცხოვრებელი სახლი დაზიანდა სტიქიური მოვლენების შედეგად, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მზიშენელოვანია დადგინდეს, კონკრეტულ ეტაპზე რამდენად მართებულად უთხრა უარი ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩევეს მოთხოვნის დაკემაყოფილებაზე. ამდენად, უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული ორგანოს უარის საფუძვლიანობა, კერძოდ, ო. დ-ეს გააჩნდა თუ არა სხვა საცხოვრებელი ფართი და ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე მ. ც-ას სახლი წარმოადგენს თუ არა ო. დ-ის აღტერნატიულ საცხოვრებელ ფართს.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო უურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოადგენილი არ არის შესაბამისი ამონანერი საჯარო რეესტრიდან, რაც დაადასტურებდა

განცხადების განხილვის პერიოდისათვის ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის მ. ც-ას საკუთრებაში არსებობას.

რაც შეეხება ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ გაცემული საკუთრების უფლების №434 მოწმობას, ერთი მხრივ, საყურადღებო მოსარჩევის განმარტება, რომ აღნიშნული ფართი დავის საგანს წარმოადგენს, რაც ვერ ჩაითვლება მ. ც-ას საკუთრებაში საცხოვრებელი სახლის არსებობის უტყუარ დამადასტურებელ მტკიცებულებად, ხოლო მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების დანართი №1-ის სადაც აქტების გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის (24/11/2017 – 09/07/2018) მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის მეორე წინადადება, რომლის თანახმად, ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ განსახლებას, მათ შორის იმ ეკომიგრანტი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას. მითითებული ბრძანების დანართი №1-ის დღეს მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის მეორე წინადადების მიხედვით კი, ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის გათვალისწინებით ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას. ამავე ბრძანების დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდება, რომ ოჯახს აქვს ფაქტობრივ მფლობელობაში საცხოვრებელი სახლი, რომელიც ამ პროცედურით გათვალისწინებული კრიტერიუმებით პრიორიტეტის მიპოვების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით ოჯახის ერთ ან რამდენიმე წევრს არ აქვს საკუთრებაში რეგისტრირებული ან რეგისტრირებულია სხვა პირის სახელზე, რომლითაც სარგებლობს შეუზღუდავად, ოჯახს და-

აკლდება 6 ქულა ალტერნატიული საცხოვრებელი სახლის კრიტე-  
რიუმში. აღნიშნული დეპარტამენტის მიერ წარედგინება კომისი-  
ას, რომელიც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას 6 ქულის  
დაკლებს თაობაზე. გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება  
დეპარტამენტის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადების  
განხილვის პერიოდისათვის გადამწყვეტი იყო იმ გარემოების დად-  
გენა იჯახს საკუთრებაში, და არა ფაქტობრივ მფლობელობაში,  
ჰქონდა თუ არა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, რაც სა-  
კასაციო სასამართლოს მითითებით, განისაზღვრება საქართველოს  
სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლით, რომლის თანახმად, საჯა-  
რო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთე-  
ზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთე-  
კის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძ-  
რავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მას-  
ში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. შესაბამისად,  
ნივთზე უფლების არსებობა დასტურდება საჯარო რეესტრის მო-  
ნაცემების საფუძველზე. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის თანახ-  
მად კი, უძრავ ნივთის შეძენისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პი-  
რობაა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯა-  
რო რეესტრში.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს,  
რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ამონაწერი საჯა-  
რო რეესტრიდან, რაც დაადასტურებდა განცხადების განხილვის  
პერიოდისათვის მ. ც-ას საკუთრებაში ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე  
მდებარე საცხოვრებელი სახლის არსებობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მო-  
სარჩელის მითითებაზე, რომ იგი მეუღლესთან მ. ც-ასთან ერთად  
წლებია საერთო მეურნეობას აღარ ახორციელებს და მუდმივად  
ცხოვრობს განცალკევებით, რაჭაში.

მოცემულ საკითხთან მიმართებით საკასაციო სასამართლო  
მნიშვნელოვნად მიმჩნევს მიუთითოს საქართველოს უზენაესი სა-  
სამართლოს მიერ №ბს-1896-1849(კ-10) საქმეზე გაკეთებულ გან-  
მარტებაზე, რომლის თანახმად, „პირის კონკრეტულ ადგილას მუდ-  
მივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე  
ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დადას-  
ტურდეს მაგალითად, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი  
ქვითოთ, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწე-  
რის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წე-  
რილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარ-

მოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თოთოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და ნარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია ნარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის ნარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მტკიცების ტვირთი ნაწილდება მხარეთა შორის. ზოგადი წესის თანახმად, თოთოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მტკიცების ტვირთი მოიცავს აგრძელებულ ფაქტების მითითების ტვირთსაც. თოთოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს თავის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადაც გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების არსებობა. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ანუ მტკიცების მოვალეობა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნულის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული, ამტკიცოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და წარუდგინოს სასამართლოს ამის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება. მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება არ უნდა განიმარტოს არასწორად, ისე როგორც მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის – მოსარჩელის გათავისუფლება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან. სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ უნდა დაასა-

ბუთოს.

განსახილველ შემთხვევაში ო. დ-ის მიერ წარმოდგენილია ამ-ბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 24 აპრილის ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ მოქალაქე ო. დ-ე 2002 წლიდან რეგისტრირებულია და მუდმივად ცხოვრობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში, რისი გამაბათილებელი მტკიცებულებაც მოწინააღმდეგე მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-სამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტულ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოების გამოკვლევა და განსაზღვრა, ო. დ-ეს გააჩნდა თუ არა საცხოვრებლად სხვა, მისთვის განკუთვნილი ალტერნატი-ული ფართი და იგი შეძლებდა თუ არა მასში ცხოვრებას სტიქიის შედეგად საცხოვრებელი ფართის განადგურების შემდეგ.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №487 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-ქტის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ეკო-მიგრანტებთან დაკავშირებული ფუნქციებისა და უფლებამოსილე-ბების უფერტანი მართვის მიზნით, „საჯარო სამართლის იურიდი-ული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნ-ქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიქმნა სსიპ დევნილთა, ეკო-მიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ სო-ციალური მომსახურების სააგენტოს დევნილებსა და ეკომიგრან-ტებთან დაკავშირებული ფუნქციები და უფლებამოსილებები გა-დაეცა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, ხოლო „ე.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნ-ველყოფის სააგენტო განისაზღვრა სსიპ სოციალური მომსახურე-ბის სააგენტოს უფლებამონაცვლედ, დევნილთა და ეკომიგრანტთა საკითხების მიმართულებით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 31 ოქტომბრის №01-109/6 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველ-ყოფის სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, განი-საზღვრა სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები, მათ შო-რის, დევნილთა და ეკომიგრანტთა საცხოვრებელი ფართით უზ-რუნველყოფის მიზნით, ყველა სამართლებრივი ქმედების განხორ-ციელება (მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილი წესით უძრა-ვი ქონების შესყიდვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო

მიიჩნევს, რომ ო. დ-ის სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2018 წლის 7 მარტის №05-01/06/7319 გადაწყვეტილება, ასევე ო. დ-ის ნაწილში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის 2017 წლის 11, 12 და 13 დეკემბრის №42 სხდომის ოქმი და მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადაც საკითხთან დაკავშირებით, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა უნდა დაევალოს; ო. დ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. ო. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ო. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2018 წლის 7 მარტის №05-01/06/7319 გადაწყვეტილება, ასევე ო. დ-ის ნაწილში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის 2017 წლის 11, 12 და 13 დეკემბრის №42 სხდომის ოქმი და

მოპასუხე სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადაცო საკითხთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. ო. დ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სტიპული მოვლენების შეღებად დაზარალებულისთვის საცხოვრებელი სახლის გადაცემის ნინაპირობები

### განრიჩება საქართველოს სახელით

№ბს-644(კ-19)

5 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
3. როინიშვილი

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2018 წლის 21 მაისს ვ. შ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისთვის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის (ეკომიგრანტების) განსახლების მიზნით, მის სასარგებლოდ 20 000 ლარის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, მას მეუღლესთან ერთად ...ის რაიონის სოფ. ...ში საკუთრებაში ჰქონდა 2 195 კვ.მ მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 47.20 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, სადაც

ცხოვრობდნენ და ენეოდნენ საქმიანობას. მოსარჩეულის მითითებით, 2014 წელს ...ის მუნიციპალიტეტში დაიწყო ...ის მშენებლობა. აღნიშნული მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე კი, ამავე რაიონის სოფ. ...ოს ტერიტორიაზე განხორციელდა გვირაბის მშენებლობა, რამაც გამოიწვია მეწყერის წარმოშობა. მოსარჩეულის მითითებით, მისი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი მოჰყვა მეწყერულ ზონაში.

მოსარჩეულე აღნიშნავს, რომ აჭარის ა/რ მთაცრობის თავმჯდომარის ბრძანებით .....ის მშენებლობიდან გამომდინარე სოფ. ...ში გამოწვეული მეწყერის გამო შექმნილი გეოლოგიური პროცესების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის დასკვნაში აღნიშნულია ბ. შ-ის საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ასევე პირდაპირ არის მითითებული, რომ ბ. შ-ის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე აღნიშნება როგორც ძველი, ასევე ახალი, თანამედროვე მეწყერული სხეულები, რომლის მოწყვეტის საფეხური 1-1,5 მეტრამდეა, რამდენიმე ნაპრალია, ნაპრალის სიგრძე კი 50-60 მეტრია.

მოსარჩელის განმარტებით, მისმა მეუღლემ რამდენჯერმე მიმართა სამინისტროს და აცნობას, რომ საჭიროებდა დახმარებას, რის გამოც მოითხოვა მიეცათ მისთვის კომპენსაცია ან შეესყიდათ საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. ასე გაგრძელდა 2 წელი, ბოლოს კი, 2016 წლის იანვარში სამინისტრომ შეატყობინა, რომ კომისიამ განიხილა ეკომიგრანტთა ოჯახების განსახლების საკითხი და 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნების გათვალისწინებით, დადებითი გადაწყვეტილება მიიღო იმ ოჯახებთან მიმართებით, რომელთა განცხადებასაც, კრიტიკულების შესაბამისად, მინიჭებული ჰქონდა 18 და მეტი სარეიტინგო ქულა. მოსარჩელის მითითებით, ამავე წერილში აღნიშნული იყო, რომ მომავალში, როდესაც მიღებული იქნებოდა 14-ქულიანი ოჯახების დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება, მაშინ დაკმაყოფილდებოდა მისი მეუღლის მოთხოვნაც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ოქტომბრის სხდომაზე მოპასუხედ მიეთითა სისიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომელიც ნორმატიულ-სამართლებრივად გამოხატავს საქართველოს მოქალაქეთა ურყევე ნებას დაამკვიდრონ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. სასამართლომ მიუთითა საქარ-

თველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა, ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს მოქალაქეთა სახელმწიფოს მიერ მფარველობა, ასევე გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების თაობაზე. კონსტიტუციის პრინციპიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა, რომ განსახლებას დაქვემდებარებული პირები არ დარჩნენ თავშესაფრით უზრუნველყოფის გარეშე.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების ორგანიზების მიზნით, დამტკიცდა „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურა“, ხოლო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების რეგულირება უზადა უზრუნველყო საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისიას.

სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტი არეგულირებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახს (ეკომიგრანტის) განსახლებისა და საცხოვრებელი სახლის კანონმდებლობით საფუძველზე საკუთრებაში გადაცემის წესს, რომლის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარე-

ბულ ოჯახად (ეკომიგრანტად) (შემდგომში – ეკომიგრანტი ოჯახი) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზვავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მიწისძრისა და გულკანისა. ეკომიგრანტი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არა-ნათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/ სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში.

აღნიშნული წესის მე-2 მუხლის საფუძველზე, სამინისტრო ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის (შემდგომში – განაცხადი) დაკმაყოფილებას ახორციელებს, ამ ბრძანების საფუძველზე, სამინისტროს ან ეკომიგრანტი ოჯახის მიერ მოძიებული საცხოვრებელი სახლის, სამინისტროს მიერ შესყიდვის გზით, ხოლო კონკრეტული ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ამ ბრძანების მე-5 პუნქტით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია (შემდგომში – კომისია). ამასთან, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ყოველწლიური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით შესყიდული საცხოვრებელი სახლების შეთავაზებაზე. დეპარტამენტი/სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ახდენს საცხოვრებელი სახლების მიღების მსურველთა განაცხადების შევსებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) წარმოების წესის შესაბამისად. ეკომიგრანტი ოჯახის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე განაცხადს ავსებს სამინისტროს/

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი მოხელე. დეპარტამენტი, მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ახდენს განაცხადების დამუშავებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების კრიტიკიუმების (შემდგომში – კრიტერიუმები) შესაბამისად და დამუშავებულ მასალას წარუდგენს კომისიას განაცხადის დაქმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

დეპარტამენტი არ განხილავს იმ ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ, დაზარალების გამო, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ განსახლებას, მათ შორის იმ ეკომიგრანტი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ები)ს საკუთრებაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას. დეპარტამენტის მიერ განაცხადების დამუშავება გულისხმობს შემდეგს: ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების შესწავლას წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დამატებითი მონაცემების მოძიებასა და აუცილებელი დოკუმენტაციის მოთხოვნას ეკომიგრანტი ოჯახისაგან და/ან შესაბამისი ორგანიზაცია/დაწესებულებისაგან; მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, თითოეული ეკომიგრანტი ოჯახისათვის წინასწარი ქულების მინიჭებას კრიტერიუმების შეშვეობით.

ამავე წესის მე-3 მუხლის მიხედვით, საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის მიზნით, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროების შეფასებისას მონაცემთა ბაზაში დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის. ეკომიგრანტი ოჯახი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცესში.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვ. შ-ის მეუღლემ – ბ. შ-ემ 2015 წლის 1 აპრილს დაზარა-

ლებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე განაცხადით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, ხოლო 2017 წლის 29 ნოემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ აღნიშნული განაცხადი შეფასდა დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და მიენიჭა წინასწარი 14 ქულა, მათ შორის, საცხოვრებელი სახლის დაზიანების კატეგორიაში – 7 ქულა, პენსიონერი, რომელიც ცხოვრიბს მარტო – 1 ქულა და იმ გარემოების გამო, რომ სხვა საცხოვრებელი სახლი არ ჰქონდა საკუთრებაში – 6 ქულა, როს საფუძველზეც, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, მოსარჩევე ვ. შ-ის მეუღლეს 2016 წლის 13 იანვრის წერილობითი მიმართვით განუმარტა, რომ მოცემულ ეტაპზე, საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდა ის ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაც 18-ს აღმატებოდა, ხოლო მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენდა 14-ს. შესაბამისად, მისი საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილება განხორციელდებოდა მას შემდეგ, რაც 14 ქულის მქონე ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების თაობაზე იქნებოდა გადაწყვეტილება.

საქმეში წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 20 ივნისის ცნობის მიხედვით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. შ-ის ოჯახი არ იყო სოფელ ...ს მუდმივი მაცხოვრებელი. იგი მუდმივად ცხოვრობდა ქ. ...ში. ამასთან, მოსარჩევე ვ. შ-ეს საკუთრებაში ჰქონდა 19 კვ.მ საცხოვრებელი ბინა ქ. ...ში, ...ის ქ. №...-ში. სასამართლოს მითითებით, მოსარჩევე ვ. შ-ე ბ. შ-ის მეუღლე და მისი პირველი რიგის მემკვიდრეა. ბ. შ-ე გარდაიცვალა 2017 წლის 3 აპრილს.

ზემოაღნიშნული ნორმების განმარტებისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მივიღა იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ეკომიგრანტი ოჯახების განსახლებას და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, რომელიც თავის მხრივ, არ არის ამოუწურავი, რის გამოცყველა ეკომიგრანტის დაკმაყოფილება ერთდღოულად ვერ იქნება განხორციელებული და კანონმდებელმა პრიორიტეტი მიანიჭა იმ ოჯახებს, რომლებიც მეტად საჭიროებენ განსახლებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ხოლო იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, განხილულ უნდა იქნეს

**ბოლო ეტაპზე.**

სასამართლოს განმარტებით, ერთი მხრივ, ვინაიდან ვ. შ-ისა და ბ. შ-ის ოჯახი მუდმივად არ ცხოვრობდა სოფელ ...ში, მათ საკუთრებაში არსებულ, სტიქიური მოვლენების (მეწყრის) შედეგად დაზიანებულ სახლში, არ ჩაითვლება ეკომიგრანტ იჯახად და ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტის საფუძველზე, არ ექვემდებარება შესაბამის კომპენსირებას, ხოლო მეორე მხრივ, ვინაიდან მოსარჩელე ვ. შ-ეს საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ფართი, სადაც იგი ცხოვრობს, საფუძვლიანი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ, მოცემული საკითხის შემდგომ ეტაპზე განხილვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და აღნიშნულ ეტაპზე, მოსარჩელის ოჯახისათვის კომპენსაციის გაცემაზე უარი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცელილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ხოლო მის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამასთან, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-14/6 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის „б“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებებია დევნილთა და ეკომიგრანტთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ყველა სამართლებრივი ქმედების განხორციელება, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენებილი წესით უძრავი ქონების შესყიდვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული იჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი, ზემოთ მითითებული ნორმების შესაბამისად, ვ. შ-ის სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან მოსარჩელის სასარგებლოდ კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის გამო, ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინის-

ტრაციული კოდექსის დარღვევას, იგი შეესაბამებოდა მის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არ უნდა დაკმაყოფილებულიყო სარჩელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. შ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 იანვრის განჩინებით ვ. შ-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. შ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ მეუღლესთან ერთად მუდმივად ცხოვრობდა ...ის რაიონის სოფ. ...ში, ისინი ამუშავებდნენ საკარმიდამ მინის ნაკვეთს, მოჰყავდათ ოჯახისთვის საჭირო სოფლის მეურნეობის პროდუქტები. კასატორის მითითებით, მოსავლის აღების შემდგომ, დიდთოვლობისა და მეუღლის ხშირი ავადმყოფობის გამო ისინი გამოსაზამთრებლად მიღიოდნენ ...ში.

კასატორი ასევე არ იზიარებს სასამართლოს მსჯელობას, რომ მართალია, იგი არის ბ. შ-ის მეუღლე და მისი პირველი რიგის მემკვიდრე, თუმცა როგორ (ვ. ეკომიგრანტი ასეთად ითვლებოდა მხოლოდ ბ. შ-ე და თავად (ვ. შ-ე) კი ვერ ჩაითვლება ეკომიგრანტად, ვინაიდან მის სახელზე ირიცხება 19 კვ.მ საცხოვრებელი ბინა. კასატორი მიუთითებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებაზე და აღნიშნავს, რომ მათი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამ მინის ნაკვეთი ზვავებისა და მინის დაცობების შედეგად გამოუსადეგარი გახ-

და, რასთან მიმართებითაც საქმეში წარმოდგენილია გეოლოგიური დასკვნაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 წანილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ვ. შ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ივლისის განჩინებით ვ. შ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო წანილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 იანვრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ მოსარჩელე ვ. შ-ის მეუღლემ – ბ. შ-ემ 2015 წლის 1 აპრილს დაზარალებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე განაცხადით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, 2016 წლის 13 იანვრის წერილობითი მიმართვით ბ. შ-ეს აცნობა, რომ მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და პროცედურების შესაბამისად მოახდინა „დაზარალებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე“ ბ. შ-ის განაცხადის შეფასება და შის ოჯახს მიენიჭა 14 ქულა. ამავე წერილით ბ. შ-ეს განემარტა, რომ დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ ოჯახების დაკმაყოფილებაზე, რომელთა განაცხადებსაც კრიტერიუმების შესაბამისად მიენიჭათ 18 და მაღალი სარეიტინგო ქულა. ამასთან, ბ. შ-ეს ეცნობა, რომ მომავალში, როდესაც კომისიის მიერ მოხდებოდა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის საკითხის განხილვა (მათ შორის მისი ოჯახის) და მიღებული იქნებოდა 14-ქულიანი ოჯახების დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება, მიეცემოდა შესაძლებლობა, მისთვის სასურველ მუნიციპალიტეტში მო-

ეძიებინა ექსპლუატაციისთვის ვარგისი საცხოვრებელი სახლი, რომლის შესყიდვასაც უზრუნველყოფდა სამინისტრო.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გა-დაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინის-ტრომ 2016 წლის 13 მაისს მიმართა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს და გაუგზავნა აჭარის ა/რ ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ მაღალქულიანი 70 ოჯა-ნის სია, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ „სტიქიური მოვლე-ნების შედეგად დაზარღებული და გადაადგილებას დაქვემდება-რებული (ეკომიგრანტი) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონა-ცემთა ბაზაში“.

საქმის მასალებში წარმოდგენილია ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 13 ივნისის სამსახურებრივი ბარათი, რომლის თანახმად, „როგორც ეკომიგრანტთა მონაცემთა ბაზაში აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამი-ნისტროს მიერ ატვირთული მასალით ირკვევა, აღნიშნულმა უწყე-ბამ 2016 წლის 7 ნოემბერს მიმართა შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მიაწოდა გარკვეული ოჯახების სია, რომლებზეც ით-ხოვდა შუამდგომლობის აღძვრას ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვ-რებელი სახლებით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართვის მიზ-ნით. შუახევის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 15 ნოემბრის წერი-ლით ირკვევა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმე ოჯახს, მათ შორის, ბ. შ-ის ოჯახს მუნიციპალიტეტის გამგეობამ არ გაუნია შუამდგომლობა პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით და შესა-ბამისად, ამ ეტაპზე ვერ განხორციელდა ბ. შ-ის ოჯახისთვის დახ-მარების განცევა“.

აჭარის ა/რ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 15 ნოემბრის №07/14891 წერილით, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს მისივე 07.11.2016წ. წერილის პასუხად გაეგზავნა იმ ეკომიგრანტთა სია, რომლებსაც უარი ეთქვათ შუამდგომლობის აღძვრაზე ეკომიგრანტი ოჯახე-ბის საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩარ-თვის თაობაზე. მათ შორისაა ბ. შ-ე, რომლის გასწვრივაც მითითე-ბულია – „გააჩინია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი“. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ მათ ვერ წარმოადგინეს გამგეობაში სრულყოფილი დოკუმენტაცია, რის გამოც შუამდგომლობა ვერ აღიძრა.

დადგენილია, რომ ბ. შ-ე გარდაიცვალა 2017 წლის 3 აპრილს. მოსარჩევე ვ. შ-ე არის ბ. შ-ის მეუღლე და მისი პირველი რიგის მემკვიდრე. ვ. შ-ის განმარტებით, მან წარმომადგენლის მეშვეო-ბით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძუ-

ლებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა ოჯახის კომპენსაციით დაქმაყოფილება ან იმ გარემოების განმარტება, რატომ არ უნაზღაურებდნენ ზარალს, რაზეც სამინისტროს პასუხი არ გაუცია.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოსთვის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის (ეკომიგრანტების) განსახლების მიზნით, ვ. შ-ის სასარგებლოდ 20 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტიკულების, ერთანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების დანართი №1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) (შემდგომში – ეკომიგრანტი ოჯახი) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარებისა) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზვავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მინისძვრისა და ვულკანისა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი იძლევა ეკომიგრანტი ოჯახის განმარტებას, რომლის თანახმად, ეს არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწვევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის დანართი №1-ის მე-3 მუხლი ითვალისწინებს ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის კრიტიკულებას. მითი-

თებული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის მიზნით, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც ეკომიგრანტი ოჯახების საჭიროების შეფასებისას მონაცემთა ბაზაში დაჯამდება. ქულები მითოთებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის. ეკომიგრანტი ოჯახი, რომელიც შეტყობინებულია დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცესში.

ამავე ბრძანების დანართი №1-ის 2.2 მუხლის თანახმად, კონკრეტული ეკომიგრანტი ოჯახის განაცხადის დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ამ ბრძანების მე-5 პუნქტით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია. მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ყოველწლიური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, სააგენტოსათვის ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით შესყიდული საცხოვრებელი სახლების შეთავაზებაზე. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, დეპარტამენტი/სააგენტოს ტერიტორიული სამმართველო ახდენს საცხოვრებელი სახლების მიღების მსურველთა განაცხადების შესებას ამ პროანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის შესაბამისად. ეკომიგრანტი ოჯახის მიერ მონოდებული ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე განაცხადს ავსებს დეპარტამენტის/სააგენტოს ტერიტორიული სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომელი. 2.11 მუხლის თანახმად, დეპარტამენტი, მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ახდენს განაცხადების დამუშავებას ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად და დამუშავებულ მასალას წარუდგენს კომისიას განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მი-

ლების მიზნით.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტი არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი იჯახების განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ დაზარალების გამო ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება. ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი იჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომელთა იჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის გათვალისწინებით ფაქტობრივ ფლობელობაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება იჯახის წევრთა სულადობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ გარე-მოებაზე, რომლის მიხედვითაც, მოსარჩევე ვ. შ-ეს საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ბინა ქ. ...ში, ... ქ.№...-ში, სადაც იგი ცხოვრობს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული გარემოება აღნიშნულ ეტაპზე, მოსარჩელის იჯახისათვის კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაემაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 იანვრის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 იანვრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფა

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-11(კ-19)

29 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: 6. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე;  
6. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 27 ივნისს დ. ჭ-მა სარჩელით მიმართა რუსთავის სა-  
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მო-  
პასუხის – გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებ-  
ლის 2017 წლის 18 აპრილის №711 ბრძანების ბათილად ცნობა და  
მოპასუხისთვის დავალება, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტი დ. ჭ-ის სამართლებრივად გარანტირებული  
საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე.

დ. ჭ-მა აღნიშნა, რომ 2016 წლის 29 ივლისს ორგანიზაციამ „...ის“  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ სარჩელი  
შეიტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოში (საქმე №3-189-16),  
ორი სასარჩელო მოთხოვნით:

1. ბათილად ცნობილიყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებ-  
ლის 2016 წლის 22 ივლისს გამოცემული ინდივიდუალური ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტი (№04/3080) მარტყოფის შეზღუ-  
დული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში მცხოვრები დ.  
ჭ-ის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შე-  
სახებ;

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცემუ-  
ლიყო ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი  
აქტი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა დ. ჭ-ის საცხოვრებლით  
დაკმაყოფილება გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

2016 წლის 29 ივლისის სარჩელი, საქართველოს ადმინისტრა-

ციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2016 წლის 22 ივლისს გამოცემული №04/3080 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაევალა მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობას სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ემსჯელა და გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი.

სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების (2017 წლის 06 მარტი) შემდეგ, 2017 წლის 15 მარტს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოხდა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, მოსარჩელე დ. ჭ-ი და მისი წარმომადგენელი – ნ. გ-ი. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამართული შეხვედრის ამსახველი ოქმის („რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ნოემბრის № 3-189-16 გადაწყვეტილების საფუძველზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით საქმის განხილვის ოქმი №7“) თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა საბინაო ფონდის არარსებობის გამო, მოსარჩელე დ. ჭ-ს შესთავაზეს საცხოვრებლით უზრუნველყოფა ბინის ქირის გადახდის პირობით, მხოლოდ 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ შეთავაზებაზე, სატელეფონო შეტყობინებით, მოსარჩელემ უარი განაცხადა, ვინაიდან 2017 წლის დეკემბრის შემდეგ არსებობს სერიოზული რისკი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შეთავაზებული პირობების გაზიარების შემთხვევაში, კვლავ დარჩეს სახლის გარეშე და ქუჩაში მოუწიოს ცხოვრება. მხოლოდ 2017 წლის დეკემბერის ჩათვლით ბინის ქირის გადახდის შეთავაზებაზე დ. ჭ-ის მიერ უარის თქმის შემდეგ, 2017 წლის 18 აპრილს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (№711), რომლის თანახმადაც, მოსარჩელე დ. ჭ-ს უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართის საკუთრების უფლებით გადაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მუნიციპალიტეტში საბინაო ფონდის არარსებობის გამო.

მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოსცა საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის გა-  
მოც ითხოვდა სარჩელის დაკმაყოფილებას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით, დ. ჭ-ის  
სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის მუ-  
ნიციალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 აპრილის №711 ბრძანე-  
ბა და მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-  
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დ. ჭ-ის სამართლებრივად  
გარანტირებული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან  
დაკავშირებით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

დ. ჭ-ი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მას აქვს  
მსუბუქი გონიერივი ჩამორჩენილობა F.70.0, რომელიც არ წარმო-  
ადგენს სტატუსის დამადასტურებელი ცნობის გაცემის საფუძ-  
ველს.

დ. ჭ-ს შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრება, მას აქვს ამისთვის  
საჭირო ყველა უნარი.

№3/189-16 საქმეზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016  
წლის 29 ნოემბერის გადაწყვეტილების შემდეგ გარდაბნის მუნი-  
ციალიტეტის გამგებამ ვერ უზრუნველყო დ. ჭ-ისათვის სტაბი-  
ლური საცხოვრებლით დაკმაყოფილება და 2017 წლის 18 აპრილის  
№711 ბრძანებით უარი უთხრა დ. ჭ-ს საცხოვრებლის გადაცემაზე.

მატერიალური მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას სა-  
ქალაქო სასამართლომ გამოიყენა გაერთიანებული ერების ორგა-  
ნიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლო-  
ბის მქონე პირთა უფლებების კონცენტრაცია“, რომელიც რატიფიცი-  
რებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის  
№1888-რს დადგენილებით, ასევე „შეზღუდული შესაძლებლობის  
მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.  
აღნიშნული კანონის 27-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „თუ  
სარებილიტაციო ღონისძიებების შედეგად საჭირო აღარ არის შეზ-  
ღუდული შესაძლებლობს მქონე პირთა ყოფნა პანსიონატში ან სო-  
ციალური დახმარების სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში, ად-  
გილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები  
მათ უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართობით, მათ შორის,  
ობილ ან მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ამ კატეგორიის  
ბავშვებს – სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, მოქმედი კანონ-  
მდებლობის შესაბამისად“.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დ. ჭ-ს 28 წლამდე შეზღუდული შე-  
საძლებლობის მქონე პირის სტატუსი არ დადგენია. პირველად, 2011  
წლის 05 მაისს, ...ის დასკვნით (სერია 10882) დაუდგინდა დიაგნოზი

გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა ქცევითი აშლილობით F.71.1 და მიენიჭა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი ბავშვობიდან, უვადოდ.

2013 წლის 27 დეკემბერს ...ოს უფროსის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამატებითი გამოკლევისა და განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე დ. ჭ-ს ჩაუტარდა განმეორებითი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა ...ში, რომლის თანახმადაც, დ. ჭ-ს დაუდგინდა დიაგნოზი-მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა F.70.0. 2014 წლის 20 ოქტომბერას დ. ჭ-ი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აიყვანეს ...ში იმავე დიაგნოზით: მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა F.70.0. ...ში რამდენიმე ვიზიტის განხორციელების შემდეგ, დ. ჭ-ის დიაგნოზი არ შეცვლილა.

სასამართლოს მითითებით, დ. ჭ-ი მუშაობდა მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პანსიონატში მომვლელად. მხოლოდ იმის გამო, რომ დ. ჭ-ს არ ჰქონდა საცხოვრებელი, იგი აგრძელებდა ცხოვრებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში. მას სურდა, რომ შეექმნა ოჯახი და ჰყოლოდა შვილები, ამიტომ უნდოდა საკუთარ სახლში გადასვლა.

საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა ის, რომ საჭირო აღარ იყო დ. ჭ-ის ყოფნა პანსიონატში, რის გამოც ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანის უნდა უზრუნველეყო იგი საცხოვრებელი ფართით. შესაბამისად, მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დ. ჭ-ის სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხება - გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო სარჩელის დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება დ. ჭ-ის სარჩელის დაუკმაყოფილებლობის თაობაზე.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივ დასაბუთებად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემო-

## ებებზე:

2015 წლის 25 აგვისტოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №139 ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) თანახმად, 2011 წლის 05 მაისს ... დასკვნით დ. ჭ-ს, პირველად, 28 წლის ასაკში, დაუდგინდა გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა ქცევითი პშლილობით და მიენიჭა მნიშვნელოვნად გამოხატული შემ პირის სტატუსი ბავშვობიდან, უვადოდ. 2013 წლის 5 დეკემბერს, შემ პირთა დამატებითი გამოკვლევისა და განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ ...ს უფროსის ბრძანების შესაბამისად, ბენეფიციარს ჩაუტარდა განმეორებითი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა, რომლის თანახმად, დ. ჭ-ს დაუდგინდა დი-აგნოზი – მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა F.70.0.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2017 წლის 15 მარტს გარდაბნის მუნიციპალიტეტში გაიმართა სხდომა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ნოემბრის №3-189-16 გადანყევეტილების საფუძველზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით საქმის განხილვის თაობაზე. საკითხი შეეხებოდა მოქალაქე დ. ჭ-ისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საცხოვრებელი ფართით დაკაყოფილებას.

სხდომაზე იურიდიული განყოფილების უფროსმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს მოქალაქე ჭ-ის მოთხოვნა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის, კერძოდ კი, ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. სხდომის თავმჯდომარებ განმარტა, რომ ვინაიდან საბინაო ფონდის არარსებობის გამო, მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაძლებლობა, საკუთრების უფლებით გადასცეს საცხოვრებელი ფართი დ. ჭ-ს, ამ ეტაპზე შესაძლებელია ამ უკანასკნელის ბინის ქირით უზრუნველყოფა გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამის მე-11 მუხლის შესაბამისად. მიმდინარე სხდომა გადაიდო ორი კვირით. 28 მარტს, სატელეფონო შეტყობინებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობას დ. ჭ-ის წარმომადგენელმა აცნობა, რომ არის თანახმა ბინის ქირით უზრუნველყოფის თაობაზე, მას აქვს შიში მომავალი წლიდან იქნება თუ არა ქირით უზრუნველყოფილი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იგი ითხოვდა და მხოლოდ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 აპრილის №711 ბრძანებით დ. ჭ-ს უარი ეთქვა საცხოვრებელი ფართის საკუთრების უფლებით გადაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მუნიციპალიტეტში საბინაო ფონდის არარსებობის გამო.

მატერიალური მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე დ. ჭ-ი ითხოვდა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფას საკუთრების უფლებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილია შშმ პირის უფლება იყოს უზრუნველყოფილი საცხოვრებლით, რაც არ გულისხმობს მხოლოდ საცხოვრებელი ობიექტის ბენეფიციარისთვის საკუთრების უფლებით გადაცემას, იგი ასევე მოიაზრებს სხვა სამართლებრივი საფუძვლით საცხოვრებლით სარგებლობის უფლებას. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მნიშვნელოვანია შშმ პირი იყოს უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით, თუმცა კანონი არ ადგენს ამგვარი ღონისძიების სამართლებრივ საფუძვლად ქონების საკუთრებაში გადაცემას. პირი შესაძლებელია იყოს უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით დაქირავების შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე ადგინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო უზრუნველეყყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ქირის თანხის გადახდით, რაც ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზემოაღნიშნული ნორშით დაგენილი ვალდებულების შესრულებად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო შემდეგი: გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დ. ჭ-ს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უთხრა უარი იმ საფუძვლით, რომ საბინაო ფონდის არარსებობის გამო, მას საკუთრებაში ვერ გადასცემდა საცხოვრებელ ფართს, თუმცა თანხმობის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფაზენ საცხოვრებელი ფართით ქირის გადახდის გზით. აღნიშნულ შეთავაზებაზე მოსარჩელემ უარი განაცხადა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტმა შეასრულა მასზედ დაკისრებული მოვალეობა, შესთავაზა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა მოსარჩელეს, რაზეც ამ უკანასკნელმა განაცხადა უარი. აღნიშნულ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დაუშვებელია მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისროს მოსარჩელისთვის საცხოვრებელი ფართის საკუთრების უფლებით გადაცემა, რადგან მსგავს დანაწესს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რესთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება დ. ჭ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე დ. ჭ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, როგორც სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ პუნქტებით, ასევე 393-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები.

კასატორმა წარმოადგინა პრეტენზია (შედავება) სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით და აღნიშნა: მეორე ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ დ. ჭ-ი ითხოვდა მხოლოდ საკუთრების უფლებით სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. კასატორმა მიუთითა, რომ სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავდა მხოლოდ საკუთრების უფლებით ქონების გადაცემას. მოსარჩელემ, პირველი ინსტანციის სასამართლოში სამართლამოების მიმდინარეობისას დააფიქსირა პოზიცია, რომ სურდა საცხოვრებელ ფართზე სარგებლობის უფლების მოპოვება, იქნებოდა ეს ქირავნობით თუ სხვაგარი ფორმით.

საკასაციო საჩივრარში აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს არც ქირავნობაზე განუცხადებია უარი „იმ შემთხვევაში, თუ მისი ქირით უზრუნველყოფა იქნებოდა მუდმივი და აღნიშნული არ იქნებოდა დამოკიდებული თვითმმართველი ორგანოს ყოველწლიურად განახლებულ სოციალურ პროგრამაზე“.

კასატორის მითითებით, ადმინისტრაციული ორგანო მოსარჩელეს სთავაზობდა დროებით, მაქსიმუმ ერთწლიან საცხოვრებელს, რაც არ წარმოადგენდა სამართლებრივად გარანტირებულ იმ საცხოვრებელს, რომელიც უზრუნველყოფილი იყო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მეორე პუნქტითა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.

კასატორი აღნიშნავს, რომ მას არასოდეს მოუთხოვია საცხოვრებლის საკუთრებაში გადაცემა, იგი ითხოვს მხოლოდ სტაბილურ საცხოვრებელს, რომლის დატოვებაც არ მოუნევს რამდენიმე თვეში. კასატორი სადავოს ხდის გარდაპის მუნიციპალიტეტის გამგეობის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებას, იმას თუ რამდენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის შერჩეული გადაწყვეტა – მოსარჩე-

ლის ბინის ქირით დაკმაყოფილება მხოლოდ რამდენიმე თვით. შესაბამისად, დ. ჭ-მა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული დ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინებით დ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).“ განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა წარმოადგინა პრეტენზია (შედავება) და აღნიშნა: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ დ. ჭ-ი ითხოვდა მხოლოდ საკუთრების უფლებით სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. დამტკიცებულად ცნობილ სხვა ფაქტობრივ გარემოებითან შიმართებით არაა წარმოდგენილი პრეტენზია (შედავება), შესაბამისად, ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, კერძოდ:

2015 წლის 25 აგვისტოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №139 ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) თანახმად, 2011 წლის 05 მაისს ... დასკვნით დ. ჭ-ს, პირველად, 28 წლის ასაკში, დაუდგინდა გამოხატული გონიერივი ჩამორჩენილობა ქცევითი აშლობობით და მიენიჭა მნიშვნელოვნად გამოხატული შემ პირის სტატუსი ბავშვობიდან, უვადოდ. 2013 წლის 05 დეკემბერს, შემ პირთა დამატებითი გამოკვლევისა და განმეორებითი ექ-

სპერტიზის ჩატარების შესახებ ...ოს უფროსის ბრძანების შესაბამისად, ბენეფიციარს ჩაუტარდა განმეორებითი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა, რომლის თანახმად, დ. ჭ-ს დაუდგინდა დიაგნოზი – მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა F 70.0.

მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ 18.03.2016წ. №01/26-16, 28.04.2016წ. №გ-01/41-16, 18.07.2016წ. №გ-01/81-16 განცხადებებით მიმართა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელს და მოითხოვა მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში მცხოვრები დ. ჭ-ისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელის მიერ საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, რაზედაც ადმინისტრაციულმა ორგანომ განაცხადა უარი. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

2017 წლის 15 მარტს გარდაბნის მუნიციპალიტეტში გაიმართა სხდომა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ნოემბრის №3-189-16 გადაწყვეტილების საფუძველზე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით საქმის განხილვის თაობაზე. საკითხი შეეხებოდა მოქალაქე დ. ჭ-ისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელის მიერ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 აპრილის №711 ბრძანებით, მოქალაქე დ. ჭ-ს უარი ეთქვა, საცხოვრებელი ფართის საკუთრების უფლებით გადაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მუნიციპალიტეტში საბინაო ფონდის არარსებობის გამო.

დ. ჭ-ი ითხოვს მისი სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოპასუხისთვის დავალებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზინანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე“. შესაბამისად, განსახილველი საქმის გადაწყვეტა დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულების არსებობაზე.

სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (№711 ბრძანების) გამოცემის მომენტში მოქმედი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თუ

სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად საჭირო აღარ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოფნა პანსიონატში ან სოციალური დახმარების სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები მათ უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართობით, მათ შორის, ობილ ან მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ამ კატეგორიის ბავშვებს – სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს პქნდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი, კვების, ტანისამოსის და ბინის ჩათვლით“. საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის №1888-რს დადგენილებით რატიფიცირებული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე, საცხოვრებელ პირობებზე მათვის და მათი ოჯახებისათვის, რაც მოიცავს ადეკვატურ კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს; ასევე უფლებას საცხოვრებელი პირობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე; იღებენ შესაბამის ზომებს აღნიშნული უფლების დაცვისა და რეალიზებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. კონვენცია ქმნის ეფექტიან მექანიზმებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დასაცავად, თუმცა იგი ადამიანის უფლებების გარანტიის შემქმნელი სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისგან, მაგალითად „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისგან“, დამოუკიდებლად, მონაწილე სახელმწიფოებს არ აკისრებს ახალ, დამატებით ვალდებულებებს ანუ იმ ვალდებულებებს, რომელიც სახელმწიფოს მანამდე არ ჰქონდა აღიარებული. აქედან გამომდინარე, სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართის განსასაზღვრად მიზანშენონილია მხედველობაში იქნეს მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური, სოცია-

ლური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარები, რომლებიც დაკავშირებულია ადეკვატური საცხოვრებელი პირობების უფლებასთან („ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტი). საცხოვრებელი პირობების ადეკვატურობის ერთ-ერთი განმაპირობებელი გარემოება მფლობელობის სამართლებრივი გარანტია, რაც შესაძლოა გამოვლინდეს არაერთი სამართლებრივი ფორმით, მათ შორის, დაინტერესებული პირისთვის ქონების საკუთრებაში გადაცემით, კერძო სუბიექტის კუთვნილი საცხოვრებელი ფართის ქირავნობით და ა.შ. მფლობელობის ფორმის მიუხედავად, ნებისმიერ პირს უნდა გააჩინდეს მფლობელობის გარანტიის ხარისხი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ დაცვას სხვადასხვა საფრთხის, მაგალითად, იძულებითი გამოსახლების წინაშე (კომიტეტის 1991 წლის №4 ზოგადი კომენტარი, პუნქტი 8(ა)).

საკასაციო სასამართლო შიდა საკანონმდებლო და საერთაშორისო სამართლის აქტებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ სამართლებრივი გარანტიირებული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება არ ნიშნავს საცხოვრებელი ფართის მხოლოდ საკუთრებაში გადაცემას და ის შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, მათ შორის, კერძო სუბიექტთან ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმების გზით. ამასთან, არ არის სავალდებულო, ხელშეკრულება იყოს მუდმივმოქმედი. ქირავნობის ხელშეკრულების მუდმივმოქმედ ხასიათზე არ მიუთითებს არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი მის მიერ მიღებულ ზოგად კომენტარებში, რომელიც დაკავშირებულია ადეკვატური საცხოვრებელი პირობების უფლებასთან. საყურადღებოა, ასევე ქირავნობის ხელშეკრულების ორმხრივი ბუნება. საცხოვრებელი ფართის მუდმივად დასაქირავებლად საკმარისა არაა მხოლოდ სახელმწიფოს ნება, სავალდებულოა კერძო სუბიექტის თანხმობა, მისი კუთვნილი ფართის უვადიდ გაქირავების თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამართლებრივად გარანტიირებული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება შეეხება არა მხოლოდ განსახილველ, არამედ ნორმატიული აქტიდან გამომდინარე განუსაზღვრელი რაოდენობის პირთა წრეს, რაც კასატორთა მიერ შეთავაზებული განმარტების პირობებში, ნიშნავს სახელმწიფო ვალდებულებას, მოიძიოს საცხოვრებელი ფართის მუდმივად გაქირავების მსურველი არაერთი კერძო სუბიექტი. ასეთი ვალდებულების შესრულება კი, ცალმხრივად, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ, ობიექტურად შეუძლებელია. საკასაციო სასამარ-

თლო თვლის, რომ სახელმწიფოს (თვითმმართველი ერთეულის) ვალდებულება მდგომარეობს ისეთი საკანონმდებლო და ფინანსური მექანიზმების შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს პირის უფლებას გარანტირებულ საცხოვრებელ ფართზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უფლების დაცვის თვალსაზრისით, განმსაზღვრელია არა მოსარჩევის ნივთთან სამართლებრივი კავშირის ფორმა, არამედ ამ კავშირის სიმყარე და იმის გარანტირებული შესაძლებლობა, რომ ხელშეკრულება, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად დაიდება. ასევე, მნიშვნელოვანია, ხელშეკრულების ვადა, რომელიც უნდა იყოს გონივრული და ქმნიდეს სტაბილურობის განცდას. საკასაციო სასამართლო მოსარჩევისათვის შეთავაზებული ხელშეკრულების ვადას არ აფასებს როგორც გონივრულს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 28-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას სოციალურ დაცვიზე, ამ უფლებით შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გამოყენების უფლებას და იღებენ შესაბამის ზომებს მისი დაცვისა და რეალიზებისათვის, მათ შორის: უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სახელმწიფო საცხოვრებელის პროგრამების მისაწვდომბას“. აღნიშნული დებულების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება შესაძლოა განხორციელდეს სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით და ამ პირებს უნდა გააჩნდეთ მასზე შეუფერხებელი წვდომის შესაძლებლობა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პროგრამულ ბიუჯეტში ასიგნებით გამოიყოფა პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით“. იმავე კოდექსის 78-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბიუჯეტის ფორმირების პროცესში პრიორიტეტულობაზე ხაზგასმა მიუთითებს თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებაზე, ბიუჯეტის შედგენის პროცესში გაითვალისწინოს ის ფინანსური გარანტიები, რაც პრიორიტეტულად უზრუნველყოფს კანონისმიერი ვალდებულების შესრულებას, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამარ-

თლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო მხოლოდ საკუთრების უფლებით სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისკენ. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ განცხადებებზე (18.03.2016წ. №01/26-16; 28.04.2016წ. №გ-01/41-16; 18.07.2016წ. №გ-01/81-16), რომლითაც განმცხადებელმა მოითხოვა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით „საცხოვრებელი ფართის გამოყოფის საკითხის“ განხილვა, ასევე ადმინისტრაციულ სარჩელზე, სადაც სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა პირის სამართლებრივად გარანტირებული ფართით დაქმაყოფილება. ფართი კი სამართლებრივად შესაძლოა გარანტირებულ იქნეს როგორც საკუთრების უფლებით, ასევე ქირავნობის ხელშეკრულებით. ამასთან, კასატორს არ გამოუთქვამს საწინააღმდეგო პოზიცია რუსთავის საქალაქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა დ. ჭ-ის სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართით დაქმაყოფილება. შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულებები, მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენდა ფართის გამოყოფა როგორც საკუთრების უფლებით, ასევე ქირავნობის ხელშეკრულების დადების გზით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული უნდა იყოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ჭ-ის ადმინისტრაციული სარჩელი დაქმაყოფილდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე მხარეები გათავისუფლებულები არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე

მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. დ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 აპრილის №711 ბრძანება დ. ჭ-ისთვის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
5. მოპასუხეს – გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დ. ჭ-ის სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **4. სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული დაცები**

### **სოციალური დახმარების შეფყვატის პარონიერება**

#### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-751(კ-19)

2 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ა. წულაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რიგი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრა-  
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 4 ივლისს ვ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა  
ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხების – სსიპ სოცია-  
ლური მომსახურეობის სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახუ-  
რეობის სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხა-  
რეო ცენტრის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს იმე-  
რეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის  
7 ივნისის გადაწყვეტილების, ვ. კ-ის ოჯახისათვის სარეიტინგო ქუ-  
ლის ძალაში დატოვების შესახებ (გამოცემული ზეპირი ფორმით)  
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 13 მაისის  
გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახუ-  
რების სააგენტოსთვის ვ. კ-ის 13.04.2018 წელს შევსებული ოჯახის  
დეკლარაციის ხელახალი შევსება/კორექტირებისა და ოჯახის სო-  
ციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე  
სარეიტინგო ქულის მინიჭების დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2006 წლიდან 2018 წლის თე-  
ბერვლის თვემდე უწყვეტად იღებდა სოციალურ დახმარებას. ოჯა-  
ხი შედგებოდა ექვსი წევრისაგან. სარჩელში აღნიშნულია, რომ მო-  
სარჩელის მეუღლე ა. კ-ე გარდაიცვალა 2018 წლის 2 თებერვალს,  
რის შემდგომაც 2018 წლის 13 აპრილს განხორციელდა მისი ოჯა-  
ხის გადამოწმება, შედგა დეკლარაცია და მას შეუწყდა სოციალუ-

რი დახმარება. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისი ოჯახის სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და შესაბამისად, არ ეთანხმება სოციალური დახმარების შეწყვეტას. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებს დეკლარაციის „C 3“ გრაფის მე-9 პუნქტზე და აღნიშნავს, რომ ფ. კ-ე არ იღებდა 40 ლარს, შესაბამისად მიაჩნია, რომ დეკლარაციაში შეტანილი იქნა არასწორი მონაცემი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. კ-ის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2006 წლიდან, საიდენტიფიკაციო კოდით ....

სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ 2018 წლის 13 აპრილს ვ. კ-ის ოჯახში განხორციელდა იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარე ცენტრის უფლებამოსილი პირის ვიზიტი და შეივსო ოჯახის დეკლარაცია, რომლის თანახმად: ვ. კ-ის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება არის ღარიბი – 2 (F1 ბლოკი); ოჯახის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის სანდო – 1 (F2 ბლოკი); ჟყავის ერთი სული dროსა (D4, 1 ბლოკი); შინაური ფრინველი – 3 (D4 ბლოკი, 3 გრაფა); წინა მეორე თვიდან გასული 12 თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიისათვის გადახდილია – 165 ლარი (E1 ბლოკი); წინა მეორე თვიდან გასული 12 თვის განმავლობაში მოხმარებული ბუნებრივი აირისთვის გადახდილია – 72 ლარი (E2 ბლოკი); ფლობს სამეურნეო ნაგებობებს (სახელონო, ბოსელი, ნალია და სხვა) (A7 ბლოკი, 4 გრაფა); შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის საერთო ფართია – 220 კვ.მ (A8 ბლოკი); შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საერთო საცხოვრისში, სულ ოთახების რაოდენობაა 6 (A 9 ბლოკი); შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ნაწილში იატაკი არის ხე/ფიცარი (A10 ბლოკი); შინამეურნეობის მიერ დასახელებული ოჯახის უფროსი – ვ. კ-ე (ასაკი 80), ა. კ-ე (ასაკი 49), მ. კ-ე (ასაკი 46), მა. კ-ე (ასაკი 26), ფ. კ-ე (ასაკი 15) (B2 ბლოკი და B1 ბლოკი); ა. კ-ე არის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (II ჯგუფი) (B4 ბლოკი, გრაფა 3); ფ. კ-ე დადის სკოლა/გიმაზიაში (C1 ბლოკი); განათლების მიღწეული დონე – ვ. კ-ე (საშუალო პროფესიული – 4), ა. კ-ე (საშუალო – 3), მ. კ-ე (საშუალო – 3), მა. კ-ე (საშუალო – 3) (C2 ბლოკი); პირადი ფულადი შემოსავალი (მიღებული ან მისაღები დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში (C3 ბლოკი); ვ. კ-ე – სახელმწიფო პენსია 180 ლარი (C3 ბლოკი 3 გრაფა); ა. კ-ე სოციალური პაკეტი – 100 ლარი (C3 ბლოკი, გრაფა 4); ვ. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; ა. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსე-

ბო შემწეობა – 30 ლარი; მ. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; მა. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; ფ. კ-ე ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 40 ლარი; (C3 ბლოკი მე-9 გრაფა); სხვა არარეგულარული ფულადი შემოსავალი 440 ლარი (C4 ბლოკი, გრაფა 7).

სსიპ შემოსავლების სამსახურის ცნობით დადგენილია, რომ ა. კ-ეს 2017 წელს და 2018 წლის იანვარსა და თებერვლის თვეებში შემოსავლების მიღება არ უფიქსირდება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2018 წლის 27 აპრილის №133/ი ბრძანებით დაქორექტირდა 2018 წლის 13 აპრილის ოჯახის დეკლარაციის C4 ბლოკი, გრაფა 7-ში მითითებული არარეგულარული ფულადი შემოსავალი 440 ლარი და მიეთითა – 0 ლარი (კორექტირებული დეკლარაცია).

სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ ვ. კ-ის ოჯახისათვის განკუთვნილმა სარეიტინგო ქულამ შეადგინა 66530, ამასთან 2018 წლის მარტიდან ოჯახმა მოიპოვა საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე თვეში 10 ლარის ოდენობით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია, რომ 2018 წლის 13 აპრილის დეკლარაციაში არასწორად არის შევსებული C ბლოკის მე-9 გრაფაში მითითებული მონაცემი ფ. კ-ესთან მიმართებში (პირადი ფულადი შემოსავალი (მიღებული ან მისაღები დეკლარაციის შევსების თვის ნინა მეორე თვეში ფ. კ-ე – თანხა 40 ლარი) და მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხთან – სადავო ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით იმსჯელებდა სარჩელის სამართლებრივი დასაბუთების დროს.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივნისის №145 დადგენილების „სოციალური დახმარების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარსებო შემწეობის ადმინისტრირების კომპეტენცური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომელიც ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საარსებო შემწეობის მაძიებელი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის დანიშვნას, გაცემას, შეწყვეტას, გაანგარიშებას, შეჩერებას, აღდგენასა და საარსებო შემწეობის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტას. ამავე დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით

რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისალებ ზღვრულ ქულაზე (შემდგომში – დატაკი ოჯახი).

სასამართლოს მითითებით, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მინიჭებული სარეიტინგო ქულა მყარი ერთეულია, რომლის შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ, გარდა მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2018 წლის 13 აპრილს შეიქვემდებარებული ფულადი შემოსავალი 440 ლარი. ამასთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამსარეო ცენტრის უფროსის 2018 წლის 27 აპრილის №133/ო ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ოჯახის დეკლარაციის (C4 ბლოკი, გრაფა 7) კორექტირება სადაც „სწავა არარეგულარული ფულადი შემოსავალი 440 ლარი-ის ნაცვლად დაფიქსირდა 0 ლარი“. აღნიშნულის გათვალისწინებით ვ. კ-ის ოჯახის სარეიტინგო ქულა 2018 წლის 13 მაისს განისაზღვრა 66530 ერთეულით.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში სადაც „C3“ ბლოკის მე-9 გრაფა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისი №141/ნ ბრძანების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დეკლარაციის „C3“ პუნქტის „პირადი ფულადი შემოსავალი (მიღებული ან მისაღები) დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში (ლარი)“ შევსებისას: ა) სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განმარტოს, რომ მიღებული ან მისაღები ფულადი შემოსავლის ქვეშ იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ კანონით გათვალისწინებული გადასახადების დაქვითვის შემდეგ, ხელზე მიღებული თანხა. „C3“ პუნქტის პირველი გრაფის – „ხელფასი (ყველა სტანდარტული პირის მიერ წინა მეორე თვეში (თვეთა ათვლისას დეკლარაციის შევსების თვის წინა

თვე ითვლება პირველ თვედ) ხელზე მიღებული თანხა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემებს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი სთხოვს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს წარმოადგინოს ცნობა შემოსავლების სამსახურიდან განსხვავებული ინფორმაციის შესახებ, როს შემდეგადაც დეკლარაციის ამ გრაფის კორექტურება (საჭიროების შემთხვევაში) ხორციელდება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში; ბ) იმ შემთხვევაში, თუ „C3“ პუნქტით გათვალისწინებული ფულადი შემოსავალი წარმოადგენს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად რაიმე სახის ფულად სოციალურ გასაცემელს, აღნიშნული დეკლარაციაში უნდა ჩაინტერის უფლებამოსილი პირის მიერ, სააგენტოში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით; გ) თუ რომელიმე სახის გასაცემელს ან სხვა ფულად შემოსავალს იღებს ოჯახის არასრულწლოვანი წევრი, მაშინ შესაბამისი თანხა ჩაეწერება არასრულწლოვან წევრს, რომელიც ამ დახმარების/შემოსავლის კანონიერი მიმღებია.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2018 წლის 13 აპრილს განხორციელდა ვ. კ-ის ოჯახში იმერეთის სოციალური მომსახურების სამსარეო ცენტრის უფლებამოსილი პირის ვიზიტი და შეიღვის ოჯახის დეკლარაცია. დეკლარაციის „C 3“ ბლოკში აგრძელდა აჩვენა დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში არსებული შემოსავლი, კერძოდ თებერვლის თვის მონაცემი. თავად მოსარჩევე არ უარყოფს, რომ თებერვლის თვის მონაცემებით მოსარჩევეს მიღებული აქვს სოციალური დახმარება ჯამში 190 ლარის ოდენობით, კერძოდ ვ. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; ა. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; ბ. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; მა. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; ფ. კ-ე ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 40 ლარი; (C3 ბლოკი მე-9 გრაფი); დეკლარაციის დროისთვის მონაცემში არ აისახა ა. კ-ის თებერვლის თვის ფულადი სოციალური დახმარება – 30 ლარის ოდენობით იმ მოტივით, რომ 2018 წლის აპრილში აღნიშნული პიროვნება იყო გარდაცვლილი.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. კ-ის ოჯახის სარეიტინგო ქულამ 2018 წლის მაისის მდგომარეობით შეადგინა 66530, ამასთან 2018 წლის მარტიდან ოჯახმა მოიპოვა საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასა-

კის წევრზე თვეში 10 ლარის ოდენობით. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან ფ. კ-ეს, როგორც არასრულნლოვანს განესაზღვრა ფულადი სოციალური დახმარება თვეში 10 ლარის ოდენობით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ივნისამდე ოჯახს შეჩერებული ჰქონდა სოციალური დახმარების მიღება, ფ. კ-ეს, როგორც არასრულნლოვანს იგნისას თვეში დაერიცხა წინა თვეების დახმარება ჯამში – 40 ლარის ოდენობით.

სასამართლოს მითითებით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ გამოყენებით მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ მისი ოჯახისათვის განსხვავებული და მაღალი სარეიტინგო ქულების მინიჭება განხორციელდა და კანონშეუსაბამოდ. სასამართლოს მოსაზრებით, ოჯახის დეკლარაცია შევსებული იქნა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ხოლო სარეიტინგო ქულათა მინიჭება განხორციელდა შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. კ-ის სარჩელი, როგორც უსაფუძვლო, არ უნდა დაემაყოფილებულიყო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. კ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ვ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები, მი-

უთითა მათზე და დამატებით აღნიშნა, რომ ვ. კ-ის ოჯახის სარეი-ტინგო ქულამ 2018 წლის მაისის მდგომარეობით შეადგინა 66530, ამასთან 2018 წლის მარტიდან ოჯახმა მოიპოვა საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე თვეში 10 ლარის ოდენობით. ამდენად, ფ. კ-ეს, როგორც არასრულწლოვანს განესაზღვრა ფულადი სოციალური დახმარება თვეში 10 ლარის ოდენობით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ იგნისამდე ოჯახს შეჩერებული ჰქონდა სოციალური დახმარების მიღება, ფ. კ-ეს, როგორც არასრულწლოვანს ივნისის თვეში დაერიცხა წინა თვეების დახმარება ჯამში – 40 ლარის (30+10) ოდენობით, შესაბამისად, უმართებული იყო აპელანტის მოსაზრება დეკლარაციაში უსწორო მონაცემების შეტანის შესახებ. პალატის მითითებით, მეტიც, ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებით დადგენილია, რომ 2018 წლის 13 ოქტომბერს ხელახალი გადამოწმების შედეგად აპელანტის ოჯახს მიენიჭა უფრო მაღალი სარეიტინგო ქულა – 66630. ზემოაღნიშნული გარემოებები, პალატის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივრის უარყოფის საფუძველს წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. კ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, მისი ოჯახი სოციალურად დაუცველია 2006 წლიდან, ოჯახი რამდენჯერმე იქნა გადამოწმებული და სტატუსი არ შეცვლია, რადგან ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, არამედ პირიქით – მეუღლის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო უფრო დამძიმდა. კასატორის მითითებით, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მოხდა გეგმიური გადამოწმება. მეუღლის ავადმყოფობის გამო დახარჯეს შედარებით მეტი ელექტროენერგია, ასევე ოჯახის შრომისუუნარო წევრს არასწორად დაუფიქსირდა შემოსავალი 400 ლარი, რამაც გამოიწვია მათი ოჯახის სოციალურად დაუცველის სტატუსის ეჭვქვეშ დაყენება და შემდგომ სტატუსის მოხსნა.

ამასთან, კასატორი არაკონსტიტუციურად მიიჩნევს სადაცო სამართალურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებს და მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ უნდა გამოეტანათ გადაწყვეტილება და უნდა შეეჩერებინათ საქმის წარმოება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ როგორც სოციალურად დაუცველმა ოჯახმა პირველი ინსტანციის სასამართლოში ისარგებ-

ლა სახაზინო ადვოკატის მომსახურებით. კასატორის მითითებით, საქმეში ადვოკატის მონაწილეობა აუცილებლობას წარმოადგენდა. იგი 80 წელს მიტანებული მოხუცია. სააპელაციო სასამართლომ კი არ იზრუნა, რომ მისთვის, როგორც სოციალურად დაუცველი ხანდაზმულისთვის მოეწვია სახაზინო ადვოკატი და არ დაეტოვებინა მარტო ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 იანვრის განჩინებით ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინება, შემდევ გარემოებათა გამო:

განსახილვები შემთხვევაში დადგენილია, რომ ა. კ-ის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2006 წლიდან, საიდენტიფიკაციო კოდით ....

დადგენილია, რომ 2018 წლის 13 აპრილს ვ. კ-ის ოჯახში განხორციელდა იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფლებამოსილი პირის ვიზიტი და შეივსო ოჯახის დეკლარაცია, რომლის თანახმად: ვ. კ-ის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება არის ღარიბი – 2 (F1 ბლოკი); ოჯახის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის სანდო – 1 (F2 ბლოკი); ჰყავს ერთი სული ძროხა (D4,1 ბლოკი); შინაური ფრინველი – 3 (D4 ბლოკი, 3 გრაფა); ნინა მეორე თვითან გასული 12 თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიისათვის გადახდილია – 165 ლარი (E1 ბლოკი); ნინა მეორე თვითან გასული 12 თვის განმავლობაში მოხმარებული ბუნებრივი აირისთვის გადახდილია – 72 ლარი (E2 ბლოკი); ფლობს სამეურნეო ნაგებობებს (სახელოსნო, ბოსელი, ნალია და სხვა) (A7 ბლოკი, 4 გრაფა); შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის საერთო ფართია – 220 კვ.მ (A8 ბლოკი); შინამეურ-

ნეობის მიერ დაკავებულ საერთო საცხოვრისში, სულ ოთახების რაოდენობაა 6 (A9 ბლოკი); შინამეურნეობის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ნაწილში იატაკი არის ხე/ფიცარი (A10 ბლოკი); შინამეურნეობის მიერ დასახელებული ოჯახის უფროსი – ვ. კ-ე (ასაკი 80), ა. კ-ე (ასაკი 49), მ. კ-ე (ასაკი 46), მა. კ-ე (ასაკი 26), ფ. კ-ე (ასაკი 15) (B2 ბლოკი და B1 ბლოკი); ა. კ-ე არის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (II ჯგუფი) (B4 ბლოკი, გრაფა 3); ფ. კ-ე დადის სკოლა/გიმნაზიაში (C 1 ბლოკი); განათლების მიღწეული დონე – ვ. კ-ე (საშუალო პროფესიული – 4), ა. კ-ე (საშუალო – 3), მ. კ-ე (საშუალო – 3), მა. კ-ე (საშუალო – 3) (C2 ბლოკი); პირადი ფულადი შემოსავალი (მიღწეული ან მისაღები დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში (C3 ბლოკი); ვ. კ-ე – სახელმწიფო პენსია 180 ლარი (C3 ბლოკი, 3 გრაფა); ა. კ-ე სოციალური პაკეტი – 100 ლარი (C3 ბლოკი, გრაფა 4); ვ. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; ა. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; მ. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; მა. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; ფ. კ-ე ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 40 ლარი; (C3 ბლოკი, მე-9 გრაფა); სხვა არარეგულარული ფულადი შემოსავალი 440 ლარი (C4 ბლოკი, გრაფა 7).

სსიპ შემოსავლების სამსახურის ცნობით დადგენილია, რომ ა. კ-ეს 2017 წელს და 2018 წლის იანვარსა და თებერვლის თვეებში შემოსავლების მიღება არ უფიქრდება.

ასევე დადგენილია, რომ 2018 წლის 27 აპრილს №133/ო ბრძანებით დაკორექტირდა 2018 წლის 13 აპრილის ოჯახის დეკლარაციის C4 ბლოკი, გრაფა 7-ში მითითებული არარეგულარული ფულადი შემოსავალი 440 ლარი და მიეთითა – 0 ლარი (კორექტირებული დეკლარაცია).

დადგენილია, რომ ვ. კ-ის ოჯახისათვის განკუთვნილმა სარეიტინგო ქულამ შეადგინა 66530, ამასთან 2018 წლის მარტიდან ოჯახმა მოიპოვა საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე თვეში 10 ლარის ოდენობით.

მოსარჩელე არ ეთანხმება 2018 წლის 13 აპრილს განხორციელებული გადამოწმების შედეგად განსაზღვრულ სარეიტინგო ქულას და მიუთითებს, რომ იგი 2006 წლიდან 2018 წლის თებერვლის თვემდე უწყვეტად იღებდა სოციალურ დახმარებას. ოჯახი შედგებოდა ექვსი წევრისაგან. მისი მეუღლე ა. კ-ე გარდაიცვალა 2018 წლის 2 თებერვალს, რის შემდგომაც განხორციელდა მისი ოჯახის გადამოწმება, შედგა დეკლარაცია და მას შეუწყდა სოციალური დახმარება. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისი ოჯახის სოციალური

მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და შესაბამისად, არ ეთანხმება სოციალური დახმარების შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს, ასევე სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს განსაზღვრავს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, ეს კანონი ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, დატაკ ოჯახებსა და უსახლეკარო პირებზე, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ წესის მიზანია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის მასიურებლი და რეგისტრირებული ოჯახების იდენტიფიკაცია და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად. ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არის სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული ვიზუალური დათვალიერებისა და გამოკითხვის (ინტერვიუირების) შედეგად დაფიქსირებული მონაცემებისა და ფაქტების ერთობლიობა; ხოლო „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოჯახის დეკლარაცია არის სპეციალური ფორმის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს ოჯახის შემადგენლობაში მყოფი წევრების, ოჯახის შემოსავლებისა და კომუნალური დანახარჯების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს, რომლებიც ასახავს ოჯახის ფაქტობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და საჭიროა ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად. მითითებული წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს

მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ გამოყენებით მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა. ამავე წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ოჯახი ვალდებულია: ა) შეუქმნას სააგენტოს უფლებამოსილ პირს საქმიანობის სათანადო პირობები მოქმედების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით; ბ) არ შეუქმნას სააგენტოს უფლებამოსილ პირს დაბრკოლებები და/ან არ შეუშალოს ხელი მისთვის დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში (ასეთ გარემობად განიხილება, მაგ.: ოჯახის საცხოვრებელში შესვლის, საცხოვრებლის რომელიმე ადგილის დათვალიერებისათვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილი საბუთი(ები)ს განზრას დამალვა და სხვა); გ) არ მოახდინოს სააგენტოს უფლებამოსილ პირზე რაიმე ზემოქმედება მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით. მითითებული წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოჯახის დეკლარაციის შევსებამდე, სააგენტოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოიძიოს ოჯახის შესახებ მისთვის საჭირო ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან (მაგ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ამ ოჯახის შემადგენლობის, უძრავი ქონების – მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის შესახებ) და ინტერვიუირების პროცესში შეადაროს იგი ოჯახის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. შეუსაბამობის შემთხვევაში მიუთითოს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს ინფორმაციის უზუსტობის შესახებ.

დასახელებული ნორმების შესაბამისად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საარსებო შემწეობის ან სხვა ფულადი დახმარების მიღება ოჯახის სარეიტინგო ქულის ოდენობაზეა დამოკიდებული, რომლის გამოთვლა ხდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სპეციალურ კითხვარში – ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად. ამასთან, აუცილებელია, რომ ოჯახის როგორც პირველადი შეფასება, ისე შემდგომი გადამოწმება განხორციელდეს ნორმატიულად გათვალისწინებული თითოეული მეთოდის ზუსტად და ზედმინევნით დაცვით.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ მოტივად კასატორი ასახელებს მისი ოჯახის მრომისუუნარო წევრის-თვის შეცდომით დაფიქსირებულ შემოსავალს, რასთან დაკავში-

რებითაც საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ იმ გარემოებაზე, რომ მართალია, 2018 წლის 13 აპრილს განხორციელებული გადამოწმების შედეგად დეკლარაციის C4 ბლოკი, გრაფა 7-ში – სხვა არარეგულარული ფულადი შემოსავალი, დაფიქსირდა 440 ლარი, თუმცა ასევე დადგენილია, რომ 2018 წლის 27 აპრილის №133/რ ბრძანებით დაკორექტირდა 2018 წლის 13 აპრილის ოჯახის დეკლარაციის C4 ბლოკი, გრაფა 7-ში მითითებული არარეგულარული ფულადი შემოსავალი 440 ლარი და მიეთითა – 0 ლარი (კორექტირებული დეკლარაცია). ამდენად, თავად მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადასტურა მის მიერ ოჯახის დეკლარაციაში დაშვებული ზემოაღნიშნული შეცდომა, რის შედეგადაც დააკორექტირა მონაცემები. ამასთან, საქმეზე დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ აღნიშნულ თანხას ვ. კ-ის ოჯახის გადამოწმების შედეგად განსაზღვრული სარეიტინგო ქულის ფორმირებაში მონანილეობა არ მიუღია.

საქმის მასალების მიხედვით, ვ. კ-ის ოჯახის სარეიტინგო ქულის მატების ერთ-ერთ საფუძვლად ფიქსირდება ოჯახის მიერ წინა პერიოდთან შედარებით მეტი ელექტროენერგიის მოხმარება. საკასაციო სასამართლოს მითითებით, ოჯახისათვის სარეიტინგო ქულის განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის დეკლარაციაში შეტანილ თითოეულ მონაცემს, მათ შორის, დეტალურად და სრულყოფილად უნდა იქნეს ასახული კომუნალურ გადასახდელებზე განეული ხარჯი. აღნიშნული სარეიტინგო ქულის ფორმირების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ 10.1 მუხლის მიხედვით, დეკლარაციის „E“ ბლოკში – „კომუნალური ხარჯები“ ფიქსირდება ოჯახის მიერ დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვიდან გასული თორმეტი თვის განმავლობაში განეული ხარჯები ოჯახის მიერ ელექტროენერგიის, წყლის, დასუფთავების, ან/და ბუნებრივი აირის მოხმარებაზე წარმოდგენილი გადასახადების ქვითრების ან ასეთ(ებ)ის არქონის შემთხვევაში ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე. თუ ოჯახს ამ პერიოდის განმავლობაში ელექტროენერგიის, წყლის, დასუფთავების, ან/და ბუნებრივი აირის მოხმარებაზე გადასახადი არ გადაუხდია, იწერება ციფრი „0“.

მოცემულ შემთხვევაში, წინა პერიოდთან შედარებით მეტი ელექტროენერგიის მოხმარების ფაქტს ადასტურებს თავად კასატორიც, შესაბამისად, არ უარყოფს, რომ დეკლარაციის შესაბამი-

სი გრაფა სწორად იქნა შევსებული, თუმცა მიუთითებს, რომ ელექტროენერგიის გახარჯვა გამოიწვია მეუღლის ავადმყოფობამ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასახელებული გარემოება არ გამხდარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მხრიდან კვლევის საგანი, რამეთუ ოჯახის გადამოწმებისას მოხმარებული ელექტროენერგიის მიზნობრიობის კვლევა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას.

ამასთან, მოსარჩევის მოსაზრებით, სადავო სარეიტინგო ქულის გამოთვლისას არასწორად შეივსო დეკლარაციის „C 3“ პუნქტის მე-9 გრაფა, სადაც ფ. კ-ის ფულად სოციალურ დახმარებად მითითებულია 40 ლარი.

საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობის შეფასების წესის“ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, დეკლარაციის „C3“ პუნქტის „პირადი ფულადი შემოსავალი (მიღებული ან მისაღები) დაეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში (ლარი)“ შევსებისას: ა) სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განმარტოს, რომ მიღებული ან მისაღები ფულადი შემოსავლის ქვეშ იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ კანონით გათვალისწინებული გადასახადების დაქვითვის შემდეგ, ხელზე მიღებული თანხა. „C3“ პუნქტის პირველი გრაფის – „ხელფასი (ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით)“ შევსებისას იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ წინა მეორე თვეში (თვეთა ათვლისას დეკლარაციის შევსების თვის წინა თვე ითვლება პირველ თვედ) ხელზე მიღებული თანხა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულ მონაცემებს, სააგენტოს უფლებამოსილი პირი სთხოვს ოჯახის უფლებამოსილ წარმომადგენელს წარმოადგინოს ცნობა შემოსავლების სამსახურიდან განსხვავებული ინფორმაციის შესახებ, რის შემდეგადაც დეკლარაციის ამ გრაფის კორექტირება (საჭიროების შემთხვევაში) ხორციელდება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში; ბ) იმ შემთხვევაში, თუ „C3“ პუნქტით გათვალისწინებული ფულადი შემოსავალი წარმოადგენს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად რაიმე სახის ფულად სოციალურ გასაცემელს, აღნიშნული დეკლარაციაში უნდა ჩაიწეროს უფლებამოსილი პირის მიერ, სააგენტოში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით; გ) თუ რომელიმე სახის გასაცემელს ან სხვა ფულად შემოსავალს იღებს ოჯახის არასრულწლოვანი წევრი, მაშინ შესაბამისი თანხა ჩაეწერება არასრულწლოვან წევრს, რომელიც

ამ დახმარების/შემოსავლის კანონიერი მიმღებია. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „C3“ პუნქტის მე-9 გრაფაში – „ფულადი სოციალური დახმარება საარსებო შემწეობა“ – უნდა ჩაიწეროს ინფორმაცია წინა მეორე თვეში მიღებული/მისაღები საარსებო შემწეობის თანხის ოდენობის შესახებ.

ა ანიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთი-  
თებს, რომ 2018 წლის 13 აპრილს განხორციელდა ვ. კ-ის ოჯახში  
იმერეთის სოციალური მომსახურების სამსარეო ცენტრის უფლე-  
ბამოსილი პირის ვიზიტი და შეივსო ოჯახის დეკლარაცია. დეკლა-  
რაციის „C 3“ ბლოკში აგენტმა აჩვენა დეკლარაციის შევსების თვის  
წინა მეორე თვეში არსებული შემოსავლი, კერძოდ თებერვლის  
თვის მონაცემი: ვ. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარება – საარ-  
სებო შემწეობა – 30 ლარი; ა. კ-ე – ფულადი სოციალური დახმარე-  
ბა – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; მ. კ-ე – ფულადი სოციალური  
დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; მა. კ-ე – ფულადი  
სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 30 ლარი; ფ. კ-ე  
ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 40 ლარი;  
(C3 ბლოკი მე-9 გრაფა). დეკლარაციის დროისთვის მონაცემში არ  
აისახა ა. კ-ის თებერვლის თვის ფულადი სოციალური დახმარება –  
30 ლარის ოდენობით იმ მოტივით, რომ 2018 წლის აპრილში აღნიშ-  
ნული პიროვნება იყო გარდა(კვლილი).

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივნისის №145 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საარსებო შემწეობის ოღნობა განისაზღვრება ოჯახის ნევროთა რაოდენობის მიხედვით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის მიხედვით: „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურეკომიური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე, საარსებო შემწეობის ოღნობა განისაზღვრება: ა) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია – განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ბ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე – განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; გ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე – განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; დ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე – განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ე) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა ( 100001-ზე ნაკლებია – საარსებო შემწეობა განი-

საზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე. ამასთან, მითითებული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოჯახები, ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საარსებო შემწეობასთან ერთად, იღებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საარსებო შემწეობის თანხას.

საქმის მასალების მიხედვით, 2018 წლის 13 აპრილს ვ. კ-ის ოჯახში განხორციელებულ გადამოწმებამდე ოჯახის სარეიტინგო ქულა იყო – 61100, შესაბამისად, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლასის №145 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ოჯახის ყველა წევრზე საარსებო შემწეობა განისაზღვრებოდა – 30 ლარით, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ფ. კ-ე, როგორც არასრულწლოვანი, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საარსებო შემწეობასთან ერთად (30 ლარი), იღებდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საარსებო შემწეობის თანხას (10 ლარი), ჯამში – 40 ლარი.

ამდენად, სადაც დეკლარაციაში დაფიქსირებული თებერვლის თვეში მიღებული სოციალური დახმარება წარმოადგენს ოჯახის თითოეული წევრისთვის განსაზღვრულ საარსებო შემწეობას (30+30+30+30+40) (დეკლარაციის დროისთვის მონაცემში არ აისახა ა. კ-ის თებერვლის თვის ფულადი სოციალური დახმარება – 30 ლარის ოდენობით იმ მოტივით, რომ 2018 წლის აპრილში აღნიშნული პიროვნება იყო გარდაცვლილი), რაც ყოველთვიურად ჯამურად შეადგენდა 190 ლარს. ამასთან, მოსარჩევე სადაცოდ არ ხდის და საქმის მასალებითაც დასტურდება ვ. კ-ის ოჯახის მიერ 2017 წლის ივნისიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით ყოველთვიურად 190 (30+30+30+30+30+40) ლარის ოდენობით საარსებო შემწეობის მიღების ფაქტი. შესაბამისად, სადაცოდ დეკლარაციის „С 3“ ბლოკის მე-9 გრაფაში დაფიქსირებული თანხები წარმოადგენს ოჯახის წევრთა მიერ რეალურად მიღებულ ფულად სოციალურ დახმარებას – საარსებო შემწეობას და არ დასტურდება დეკლარაციაში მათი არასწორად დაფიქსირების ფაქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ ვ. კ-ის ოჯახის სარეიტინგო ქულამ 2018 წლის მაისის მდგრმარეობით შეადგინა 66530 ქულა, რის გამოც 2018 წლის მარტიდან ოჯახმა მოიპოვა საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება მხოლოდ ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე თვეში 10 ლარის ოდენობით. ამდენად, ფ. კ-ეს, როგორც არასრულწლოვანს, კვლავ განესაზღვრა ფულადი სოციალური დახმარება თვეში 10 ლარის ოდენობით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ივნისამდე ოჯახს შე-

ჩერებული ჰქონდა სოციალური დახმარების მიღება, ფ. კ-ეს, როგორც არასრულწლოვანს, ივნისის თვეში დაერიცხა წინა თვეების დახმარება ჯამში – 40 ლარის ოდენობით. ბუნებრივია, ფ. კ-ის მიერ ივნისის თვეში მიღებულ დახმარებას მონაწილეობა არ მიუღია სარეიტინგო ქულის ფორმირებაში, სადაც დეკლარაციაში „C3“ ბლოკის მე-9 გრაფაში დაფიქსირებულია არა ფ. კ-ის, როგორც არასრულწლოვნის მიერ ივნისის თვეში მიღებული დახმარება ჯამში – 40 ლარი, არამედ ფ. კ-ის ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა – 40 (30+10) ლარი, რაც შედიოდა ოჯახის მიერ თებერვლის თვეში მიღებულ 190 ლარში (30+30+30+30+40).

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ვ. კ-ის ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად შევსებულ ოჯახის დეკლარაციაში უზუსტო მონაცემების არსებობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია ოჯახის ყოველი შეფასების შედეგად განსაზღვრული სარეიტინგო ქულა დამოუკიდებელი დავის საგანია, მაგრამ საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ გარემოებაზე, რომ 2018 წლის 13 ოქტომბერს ხელახლი გადამოწმების შედეგად მოსარჩელის ოჯახს მიენიჭა უფრო მაღალი სარეიტინგო ქულა – 66630.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას სადაც სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 6.2 მუხლის მიხედვით კი, კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საკითხის დაყენება სასამართლოს მიხედულებას წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ვ. კ-ის წარმომადგენლის გარეშე საქმის განხილვასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახაზინო ადგოკატის დანიშვნის მოთხოვნა აპელანტს სააპელაციო სასამართლოში არ დაუყენებია, ასევე, სააპელაციო სასამართლომ მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა სხდომაზე გამოცხადებულ ვ. კ-ის რძალს, რომელიც ვ. კ-ესთან ერთად, ერთ ოჯახად ცხოვრობს. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.3 მუხლზე (რომლის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი) და აღნიშნავს, რომ საა-

პელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული დარღვევის არსებობის პირობებშიც, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რამეთუ საქმის მასალებით არ დგინდება ვ. კ-ის ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად შევსებულ ოჯახის დეკლარაციში უზუსტო მონაცემების არსებობა, რის გამოც წარმოდგენილ სარჩელს არ გააჩნია დაკმაყოფილების პერსპექტივა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდ და არ საჩივრდება.

# მიუღებელი სოფიალური სუბსიდიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ხანგაზმულობა

## გადაცყველება საქართველოს სახელით

№ბს- 187(კ-20)

23 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ქადაგიძე,  
6. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

### აღნერილობითი ნაწილი:

2019 წლის 19 აპრილს გ. ჩ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის მიუღებელი სუბსიდიის – 242 (ორასორმოცდაორი) ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის 1 აპრილიდან, როგორც 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირს, დანიშნული ჰქონდა საყოფაცხოვრებო სუბსიდია 22 ლარის ოდენობით. გ. ჩ-ას განმარტებით, 2011 წლის 1 აგვისტოდან შეუწყდა დახმარება, პატიმრობაში ყოფნის გამო. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საპატიმრო დატოვა 2012 წლის 20 ოქტომბერს, ხოლო საჯელის სრული მოხდისაგან გათავისუფლდა 2013 წლის 2 ოქტომბერს. გ. ჩ-ას მითითებით, მან სასამართლოს გზით მოითხოვა მიუღებელი სუბსიდიის ანაზღაურება, რის შედეგადაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით, გ. ჩ-ას აუნაზღაურდა მიუღებელი სუბსიდია მხოლოდ 2013 წლის 2 ოქტომბრიდან, რადგან სარჩელის აღძვრის პერიოდისათვის იგი ვერ წარადგენდა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ცნობას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ, ვინაიდან პატიმრობიდან გათავისუფლდა 2012 წლის 20 ოქტომბერს, ანაზღაურებას აგრეთვე ექვემდებარება 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 2 ოქტომბრამდე პერიოდის მიუღებელი სუბსიდია სულ 242 ლარის ოდენობით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სარჩელი არ ცნო

და განმარტა, რომ მოთხოვნა, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა შეწყვეტილი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის განახლებას და 2013 წლის ოქტომბრამდე მიუღებელი თანხის ანაზღაურებას იყო ხანდაზმული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ 242 (ორას ორმოცდაორი) ლარის ოდენობით მიუღებელი სუბსიდიის გადახდა დაკისრა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2018 წლის 12 თებერვლის №1260 მიმართვით, გ. ჩ-ას, 2018 წლის 12 თებერვლის №1/3213 განცხადების პასუხად გაეგზავნა „სასჯელის სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 20 ოქტომბრის №20/10/02 განკარგულებიდან ამონანერი, რომლითაც დგინდებოდა, რომ შეწყალებული იქნა 1953 წელს დაბადებული გ. ჩ-ა, რომელიც მსჯავრდებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 2 ნოემბრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 21 დეკემბრის განაჩენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისგან. 2012 წლის 20 ოქტომბრის №0689628 ცნობის (№5674 პირადი საქმე) თანახმად, 1953 წლის 21 ივლისს დაბადებული გ. ჩ-ა იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში 2011 წლის 24 ივნისიდან 2012 წლის 20 ოქტომბრამდე, საიდანაც განთავისუფლდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის სასჯელის და სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ №02/10/01 განკარგულებით დგინდება, რომ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის №277 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად შეწყალებული იქნა გ. ჩ-ა. კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით დგინდება, რომ მოსარჩელე – გ. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე – გ. ჩ-ასათვის ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს

დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული პირის სტატუსიდან გამომდინარე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის 2017 წლის 2 ოქტომბრიდან ყოველთვიურად 22 ლარის ოდენობით აღდგენის შესახებ; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ასევე დაევალა მოსარჩელე – გ.ჩ-ას სასარგებლოდ ზიანის – 2013 წლის ოქტომბრიდან უკანონოდ შეწყვეტილი მიუღებელი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ანაზღაურება – 1 056 ლარის ოდენობით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 3 აპრილის №04/17964 წერილით დგინდება, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ განიხილა გ. ჩ-ას განცხადება 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 2 ოქტომბრამდე პერიოდში (11 თვე) საყოფაცხოვრებო სუბსიდიის თანხის ანაზღაურების შესახებ და განმცხადებელს აცნობა, რომ მის მიმართ შეწყვეტილი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ხელახლა დანიშვნისა და გასული პერიოდის მიუღებელი თანხის ანაზღაურების თაობაზე სააგენტომ იხელმძღვანელა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 იანვრის (საქმე №3/6617-17) გადაწყვეტილებით დაკისრებული დავალების შესაბამისად, რომლის აღსრულებაც განხორციელდა სააგენტოს 2019 წლის 15 თებერვლის №04-305/ო ბრძანებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციაზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე, ევროპის სოციალურ ქარტიაზე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტზე და აღნიშნა, რომ „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება ჰქონდათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს – ყოველთვიურად 22 ლარის ოდენობით.

სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე – გ. ჩ-ას სარჩელი დაკიმაყოფილდა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე – გ. ჩ-ასათვის ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული პირის სტატუსიდან გამომდინარე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ანაზღაურება – 1 056 ლარის ოდენობით.

რე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის 2017 წლის 2 ოქტომბრიდან ყოველთვიურად 22 ლარის ოდენობით აღდგენის შესახებ. ამასთანავე, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს გ.ჩ.-ას სასარგებლოდ ზიანის – 2013 წლის ოქტომბრიდან უკანონოდ შეწყვეტილი მიუღებელი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის – 1 056 ლარის ანაზღაურება – დაევალა. სასამართლოს მითითებით, ხსნებულ გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშეიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული პირის სტატუსიდან გამომდინარე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს განსაზღვრავენ, არ ითვალისწინებდნენ აღნიშნული სუბსიდიის მიღების უფლების შეწყვეტას სასამართლოს განაჩენის საფუძველზე თავისუფლების აღვეთის გამო, თუმცა ასეთი სუბსიდიის შინაარსიდან გამომდინარე, რამდენადაც იგი პირის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო თავისუფლების აღვეთის პირობებში პრატიკულადაც შეუძლებელი იყო პირის მიერ საყოფაცხოვრებო ხარჯების განევა, ამ პერიოდში შესაძლებელი იყო შეჩერებულად ჩათვლილიყო მისი გაცემა, მაგრამ სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ აღნიშნული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაცემაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი დადგენილი არ იყო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც ერთი მხრივ სასამართლომ, 2018 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით უკანონოდ სცნო მოსარჩევე – გ. ჩ.-ასათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაცემაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უარი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაავალა 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული პირის სტატუსიდან გამომდინარე საყოფაცხოვრებო სუბსიდიის აღდგენა 2017 წლის 2 ოქტომბრიდან, ყოველთვიურად 22 ლარის ოდენობით და ამასთან ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა გ. ჩ.-ას სასარგებლოდ ზიანის სახით – 2013 წლის ოქტომბრიდან უკანონოდ შეწყვეტილი მიუღებელი სუბსიდიის – 1056 ლარის ანაზღაურება, ხოლო მეორე მხრივ, მოცემულ შემთხვევაში ნარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელე, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლდა 2012 წლის 20 ოქტომბერს, შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ მას ასევე უნდა ანაზღაურებოდა მითითებული თარიღიდან 2013 წლის ოქტომბრამდე პერიოდის სუბსიდიის თანხა – 242 ლარი.

სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, კოლეგიამ სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ გ. ჩ-ას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2018 წლის 12 თებერვლის №1260 მიმართვით გაეგზავნა „სასჯელის სხვადახვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 20 ოქტომბრის №20/10/02 განკარგულებიდან ამონანერი, რომლითაც დგინდებოდა, რომ შეწყალებულ იქნა 1953 წელს დაბადებული გ. ჩ-ა. სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე მხარეს საწინააღმდეგო მტკაიცებულება არ წარუდგენია, მოსარჩელეს სადაც მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2018 წლის 12 თებერვალს. სარჩელი სასამართლოში წარდგენილი იყო 2019 წლის 19 აპრილს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ „სოციალური შელავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით დამტკაცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მისი დანიშნული-გაცემის წესი და პრინციპები“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პირს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება წარმოეშობა შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები პირები, რომლებიც არ ითვლებიან სახელმწიფო პენსიის/სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებად და არ იმყოფებიან კომპეტენტურ ორგანოში აღრიცხავზე, ვალდებული არიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართონ კომპეტენტურ ორგანოს.

კასატორის მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია,

რადგან სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათველა იწყება დამოუკიდებლად, რაც მოსარჩელის მიერ არ იქნა გათვალისწინებული. კასატორმა მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე. ხანდაზმულობის ვადა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირი, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოთხოვოს თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ეფარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება კი წარმოიშობა იმ დღიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, 2012-2013 წლების გასაცემლის ანაზღაურების მოთხოვნა ხანდაზმულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 მაისის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გ. ჩ-ას, როგორც 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირს, დანიშნული ჰქონდა საყოფაცხოვრებო სუბსიდია თვეში 22 ლარის ოდენობით. „სოციალური შეღავათების მოწევიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მი-

სი დანიშვნა-გაცემის წესი და პრინციპების „შე-4 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ ქ. თბილისში 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს. სუბსიდია შეადგენს ყოველთვიურად 22 ლარს.

დადგენილადაა ცნობილი ის გარემოება, რომ 2011 წლის 24 ოქტომბერის დანისადან 2012 წლის 20 ოქტომბრამდე პერიოდში მოსარჩევე იყო მსჯავრდებული და იმყოფებოდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში. ამ პერიოდში შეწყდა მისთვის სოციალური დახმარების გაცემა. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 20 ოქტომბრის №02/10/02 განკარგულებით გ. ჩ-ა შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის განკარგულებით იგი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი და დამატებითი სასჯელის მოხდისაგან და მოქმედისაგან ნასამართლობა. გ. ჩ-ამ სოციალური სუბსიდიის გაცემის განხელება ჯერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, შემდგომ კი სასამართლოს გზით მოითხოვა. საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მოსარჩევე – გ. ჩ-ას სარჩევი დაკმაყოფილდა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩევე – გ. ჩ-ასათვის ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული პირის სტატუსიდან გამომდინარე, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის 2017 წლის 2 ოქტომბრიდან ყოველთვიურად 22 ლარის ოდენობით აღდგენის შესახებ. ამასთანავე, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს გ. ჩ-ას სასარგებლოდ ზიანის სახით – 2013 წლის ოქტომბრიდან უკანონოდ შეწყვეტილი მიუღებელი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის – 1 056 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამზადებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დავის საგანს მოსარჩელისათვის 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 2 ოქტომბრამდე პერიოდის მიუღებელი სუბსიდიის – 242 ლარის ანაზღაურება ნარმოადგენს. კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რაც გამორიცხავს მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში ამონმებს. განსახილველ შემ

თხვევაში, კასატორი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სადა-ვო განჩინების გაუქმების საფუძვლად მხოლოდ იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია. ამდენად, საკასაციო პალატის ძირითადი მსჯელობის საგანს სწორედ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის დადგენა წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანხმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. 130-ე მუხლის მიხედვით კი ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გადასაწყვეტად გათვალისწინებულ უნდა იქნეს სადავო სამართალურთიერთობის ბუნება. მნიშვნელოვანია, დადგინდეს ხანდაზმულობის ვადის მოცულობა და გასაჩივრების ვადის ათველის დაწყების მომენტი. ამასთანავე, უნდა გამოირიცხოს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ან ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის წინაპირობების არსებობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებებიც დარღვეულია, ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ამდენად, სარჩელის წარდგენის გზით უფლების დაცვა მხოლოდ დროის გარკვეულ პერიოდშია შესაძლებელი. ხსენებული ვადის გასვლის შედეგად მოთხოვნა ხანდაზმული ხდება, რაც მისი სასარჩელო წესით დაცვას გამორიცხავს არა მატერიალური, არამედ პროცესუალური თვალსაზრისით. დარღვეული უფლების იძულებით დაცვის კანონით განსაზღვრული ვადით შემოფარგვების არარსებობა საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის გაძნელებას, საქმესთან დაკავშირებული უტყუარი მტკიცებულებების დაკარგვასა და საქმეში მონაწილე პირების მიერ საქმის გარემოებების არაადეკვატურად აღქმას გამოიწვევდა. ამდენად, უფლების სასარჩელო წესით დაცვის დროში შეზღუდვა განპირობებულია სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების გამარტივებით, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვით, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების აქტი-

ურობის სტიმულირებითა და ვალდებულების შესრულებაზე ორ-მხრივი კონტროლის გაძლიერებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სოციალური შეღავა-თების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაც-ხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მისი დანიშნვა-გაცემის წესი და პრინციპების“ მე-2 მუხლის თანახმად, საყოფაცხოვრებო სუბსი-დია არის ყოველთვიური ფულადი სახის გასაცემელი. ამავე წესის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საყოფაცხოვრებო სუბ-სიდიის დანიშნვა განხორციელდება პირის მიერ განაცხადის შეტა-ნიდან მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამდენად, კანონმდებ-ლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემ-თხვევაში, ადრესატს სუბსიდია მიეცემა გარკვეული პერიოდულო-ბით, კერძოდ თვეში ერთხელ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმო-შობილი მოთხოვნების ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, კანონ-მდებლობა სპეციალურ ვადას ადგენს. კერძოდ, სამოქალაქო კო-დექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხსენებული ტიპის ვალდებუ-ლებიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადაა გათვალისწინებული. ვალდებულების პერიოდუ-ლად, დროის განსაზღვრულ შუალედებში (მაგ., ყოველთვე, კვარ-ტალში ერთხელ) შესრულების დადგენა მოთხოვნის უფლებას (ცალ-კეულად, ყოველი შესრულებისათვის დამოუკიდებლად წარმოშობს და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადაც კონკრეტული შესრულე-ბის დარღვევიდან ათვლება. გამომდინარე იქიდან, რომ საყოფაც-ხოვრებო სუბსიდიის გაცემა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგა-ნოს პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა, სადაც სა-მართალუროთობაზე გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველი სარჩე-ლით სადაც გამხდარი 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 2 ოქტომბრამდე პერიოდის მიუღებელი სუბსიდიის ანაზღაურება. სარჩელი კი წარდგენილია 2019 წლის 19 აპრილს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვა-დის დარღვევის საკითხის დასადგენად, გადამწყვეტი მნიშვნელო-ბა აქვს მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრას. სამოქალა-ქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთ-ხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტი დაკავშირებულია იმ დროსთან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, მოთ-ხოვნის წარმოშობა და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათ-

ვლა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, კერძოდ დაინტერესებული პირის მიერ თავისი უფლების დარღვევის ფაქტის გაგებასთან. დადგენილია, რომ მოსარჩელე შეწყალებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ და მან სასჯელალსრულების დაწესებულება დატოვა 2012 წლის 20 ოქტომბერს. ამასთან, გ. ჩ-ას შეწყალების შესახებ აქტი გამოიცა 2013 წლის 2 ოქტომბერს.

ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითებით, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 20 ოქტომბრის განკარგულების შესახებ (რომლის საფუძველზეც იგი გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის მოხდისაგან) გ. ჩ-ას ეცნობა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2018 წლის 12 თებერვლის №1260 ნერილით, მოსარჩელეს 11 თვის სუბსიდიის თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა სწორედ 2018 წლის 12 თებერვლიდან. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ხსენებულ მსჯელობას და განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2018 წლის 12 თებერვლის №1260 ნერილით მოსარჩელეს არ მისცემია რაიმე დამატებითი განმარტება საყოფაცხოვრებო სუბსიდიის სადაც ნაწილის ანაზღაურების შესაძლებლობის თაობაზე. ხსენებული ნერილი შეიცავდა მითითებას მხოლოდ მოსარჩელის შეწყალების თაობაზე გამოცემული აქტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია კი მოსარჩელისათვის ცნობილი იყო 2012 წელსაც ანუ მაშინ, როდესაც მან ფაქტობრივად დატოვა სასჯელალსრულების დაწესებულება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია ხანდაზმულობის ვალის მომენტის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2018 წლის 12 თებერვლის №1260 ნერილთან დაკავშირება, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც – 2017 წელს გ. ჩ-ას პირველი სასარჩელო წარმოების ფარგლებში უკვე მიმართული ჰქონდა სასამართლო-სათვის და მას 2012-2013 წლის მიუღებელი სუბსიდიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა არ დაუყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი ხანდაზმულია, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე

მუხლით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩი-  
გარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-  
ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინება და მი-  
ღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ჩ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ  
საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)